

ევროპის რეკონსტრუქციისა და  
განვითარების ბანკის დოკუმენტი

## სტრატეგია საქართველოსთვის

დოკუმენტის დედნის თარგმანი უზრუნველყოფილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (შემდგომში „ევრობანკის“) მიერ მკითხველისთვის მხოლოდ კომფორტის შესაქმნელად. თარგმანის ავთენტურობაზე გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ევრობანკი არც გარანტიებს იძლევა და არც ამტკიცებს თარგმანის უტყუარობას. თარგმანზე დაყრდნობა საკუთრივ მკითხველის რისკს წარმოადგენს. არცერთ შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა ევრობანკს, მის თანამშრომლებს ან აგენტებს მკითხველის ან სხვა პირის წინაშე რაიმე უზუსტობის, შეცდომის, გამოტოვებული ან ამოღებული ინფორმაციის, დეფექტის ან/და თარგმანში კონტექსტუალური ცვლილების თაობაზე, მიზეზის მიუხედავად. არც ამგვარი ცდომილებიდან მომდინარე ზიანზე კისრულობს ევრობანკი რაიმე პასუხისმგებლობას. ინგლისურ დედანსა და თარგმანს შორის რაიმე ხარვეზის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

## შინაარსი

<b>მოკლე ანოტაცია აღმასრულებელი პირებისთვის.....</b>	<b>3</b>
<b>1 ბანკის საქმიანობის მიმოხილვა .....</b>	<b>7</b>
1.1 ბანკის არსებული პორტფელი .....	7
1.2 წინა სტრატეგიული მიმართულებების განხორციელება .....	7
1.3 ძირითადი გამოცდილება.....	11
<b>2 საოპერაციო გარემო .....</b>	<b>12</b>
2.1 პოლიტიკური კონტექსტი .....	12
2.2 მაკროეკონომიკური კონტექსტი .....	13
2.3 სტრუქტურული რეფორმის კონტექსტი.....	15
2.4 ბიზნეს გარემო და სამართლებრივი კონტექსტი .....	16
2.5 ფინანსების წვდომა .....	18
2.6 საერთოორისო ორგანიზაციების საქმიანობა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის სფეროები .....	19
2.7 სოციალური კონტექსტი .....	21
2.8 რესურსების ეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტი.....	23
<b>3 სტრატეგიული მიმართულებები .....</b>	<b>25</b>
3.1 სტრატეგიული მიმართულებები .....	25
3.2 მთავარი გამოწვევები და ბანკის საქმიანობა .....	28
3.3 ქვეყნის სტრატეგიის განხორციელების პოტენციური რისკები.....	45
3.4 ბუნებრივი და სოციალური გარემოს გავლენა ბანკის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობებზე .....	46
<b>დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება .....</b>	<b>49</b>
<b>დანართი 2 – ეკონომიკის შერჩეული ინდიკატორები .....</b>	<b>60</b>
<b>დანართი 3 – გარდამავალი პერიოდის გამოწვევების შეფასება.....</b>	<b>62</b>
<b>დანართი 4 - სამართლებრივი რეფორმა.....</b>	<b>69</b>
<b>დანართი 5 - გენდერული პროფილი .....</b>	<b>74</b>
<b>დანართი 6 – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და დონორი ორგანიზაციები ...</b>	<b>77</b>

## მოკლე ანოტაცია აღმასრულებელი პირებისთვის

საქართველო იცავს და იყენებს მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ბანკის დამფუძნებელი ხელშეკრულების 1-ელ მუხლში მოცემული პირობების შესაბამისად.

წინა სტრატეგიის მიღების შემდეგ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს რეფორმების პროგრამას, რომლის მიზანია საქართველოს გარდაქმნა ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ჩარჩო და ღია ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკად გარდაქმნის გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროში ვალდებულების განხორციელება წვლილს შეიტანს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების უწყვეტ განვითარებაში.

ეკონომიკური ზრდა დადებითი რჩება, მაგრამ შემცირდა 2,8 პროცენტამდე 2015 წელს, ძირითადად, რთული გარე გარემოს გამო. ფულად გზავნილებსა და ექსპორტზე უარყოფითად იმოქმედა რეცესიამ რუსეთში და რეგიონულ სავაჭრო პარტნიორებთან საქმიანობის მკვეთრმა შემცირებამ. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სექტორი მდგრადია, კარგად კაპიტალიზებული და პრობლემური ვალების დაბალი დონით ხასიათდება, რისკები იზრდება, ვინაიდან ეს სექტორი უაღრესად დოლარიზებულია და 2015 წელს 21 პროცენტით ლარის გაუფასურება გავლენას ახდენს ბანკების აქტივების ხარისხზე. მოსალოდნელია ზრდის გაუმჯობესება 3.4 პროცენტამდე 2016 წელს, ინვესტიციების გაზრდილი ნდობის, ლარის მზარდი ნდობის და ცენტრალური ბანკის პოლიტიკის (რაც, როგორც მოსალოდნელია, შეამცირებს დოლარიზაციას ეკონომიკაში) და ძლიერი ტურისტული სეზონის მხარდაჭერით. პროგრესული შედეგატები ევროკავშირისგან, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელება და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს შემდგომ ზრდას 2017 წელს. თუმცა, დანაკარგების რისკები რჩება, რადგან საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი და მაღალი დონის საგარეო ვალი მოწყვლადს ხდის მას გარე შოკების მიმართ.

საერთო ჯამში, საქართველოს ბიზნეს-გარემო სახარბიელო რჩება, განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები გასული რამდენიმე წლის განმავლობაში. ქვეყანა აგრძელებს თავისი ვალდებულებების შესრულებას DCFTA და ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რაც შემდგომი რეფორმების, სტანდარტებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის ძირითად საყრდენს წარმოადგენს და რაც სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს ახალი კანონმდებლობისა და სტანდარტების მისაღებად შემჭიდროვებულ გრაფიკში. საქართველომ უკვე მიაღწია პროგრესს სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ლიბერალიზაციაში აუცილებელი ცვლილებების შემოღებით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და საბაჟო კანონმდებლობაში. 2015 წელს გაიზარდა ელექტროენერჯის ტარიფი. მთავრობამ გაზარდა ძალისხმევა პოლიტიკის მიწოდების, საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების,

ინოვაციების ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების, მათ შორის, კერძო ინვესტიციების შემდგომი მობილიზების და საგანმანათლებლო სისტემის კერძო სექტორის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. ამ კონტექსტში, სტრატეგიული ორიენტაციის შემდეგი მიმართულებებია შემოთავაზებული საქართველოსთან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჩართულობის სახელმძღვანელოდ მომავალ სტრატეგიულ პერიოდში:

- პრიორიტეტი 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების მეშვეობით:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქმიანობის ქვეყნებში საუკეთესოთა შორისაა, სახარბიელოა ინოვაციებისთვის, ეკონომიკაში უმეტესად დომინირებს დაბალი ღირებულების მრეწველობები და საქართველო თავის ინოვაციურ პოტენციალს ქვემოთაა. DCFTA უზრუნველყოფს შემდგომ საფუძველს და სტიმულს ხარისხის სტანდარტების გასაუმჯობესებლად და დამატებული ღირებულების გასაზრდელად, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების და პროცესების დანერგვით. ამ კონტექსტში, ბანკი ხელს შეუწყობს საწარმოებს და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობას დაფინანსების და ბიზნეს-კონსულტაციების მეშვეობით, ეცდება დააფინანსოს პროექტები ინოვაციების, უნარ-ჩვევების გადაცემის და DCFTA სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობით. აქცენტი იქნება სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მსუბუქი მრეწველობის და ჯანდაცვის სექტორებზე, ისევე, როგორც ცოდნის ეკონომიკაზე. და ბოლოს, ბანკი შეეცდება წვლილი შეიტანოს უნარებისა და პროფესიული განათლების დეფიციტის შევსებაში, განსაკუთრებული აქცენტით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებზე.
- პრიორიტეტი 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსების წვდომა:** კლების ტენდენციის მიუხედავად, დოლარიზაცია საბანკო სექტორში კვლავ მაღალია (66% კერძო სექტორის კრედიტი, 68% დეპოზიტები), რაც წარმოადგენს როგორც ბანკების, ისე მსესხებლების მნიშვნელოვან დაუცველობას. გარდა ამისა, ფინანსური ინსტიტუტებმა ჯერ კიდევ საკმარის დონეზე ვერ მოიცვეს ბაზრის ისეთი სეგმენტები, როგორცაა სოფლის მეურნეობის სექტორი, მეწარმე ქალები, ან რესურსების ეფექტურობასთან დაკავშირებული ინვესტიციები. კაპიტალის ბაზარი ნაკლებად განვითარებული რჩება და არ აქვს სათანადო სიღრმე, რათა უზრუნველყოს ადგილობრივი ვალუტით გრძელვადიანი დაფინანსება ბანკებისათვის და გაფართოების სურვილის მქონე კომპანიებისთვისაც არ წარმოადგენს ფინანსთა მნიშვნელოვან წყაროს. ამ კონტექსტში, ბანკი გააგრძელებს პარტნიორი ბანკების უზრუნველყოფას

მცირე და საშუალო ბიზნესის მიზნობრივი საკრედიტო ხაზებით და რისკის გაზიარების საშუალებებით, როდესაც შესაძლებელია, ადგილობრივ ვალუტაში, აქცენტით მხარდაჭერის პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობს DCFTA მოთხოვნებთან შესაბამისობას, ქალებს ბიზნესში და რესურსების ეფექტურობას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ასევე ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრების განვითარებას, კერძოდ, ვალის მხარეს, როგორც ლარში ობლიგაციების გაცემით, ისე შერჩევით ინვესტირებით ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ასევე შეეცდება, ხელი შეუწყოს ისეთი სავალე ინსტრუმენტების და ფინანსური პროდუქტების შემოტანას, რომლებიც ახალია საქართველოსთვის.

- პრიორიტეტი 3: ბაზრების გაფართოება რეგიონთაშორისი კავშირების მეშვეობით:** როგორც მცირე, ღია ეკონომიკა რამდენიმე გლობალური სავაჭრო გზის გზაჯვარედინზე, საქართველო მზადაა მიიღოს მნიშვნელოვანი სარგებელი კავშირების გაძლიერებისა და ლოგისტიკის გაუმჯობესებისგან. ამიტომ ბანკი ეცდება მხარი დაუჭიროს ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და ლოგისტიკის ინფრასტრუქტურას, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს საქართველოს სტრატეგიული პოზიცია - სატრანზიტო დამაკავშირებელი რგოლი ერთის მხრივ, ევროპასა და თურქეთს და მეორე მხრივ, აზიასა და ჩინეთს შორის, ასევე, „ერთი სარტყლის ერთი გზის ინიციატივის“ ნაწილი (ასევე ჩრდილოეთი-სამხრეთის კავშირების ხელშეწყობით), რაც სომხეთს მის სავაჭრო პარტნიორებთან გაცვლითი ოპერაციების ზრდის პირობებს უქმნის. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაღრმავებასთან ერთად, ბანკი დაეხმარება მისი, როგორც რეგიონული ლოგისტიკური პლატფორმის პოტენციალის რეალიზაციას. ამ ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისათვის კერძო კაპიტალის მობილიზებაში დასახმარებლად, ბანკი გააგრძელებს სათანადო სამართლებრივი ბაზის შემუშავების ხელშეწყობას (კერძო სექტორის მონაწილეობისთვის ინფრასტრუქტურაში) და მჭიდროდ ითანამშრომლებს სხვა MDB-ებთან, მათ შორის, ახლად შექმნილ AIIB-თან. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს ექსპორტიორებს ვაჭრობის დაფინანსების და მიზნობრივი ბიზნეს კონსულტაციების მეშვეობით, მათ შორის, DCFTA ბაზრების წვდომისთვის.
- პრიორიტეტი 4: განახლებადი ენერჯის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებისთვის:** ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორმა, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად ჩამოინგრა, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა: ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე აღდგა; გაფართოვდა და შეიქმნა გადამცემი ქსელები. თუმცა, ენერჯის ინტენსივობა ქვეყანაში ჯერ კიდევ საშუალოზე მნიშვნელოვნად ზემოთაა EU28 და ენერჯეტიკის სექტორი ჯერ კიდევ ზარალობს მნიშვნელოვანი სადისტრიბუციო დანაკარგებისგან და სეზონური მიწოდების ნიმუშებისგან, რაც დეფიციტს

იწვევს. არსებოს სექტორების მასშტაბით რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესების საჭიროება, ინსტიტუციური ჩარჩოს და რესურსების ეფექტურობის პროექტებისთვის სიმძლავრის გაძლიერების მეშვეობით. ბანკი გააგრძელებს განახლებადი ენერჯის რესურსების განვითარების მხარდაჭერას კერძო სექტორის ოპერატორებთან მუშაობით, მათ შორის, ადგილობრივ და უცხოელ სტრატეგიულ კერძო ინვესტორებთანაც. ბანკი გააძლიერებს ჩართულობის ენერჯეტიკასა და რესურსების ეფექტურობის ინვესტირებას. ინვესტიციები ჩაიდება ასევე გარემოს მოწყობის, აგრობიზნესის და სამრეწველო სექტორებშიც. გარდა ამისა, ბანკი ჩაერთვება მუნიციპალურ სექტორში ენერგოეფექტურობის და მდგრადობის ხელშესაწყობად და მუნიციპალიტეტებს ენერგოეფექტურობის ინვესტიციებთან დაკავშირებით პრიორიტეტების დასახვაში დაეხმარება. დაბოლოს, ბანკი მხარს დაუჭერს ხელისუფლებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში COP21 შეთანხმების ფარგლებში, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების ფართოდ განხორციელების ჩათვლით ძირითად სექტორებში.

## 1 ბანკის საქმიანობის მიმოხილვა

### 1.1 ბანკის არსებული პორტფელი

კერძო სექტორის მაჩვენებელი: 90.3 პროცენტი, 2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

სექტორის ჯგუფი	სექტორის გუნდი	ოპერაციები პორტფელის მიხედვით	პორტფელი (€m)	პორტფელის %	ოპ. აქტივები	ოპ. აქტივების %
ენერჯეტიკა	ბუნებრივი რესურსები	3	23	3%	23	4%
	ელექტროენერჯია და სიმძლავრე	10	266	36%	246	40%
		<b>13</b>	<b>289</b>	<b>39%</b>	<b>269</b>	<b>44%</b>
ფინანსური დაწესებულებები	სადეპოზიტო კრედიტი (ბანკები)	21	194	27%	163	26%
	დაზღვევა, საპენსიო, ურთიერთდახმარების ფონდები	0	0	0%	0	0%
	სალიზინგო ფინანსები	0	0	0%	0	0%
	არასადეპოზიტო კრედიტები (არასაბანკო)	6	15	2%	10	2%
		<b>27</b>	<b>209</b>	<b>29%</b>	<b>173</b>	<b>28%</b>
მრეწველობა, კომერცია და აგრობიზნესი	აგრობიზნესი	6	37	5%	37	6%
	სააქციო ფონდები	3	8	1%	6	1%
	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	2	70	10%	70	11%
	წარმოება & მომსახურება	7	32	4%	32	5%
	საკუთრება & ტურიზმი	4	34	5%	17	3%
	<b>22</b>	<b>181</b>	<b>25%</b>	<b>162</b>	<b>26%</b>	
ინფრასტრუქტურა	მუნიციპალური და გარემო	9	52	7%	12	2%
	ინფ					
	ტრანსპორტი	1	1	0%	1	0%
	<b>10</b>	<b>53</b>	<b>7%</b>	<b>13</b>	<b>2%</b>	
<b>სულ</b>		<b>72</b>	<b>733</b>	<b>100%</b>	<b>616</b>	<b>100%</b>

წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

### 1.2 წინა სტრატეგიული მიმართულებების განხორციელება

ქვეყნის წინა სტრატეგია საქართველოსთვის საბჭომ დაამტკიცა 2013 წლის 4 სექტემბერს შემდეგი პრიორიტეტებით:

- კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა
- ენერჯეტიკის სექტორის მოდერნიზაციის დასრულება
- საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა

წინა სტრატეგიის პერიოდში, საქართველოს მოუწია როგორც პოლიტიკურ გაურკვევლობასთან, ისე არასასურველ ეკონომიკურ პირობებთან დაპირისპირება, რამაც ძირითადი გამოუთხარა ინვესტიციების სურვილს. ახლადარჩეულმა მთავრობამ მოხდა რამდენიმე ცვლილება მაღალ დონეზე – პრემიერ-მინისტრის და მინისტრების დონეზე, გაიმართა საჯაროდ დებატები მნიშვნელოვან საკითხებზე მაშინ, როდესაც საქართველოს ეკონომიკა მისი რეგიონული სავაჭრო

პარტნიორების ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო ზარალს განიცდიდა.

დარგთაშორისი მიზნის – **კერძო ინვესტიციების ხელშეწყობის** მისაღწევად, ბანკმა 2013 წლიდან 49 ოპერაციაში € 584.1 მილიონის ოდენობის ინვესტიცია შემდეგი მაჩვენებლებით განახორციელა:

- ბანკი ხელს უწყობდა საუკეთესო ოპერატიული პრაქტიკასა და ენერგოეფექტურობას საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, კორპორატიულ სექტორში მიმდინარე წარმოებაში, საცალო მომსახურებაში, საკვები პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში, ჯანდაცვაში, ფარმაცევტიკასა და სასტუმრო სფეროში ჩართვის გზით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, მაგალითად, მხარი დაუჭირა მეტალურგიული ქარხნის მოდერნიზაციას თბილისის მახლობლად, აფინანსებდა დიზელის ძრავის ერთადერთ მომსახურების ცენტრს სამხრეთ კავკასიაში, ხოლო საცალო სექტორში მხარი დაუჭირა სუპერმარკეტების და სააფთიაქო ქსელების გაფართოებას.
- ბანკმა მცირე ბიზნესისათვის საკონსულტაციო საქმიანობა გააძლიერა: 2013 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე მან ბანკმა 175 საკონსულტაციო პროექტი (163 – ადგილობრივ კონსულტანტებთან და 12 – საერთაშორისო მრჩევლებთან) განახორციელა. ეს პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის მუშაობას ხელს უწყობდა მართვის საინფორმაციო სისტემებით, ბიზნეს სტრატეგიით, ფინანსური მენეჯმენტით, და ანგარიშგებითა და მარკეტინგით. ბანკის მიერ ხელშეწყობილ საწარმოთა 83-მა პროცენტმა, 2015 წელს ბრუნვის, საშუალოდ, 198 პროცენტით ზრდა მოახსენეს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ასევე შეისწავლა გეოგრაფიული ინდიკაციების მხარდასაჭერად აგრარული ბიზნესის სექტორში ღვინის მრეწველობის განვითარების მიღმა არსებული შესაძლებლობები, თუმცა, კერძო სექტორისგან ჯერაც ძალზე შეზღუდული მხარდაჭერაა გამოხატული.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კერძო სექტორის მიერ დაფინანსების წვდომის ხელშეწყობაში (საბანკო სექტორში მისი მხარდაჭერის გზით). ბანკი უზრუნველყოფდა მის პარტნიორ ბანკებს მიზნობრივი საკრედიტო ხაზებით, როგორცაა „საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მექანიზმი“ (GAFF). ამის შედეგად გაორმაგდა აგრარული სესხების წილი პარტნიორი ბანკების პორტფელში. ბანკის „მცირე ბიზნესის ინიციატივის“ ფარგლებში, პარტნიორმა ბანკებმა სარგებელი მიიღეს ახლი ხაზისგან - „ქალები ბიზნესში“ (WiB), ასევე, „ენერგოეფექტურობის“ საკრედიტო ხაზებისაგან ისევე, როგორც ინსტრუმენტებისგან ადგილობრივ ვალუტაში მისი „მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილობრივი ვალუტის პროგრამის“ ფარგლებში, რაც შევსებულ იქნა გრანტებით და TC-ით ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაძლიერებლად. მას აქვს რისკების გაზიარების ჩარჩო



პროგრამა ხუთ ადგილობრივ ბანკთან, მათ შორის, დაუფინანსებელ საფუძველზე ორ ფინანსურ ინსტიტუტთან.

- ბანკი კვლავ წამყვან როლ ასრულებდა ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტების მხარდაჭერის, კაპიტალის ბაზრების განვითარების და საქართველოს საბანკო სექტორის დე-დოლარიზაციის კუთხით. 2014 წლის დასაწყისში, ბანკმა გამოსცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პირველი ობლიგაცია ქართულ ლარში, რასაც მოჰყვა კიდევ ორი ობლიგაცია ადგილობრივი ვალუტაში 2015 წელს და 2016 წელს, რათა მოეხდინა თავისი საკრედიტო საქმიანობის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, ხელი შეეწყო მისი მხარდაჭერისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის კლიენტებისთვის შემოსავლით ადგილობრივ ვალუტაში და გაეღრმავებინა კაპიტალის ადგილობრივი ბაზარი. ყოველმა შემდგომმა განთავსებამ გააგრძელა ინსტრუმენტის დაფარვის ვადა 2-დან 5 წლამდე.
- ბანკმა ხელი შეუწყო საქართველოს ეროვნულ ბანკს მთავრობის ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდის შემუშავებაში და დაიწყო სათანადო საკანონმდებლო ბაზის შემუშავების ხელშეწყობა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ეფექტურად ვაჭრობისათვის. საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც გაიარა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის – საერთაშორისო სავალუტო ფონდის – მსოფლიო ბანკის ერთობლივი შეფასება ადგილობრივ ვალუტაში კაპიტალის ბაზრების განვითარებასთან დაკავშირებით და გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ხელისუფლებასთან დე-დოლარიზაციის მხარდასაჭერად აუცილებელი პოლიტიკის რეფორმების შესახებ.
- ბანკის წინა წილობრივი მონაწილეობა ორ ქართულ ბანკში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ კუთხითაც, რომ ამ ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ, წარმატებით განეხორციელებინათ ბირჟაზე კოტირება ლონდონში და შედეგად ბანკისთვის მომგებიანი ამონაგები გამოედოთ.
- აგრძელებს რა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საქართველოს კარგ მაჩვენებლებზე შენარჩუნებას, ბანკმა დააფინანსა 2015 წლის მაისში შექმნილი ინვესტორთა საბჭო - პლატფორმა დიალოგისთვის კერძო და საჯარო სექტორებს შორის და როგორც საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა მაღალი დონის შეხვედრებსა და მოსამზადებელ სამუშაოებში. ბანკის აქტიურმა ჩართულობამ გავლენის კანონების, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების, PPP მარეგულირებელი ჩარჩოს და მიმდინარე საკონსულტაციო საქმიანობის გაძლიერების მხარდაჭერაში, ისევე როგორც ანალოგიურიდან ციფრულ გადაცემაზე გადასვლაში ჩართულობამ, ქვეყანას მნიშვნელოვანი ძვრების განხორციელების და ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კუთხით წინსვლის საშუალება მისცა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დიდი შეუწყო ხელი საქართველოს **ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის** საქმეშიც.

- ევროკავშირიდან NIF გრანტების დახმარებით ბანკმა მხარი დაუჭირა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ კომპანიას ჯვარში ახალი ქვესადგურის და დამატებითი 68 კმ გადამცემი ხაზის მშენებლობაში. ამ პროექტს კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროენერგეტიკის რეგიონალურ სექტორში გაზრდილი ვაჭრობისა და საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების ბაზრის განვითარებაში.
- ბანკი აგრძელებდა წამყვანი როლის შესრულებას ქვეყნის განახლებადი ენერჯის რესურსების განვითარებაში. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსა ხუთი პროექტი განახლებადი ენერჯის სექტორში და დაამატა 1 ათას მგვტ/წ-ზე მეტი განახლებადი სიმძლავრე, საერთო დაფინანსებით € 132.4 მილიონი დიდი და მცირე ჰესებისათვის, მათ შორისაა დარიალის ჰესი და შუახევის ჰესი - პირველი კერძო ენერგეტიკული პროექტი საქართველოში, რომელიც დარეგისტრირდა „სუფთა განვითარების მექანიზმის“ (სგმ) ფარგლებში. ამასთან ერთად, ბანკმა გორს მარი დაუჭირე ქარის პირველი სადგურისა სამხრეთ კავკასიაში შეზღუდული რესურსების პროექტს (ფინანსური სტრუქტურის ფარგლებში, პროექტისა, რომელიც გამოიმუშავებს 85,000 მგვტს/წ).
- განახლებადი ენერჯის ამ მსხვილი პროექტების გარდა, ბანკმა ხელი შეუწყო განახლებადი ენერჯის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებას, კერძოდ, პოლიტიკური დიალოგის ფონზე ელექტროენერჯის ექსპორტის მარეგულირებელ გარემოსთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმას, რომელიც ამჟამად ხორციელდება. ბანკი ასევე დაეხმარა ხელისუფლებას ენერგოეფექტურობის პირველი სამოქმედო გეგმის მომზადებაში და საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოეფექტურობის პროექტების განხორციელების პოტენციალის დეტალურ შეფასებაში.
- პოლიტიკის შესახებ ბანკის დიალოგის შედეგად საქართველომ აგრეთვე ხელი მოაწერა აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) დახმარების შესახებ შეთანხმებას. ეს ინიციატივა ხელისუფლებას ენერჯის დაზოგვაში ინვესტიციების განხორციელების საშუალებას აძლევს, ხოლო, ენერგოეფექტურობის მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერა მიზნად სათბურის გაზის ემისიის შემცირებას ისახავს. E5P ასევე მოიცავს პოლიტიკის შესახებ დიალოგთან მიმართებით გაძლიერებულ ვალდებულებას, რაც პარტნიორობს პოლიტიკის საკითხებთან უშუალო შეხების და ენერგოეფექტურობის მუნიციპალური პროექტებისთვის პრაქტიკული გადაწყვეტილებების პოვნის საშუალებას აძლევს. E5P ფარგლებში მხარდაჭერილი პირველი პროექტი საქართველოსთვის არის ავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლება თბილისსა და სხვა ქალაქებში, დიზელის მანქანების CNG-ით შეცვლა.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მხარი დაუჭირა შეკუმშული ბუნებრივი გაზის (CNG) შემოტანას ბენზინგასამართ სადგურებში, რაც ჩვეულებრივი საწვავის ეკოლოგიურად მისაღებ ალტერნატივას წარმოადგენს („ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ სესხის მეშვეობით). ბანკმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

ენერგოეფექტურობის სესხების შემუშავებაში MSME შორის, საქართველოში MFI ენერგოეფექტურობის პირველი საკრედიტო ხაზის შემოღებით, აქცენტით MFI რეგიონალურ ქსელში ამ კონცეფციის ხელშეწყობაზე.

- საერთო ჯამში, მდგრად ენერგიასთან დაკავშირებული ბანკის საქმიანობის შედეგად, ადგილი ჰქონდა, CO<sub>2</sub> ემისიების სავარაუდო შემცირებას, საშუალოდ, 168 kt CO<sub>2</sub>/წელიწადში და, დაახლოებით 5.000.215 GJ/წელიწადში ენერჯის დაზოგვას.

ბანკის დახმარება საქართველოს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის გაზრდის კუთხით ნაკლებ ეფექტური იყო. ამის მიზეზი კი, მეტწილად, სტრატეგიის პერიოდში ამ სფეროში კერძო საინვესტიციო ნაკადების ნაკლებობა გახლდათ. და მიუხედავად ამისა, ამ მიზნის შესასრულებლად მაინც იქნა მიღწეული გარკვეული პროგრესი. იხილეთ ქვემოთ:

- ბანკმა მხარი დაუჭირა მსხვილი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობას თბილისის აეროპორტის მახლობლად, რითაც დააკმაყოფილა არსებული მოთხოვნა ხარისხიან სასაწყობე ინფრასტრუქტურაზე და გზა გაუკაფა მსგავს პროექტებს სამომავლოდ.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განაგრძობდა „ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის“ (TFP) გაფართოებას ადგილობრივ ბანკებთან საქართველოსა და მრავალრიცხოვან პარტნიორებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობად. 2013 და 2015 წლებს შორის გაცემულ იქნა ვაჭრობის დაფინანსების 117 გარანტია 43 მლნ. ევროს ოდენობით.
- ბანკმა მხარი დაუჭირა საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებას ახალი სასტუმროების მშენებლობის დაფინანსებით საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდების მიერ და ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტებით თბილისსა და რეგიონებში ქვეყანაში სტუმართა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ.

### 1.3 ძირითადი გამოცდილება

- ეს შედეგები უზრუნველყოფს ძლიერ ბაზას ბანკისთვის, რათა შემდეგი სტრატეგიის პერიოდში კიდევ უფრო გააფართოვოს ჩართულობა ამ პრიორიტეტებთან დაკავშირებით. ინფრასტრუქტურის სექტორში, ბანკის მიმდინარე საკონსულტაციო პროექტი PPP მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ძირითადი ობიექტის გაშვების დაჩქარებაზე ხელისუფლების ყურადღების გამსხვილებასთან და კერძო სექტორის აქტიურ ჩართვასთან ერთად, სავარაუდოდ, გააფართოებს ბანკის შესაძლებლობებს რეგიონული ინტეგრაციის მხარდაჭერის თვალსაზრისით.
- კორპორატიულ, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში ბანკი გააგრძელებს ადგილობრივ ბანკებთან ნაყოფიერ სამუშაო ურთიერთობას, ზოგიერთი რისკის შესამსუბუქებლად. პროექტებმა საქართველოს ბანკებთან რისკის განაწილების სტრუქტურებში, ისტორიულად რისკის

უკეთესი პროფილები აჩვენა (პირდაპირ ინვესტიციებთან შედარებით). ბანკმა წარმატებით გამოიყენა მისი კონსულტაციები მცირე ბიზნესისთვის, კერძოდ, საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების პროგრამის მეშვეობით, პოტენციური კლიენტების მომზადებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სხვა ადგილობრივი ბანკების დაფინანსებისათვის.

- წარსულში, კონკურენტული ფასის ადგილობრივი ვალუტის ხელმისაწვდომობა ზოგჯერ პრობლემური იყო. იმისათვის, რომ გააგრძელოს ადგილობრივი ვალუტის ხელმისაწვდომობის დივერსიფიკაცია, ბანკი გააგრძელებს ობლიგაციების გაცემას ლარში, დაფარვის ვადების ზრდაზე და ახალი ინსტრუმენტების შემოღებაზე აქცენტით და ზოგადად, ახალი სტრატეგიის პერიოდში, უფრო აქტიურად ჩაერთვება კაპიტალის ბაზრის განვითარებაში.
- ენერჯეტიკის სექტორში ბანკი ისარგებლებს განახლებადი ენერჯის წარმოებასთან და შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებით დაგროვილი საკუთარი გამოცდილებით, ასევე, იმ წამყვანი პოზიციით, რომელიც მოიპოვა ამ სექტორში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის ჰიდრო ელექტროენერჯის გარდა, ქარის და მზის (დამოკიდებულია მოთხოვნასა და ხელმისაწვდომობაზე) ენერჯეტიკაში მზარდი ჩართულობის თვალსაზრისით.

## 2 საოპერაციო გარემო

### 2.1 პოლიტიკური კონტექსტი

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს მთავრობა აგრძელებდა რეფორმის დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებას. ეს მიზნად საქართველოს ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას ისახავს. ამ მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია კონსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოები. ღია ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლის გზაზეც მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. სამართლის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროებში ვალდებულებების მიმდინარე შესრულება თავის წვლილს შეიტანს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების უწყვეტ განვითარებაში.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა, დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ხელისუფლების პირველი დემოკრატიული გადაცემა დაადასტურა. არჩევნების შედეგად მმართველი პარტია - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციის - კოალიცია „ქართული ოცნებით“ შეიცვალა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქართული ოცნების მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობას ჰქონდა გამოწვევებით აღსავსე დღის წესრიგი, ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა სოციალური უსაფრთხოების გარანტიების გაუმჯობესებაზე, ჯანდაცვაზე და სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაზე.

ახალი პარლამენტი მნიშვნელოვნად განმტკიცდა კონსტიტუციის ცვლილებების შემდეგ. ცვლილებები ძალაში 2013 წელს შევიდა. კონსტიტუციურმა ცვლილებებმა შეამცირა პრეზიდენტის უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სასარგებლოდ, ამრიგად, გადაიყვანა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა საპარლამენტო მოდელზე.

2016 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული იმიჯი და რეგიონში მისი წამყვანი როლი დემოკრატიული რეფორმის პროცესში. მმართველმა ქართულმა ოცნებამ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება, განსაკუთრებით, ერთმანდატიან ოლქებში და კონსტიტუციური უმრავლესობის უფლება 150-დან 115 საპარლამენტო ადგილით; გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ, 27 საპარლამენტო ადგილით, განიმტკიცა მთავარი ოპოზიციური პარტიის პოზიცია. გარდა ამისა, ახალ პარლამენტში შევიდნენ მემარჯვენე-კონსერვატიული „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც გაჭირვებით გადალახა 5-პროცენტის ბარიერი და მოიპოვა 6 ადგილი და ორი ინდივიდუალური კანდიდატი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან; არჩევნების შედეგები მიანიშნებს უწყვეტობაზე ქვეყნის პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკის კურსსა და მასთან დაკავშირებულ საშინაო რეფორმის დღის წესრიგში.

საგარეო ურთიერთობებში მთავრობამ დაადასტურა, რომ საქართველოს პრო-ევროკავშირული და პრო-ნატოური ორიენტაცია უცვლელი რჩება. რუსეთთან ურთიერთობა გაუმჯობესდა ეკონომიკური კავშირების აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ, კვლავ ადგილი აქვს დიპლომატიური კავშირების ნაკლებობას საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამო.

ასოცირების შეთანხმება (AA/DCFTA), რაც წარმოადგენს საქართველოს ურთიერთობის საფუძველს ევროკავშირთან, ხელს უწყობს საქართველოს საშინაო რეფორმის დღის წესრიგის განხორციელებას. პროგრესი იქნა მიღწეული ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით. საქართველომ შეასრულა დასახული ამოცანები, რომლებიც მოცემულია ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში (VLAP) და მოსალოდნელია, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის მიღების პროცესი მალე დასრულდება.

იხილეთ დანართ 1 ბანკის ჩამოყალიბების ხელშეკრულების 1 მუხლში მოცემული კონტექსტის დეტალური პოლიტიკური შეფასებისათვის.

## 2.2 მაკროეკონომიკური კონტექსტი

**ეკონომიკური ზრდა შენედა 2.8 პროცენტამდე 2015 წელს**, მას შემდეგ რაც 4.6 პროცენტს მიაღწია 2014 წელს. 2015 წლის შენეებამ ძირითადად ასახა საგარეო გარემოს გაუარესება – რუსეთში რეცესიას ნეგატიური ზემოქმედება

გადარიცხვებზე და ექსპორტზე და მკვეთრი შენელება რეგიონალურ სავაჭრო პარტნიორებთან (როგორებიცაა აზერბაიჯანი და უკრაინა). საშინაო პოლიტიკის გაურკვევლობამ, აგრეთვე, ზემოქმედება მოახდინა სამომხმარებლო და ბიზნესის ნდობაზე, ისევე, როგორც ზრდაზე. საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 13 პროცენტით, მათ შორის, ექსპორტი დაეცა 23 პროცენტით ხოლო იმპორტი დაეცა 10 პროცენტით; გადარიცხვების შემოღინება დაეცა 25 პროცენტით 2015 წელს წინა წელთან შედარებით, რუსეთიდან და საბერძნეთიდან ფულადი გადარიცხვების მკვეთრად შემცირების გამო. აგრეთვე ნეგატიური გავლენა განიცადა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (FDI), რომლებიც 2015 წელს წინა წელთან შედარებით 23 პროცენტით შემცირდა.

**ამ პრობლემური საგარეო გარემოს შედეგად, ლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდა.** (21.4 პროცენტით 2015 წელს). სავალუტო წნეხის პასუხად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (NBB) თანდათანობით გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4 პროცენტიდან 2014 წელს 8 პროცენტამდე 2015 წლის ბოლოსთვის. თუმცა, ინფლაციის მოლოდინის აშკარა შემცირებისა და ადგილობრივ ვალუტაზე ზეწოლის კლების პირობებში პოლიტიკის განაკვეთი 2016 წლის შუა პერიოდში 7 პროცენტამდე შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენცია სავალუტო ბაზარზე ლარის გასამყარებლად შედარებით მოკრძალებული იყო და საერთაშორისო რეზერვები 2015 წლის დეკემბერში დარჩა 2.5 მილიარდი აშშ დოლარის ადეკვატური ან, დაახლოებით, სამი თვის იმპორტის ეკვივალენტის ფარგლებში. საბანკო სექტორი კვლავ მოქნილია, კარგად კაპიტალიზებულია NPL-ის დაბალი დონით, მაგრამ რისკები იზრდება, ვინაიდან, ლარის გაუფასურება ზემოქმედებას ახდენს ბანკების აქტივების ხარისხზე, კერძოდ, კლიენტები, რომლებმაც თანხები უცხოურ ვალუტაში (დოლარიზაცია საბანკო კრედიტების შემთხვევაში 66 პროცენტს, ხოლო ანაბრების შემთხვევაში 70 პროცენტს შეადგენს) ისესხეს. ინფლაცია 2015 წელს გაიზარდა, საშუალოდ 4.0-ის ფარგლებში 2015 წელს (3.1 პროცენტთან შედარებით 2014 წელს).

**ფისკალური და საგარეო ბალანსები კვლავ წნეხის ქვეშ რჩება.** ბიუჯეტის დეფიციტმა 2015 წელს დაახლოებით, 3.8 პროცენტს მიაღწია. მთავრობა ინარჩუნებს ფისკალურ სტიმულს, რასაც მხარს უჭერს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი (საბიუჯეტო დახმარება და ინფრასტრუქტურის დაფინანსება) საზოგადოებრივი ვალის მშპ-სთან შეფარდების აწევით დაახლოებით 41.4 პროცენტამდე (შედარებით 37,7 პროცენტთან 2014 წელს); ზრდის მნიშვნელოვანი წილი გაცვლის კურსის გაუარესებამ გამოიწვია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 11.8 პროცენტს მიაღწია, ჯამური საგარეო ვალით 86 პროცენტამდე 2015 წელს (107 პროცენტი კომპანიათაშორისი დაკრედიტების ჩათვლით), რაც შემდგომ ზეწოლას ახდენს ვალუტაზე და საგარეო დარტყმების მიმართ ქვეყანას უფრო მოწყვლადსა ხდის.

**2016 წელს მოსალოდნელია ზრდა 3.4 პროცენტამდე (2.8 პროცენტთან შედარებით 2015 წელს).** მაშინ, როდესაც საგარეო გარემო კვლავ გამოწვევებითაა დამძიმებული, ქვეყანა, როგორც ჩანს, ტურისტული სეზონით ახერხებს

სარგებლობას. ამას ხელს უწყობს როგორც სხვა ტურისტულ ქვეყნებზე დაწესებული შეზღუდვები, ისევე ინვესტორების მხრიდან საქართველოს მიმართ ნდობის ფაქტორის ამაღლება. ყოველივეს განაპირობებს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ ბიზნესისთვის შექმნილი სახარბიელო პოლიტიკა. ნდობა ლარისადმი და ცენტრალური ბანკის პოლიტიკისადმი ასევე იზრდება. 2015 წელს ლარის კურსის დაცემის შემდეგ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მოსალოდნელია, რომ სტაბილური გახდება და 2016 წელს დოლარიზაცია თანდათანობით შემცირდება. ეს შეამცირებს ვალუტის გაუფასურების ტენდენციას. სტრატეგიული პერიოდის დარჩენილი ნაწილის მანძილზე, მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკური ზრდის სურათის შემდგომში გაუმჯობესება. 2017 წელს დაგეგმილია ზრდა 3.9 პროცენტამდე, რასაც მხარს უჭერს DCFTA -ს განხორციელების თანმიმდევრული სარგებლები და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა, ისევე როგორც ძლიერი საშინაო და საგარეო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და სხვა სექტორებში. თუმცა, საგადასახადო სისტემის ამგვარი ცვლილება ჩვეულებრივ წარმოქმნის მთავრობის საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელზე გაცილებით დიდი კლების რისკს.

### 2.3 სტრუქტურული რეფორმის კონტექსტი

**საქართველო აგრძელებს თავისი ვალდებულებების შესრულებას DCFTA-ს მიხედვით,** რომელიც შემდგომი რეფორმების, სტანდარტებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მთავარი საყრდენია. ვალდებულებების შესრულება ქვეყნის კანონმდებლობას უფრო ახლოს მიიყვანს ევროკავშირთან ისეთ სფეროებში, როგორცაა სურსათის უვნებლობა, სანიტარული მოთხოვნები, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის წესები, საბაჟოს მართვა, მათ შორის, საკუთრების უფლებების განხორციელება საზღვარზე და საზოგადოებრივი შესყიდვების წესები. გასული წლების მანძილზე, საქართველომ მიაღწია პროგრესს ვაჭრობის ლიბერალიზაციაში და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში აუცილებელი შესწორებების შეტანით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და საბაჟო კანონმდებლობაში. ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანდათანობითი მიახლოება ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის შემდგომ გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს რა უფრო სტაბილურ და პროგნოზირებად საკანონმდებლო ჩარჩოებს. ეს, თავის მხრივ, საქართველოს კომპანიებს შეუქმნის მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე, ურთიერთშორის კონკურენტობის ამაღლების საფუძველს და ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და სხვა ბაზრებზე ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო შესაძლებლობების განვითარებას. 2015 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან 3.2 მილიარდ აშშ დოლარამდე (ან მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 32 პროცენტამდე) გაიზარდა - 3.0 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით 2014 წელს.

**გაიზარდა ელექტროენერჯის ტარიფები.** 2015 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე ტარიფები გაიზარდა 4-7.5 აშშ ცენტიდან 5.75-9 აშშ ცენტამდე, რაც დამოკიდებულია ელექტროენერჯის მოხმარების დონეზე – ერთ მილიონზე მეტი

მომხმარებლისათვის საქართველოს რეგიონებში და აბონენტებისათვის დედაქალაქში - თბილისში. მთავრობა ახდენს ტარიფის ზრდის სუბსიდირებას რეგიონებში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის 20 მილიონი ლარის (დაახლოებით 8.9 მილიონი აშშ დოლარის) გამოყოფით; სუბსიდის იგივე სქემა შეეხება თბილისის აბონენტებსაც.

**2016 წლის აპრილში პარლამეტმა მიიღო კანონპროექტი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ. იგი ცნობილია „ესტონური მოდელის“ სახელით და მიღებულია ინვესტიციების ხელშესაწყობად.** ამ კანონპროექტის მიხედვით, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი (რეგულარული ტარიფი შეადგენს 15 პროცენტს) შეეხება მხოლოდ განაწილებულ მოგებას; გაუნაწილებელი მოგება, რეინვესტირებული ან გაუნაწილებელი, არ დაექვემდებარება საშემოსავლო დაბეგვრას 2017 წლის იანვრიდან. ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკრო-საფინანსო ინსტიტუტები და სალომზარდო საბროკერო ბიზნესები ისარგებლებენ ამ წესით 2019 წლიდან. ამ მოდელის შემოღებამ შეიძლება მოიტანოს სარგებელი საქართველოს გაუმჯობესებული საინვესტიციო მიმზიდველობის და უფრო ზოგადად გაზრდილი კონკურენტუნარიანობის და ზრდის თვალსაზრისით. თუმცა, ეს ცვლილება რისკების მატარებელია. ამ რისკებში მოაიზრება მთავრობის საგადასახდლო შემოსავლებში პოტენციურად მოსალოდნელზე უფრო დიდი დაცემა, რასაც მთავრობის ფინანსებზე ზეწოლის მოხდენა შეუძლია.

## 2.4 ბიზნეს გარემო და სამართლებრივი კონტექსტი

### *ბიზნეს გარემო*

**საქართველოს ბიზნეს გარემო რჩება ხელსაყრელი,** ჩატარდა რა ამ მიმართულებით უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები ისეთ სფეროებში, როგორცაა ბიზნესის პროცედურების დაწყება; სამშენებლო ნებართვები; ბიზნესის დერეგულაცია ბიუროკრატიის აღმოფხვრით და ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის რეჟიმების გამარტივებით. ამას დაემატა საგადასახდლო და საბაჟო რეფორმებიც. ბიზნესის კეთების 2016 წლის ანგარიშში საქართველო კვლავ 24-ე ადგილზეა 189 ქვეყანას შორის. 2014 წლის ივნისში, მთავრობამ დაიწყო წარმატებული პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“, მეწარმეობის, ფინანსების წვდომის, საკუთრებასა და ბიზნესთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების მხარდასაჭერად.

**ბოლო წლებში შემოთავაზებულ ზოგიერთ საკანონმდებლო ცვლილებას შეიძლება არათანაბარი ეფექტი ჰქონოდა ბიზნეს გარემოზე, თუმცა მოგვიანებით მოხდა მათი შეცვლა** ცვლილებებმა სავიზო რეგულაციებში, მაგალითად, შეფერხება გამოიწვია ტურიზმსა და საქმიან (ბიზნეს) მოგზაურობებში. ეს აკრძალვები შემდეგ გამარტივდა. აგრეთვე, პარლამენტის მიერ 2015 წლის ივლისში დამტკიცებულ ახალ კანონში დათქმულია ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს შექმნა, რათა დარეგულირდეს საბანკო სექტორი და საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩამოერთვას მარეგულირებელი ფუნქციები. შემოთავაზებულ



ცვლილებებს შეიძლება გამოეწვია საბანკო სექტორისადმი ნდობის შერყევა, რადგან მას შეეძლო დამოუკიდებელი ზედამხედველობის შესუსტებად აღქმა გამოეწვია საზოგადოებაში. მაგრამ, 2015 წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა კანონის გამოყენება და შესაძლოა ის არც ამოქმედდეს.

#### *სამართლებრივი კონტექსტი*

**საქართველო კვლავ აწარმოებს მოლაპარაკებებს თავის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში ევროკავშირის წესებისა და რეგულაციების გადმოტანის მიზნებთან დაკავშირებით** (2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ). მნიშვნელოვანი რეფორმების მიუხედავად, კანონმდებლობა მრავალ სექტორში კვლავ ევროკავშირის გამოსაყენებელ წესებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი და შემდგომი რეფორმა გარდაუვალია.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2015 წლის შეფასებამ კორპორატიული მმართველობის კანონმდებლობასთან დაკავშირებით** და კომპანიების პრაქტიკამ აჩვენა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ესაჭიროება რეფორმები განსახილველი სფეროების უმეტესობაში. ეს საკითხი განხილვის პროცესშია. ფინანსების წვდომა, მოძრავი ქონების დაგირავება და იპოთეკა, როგორც ჩანს, კარგადაა რეგულირებული კანონში, მაგრამ არ არსებობს სპეციალური კანონები უფლებების დელეგირების თუ ფინანსური ლიზინგის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია საკრედიტო ინფორმაციის ანგარიშგების სისტემა, არ არსებობს მარეგულირებელი ორგანო და მითითებები მომხმარებლის მიერ საკრედიტო ინფორმაციის წვდომასთან დაკავშირებით. კანონი გაკოტრების შესახებ შეიცავს მექანიზმებს როგორც გაკოტრებული დებიტორის ლიკვიდაციისა, ისე რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ კვლავ სუსტია ისეთ სფეროებში, რომლებიც კრედიტორების უფლებებსა და გაკოტრებული პირის ქონებას ეხება.

**სამართლებრივი ჩარჩო ელექტრონული კომუნიკაციების/ტელეკომის შესახებ** საჭიროებს ევროკავშირის უახლეს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოებთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანას, რის დასრულებაც 2017 წლის ბოლოსათვისაა დაგეგმილი. ამის მსგავსად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უახლესმა შეფასებამ საშეღავათო პირობების შესახებ კანონთან მიმართებაში უჩვენა, რომ არსებული ჩარჩო მოძველებულია, შეზღუდულია და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას არ შეესაბამება, აქვს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც გაართულებს მის განხორციელებას.

**ენერჯის ეფექტურობასთან და განახლებად ენერჯიასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო მთლიანადაა ევროკავშირის წესებთან შესაბამისობაში მოსაყვანი**, კერძოდ, ენერგეტიკის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზაცია კერძო სექტორის ჩართულობისათვის გარემოს გაუმჯობესების გზით და განახლებადი ენერჯის შესახებ თანამედროვე და სპეციალიზებული კანონის შემოღებით. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონი საქართველოში ასევე უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის 2014 წლის დირექტივას, ევროკავშირთან

ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს გააჩნია თანამედროვე ელექტრონული შესყიდვების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შესყიდვების დაგეგმვას, ტენდერების გამოცხადებას და საჯარო კონტრაქტების მართვას. სისტემა უზრუნველყოფს საიმედო მონაცემებს საჯარო შესყიდვების შესახებ. პრობლემურ რგოლად რჩება ფაქტი, რომ შესყიდვების მნიშვნელოვანი რაოდენობა კვლავ პირდაპირი შერჩევის მეთოდით ხორციელდება. 2015 წელს საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით - რაც ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში მოიაზრება - გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის გზით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სრულყოფილი გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომლებიც საქართველოს მთავრობის სხდომაზე 2016 წლის 31 მარტს დამტკიცდა. სხვა საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად მოიაზრება წინასწარი განსაჯაროების გარეშე მოლაპარაკებელი პროცედურების დაწყება ფუნდამენტურ განხილვას დაექვემდებარება, რათა შეიზღუდოს პირდაპირი შერჩევის მეთოდი, რაც მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საქმეებისა და გარემოებებისას იქნება გამოყენებული.

## 2.5 ფინანსების წვდომა

**ფინანსების წვდომის მოპოვება საქართველოში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის,** სადაც ბანკის მიერ დაკრედიტება გარე დაფინანსების მთავარი წყაროა და არა-საბანკო ოპციები კვლავ ნაკლებადაა განვითარებული. მიუხედავად ძლიერი საკრედიტო ზრდისა (საშუალოდ 17 პროცენტი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე), ფინანსური შუამავლობის დონეები ისევ დაბალია, საშინაო კრედიტით მშპ-სადმი 47.7 პროცენტით 2014 წელს. მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტება ქრონიკულად დაბალია – 16.1 პროცენტი და მცირე და საშუალო საწარმოები ჯერ კიდევ დიდ წილად დამოკიდებულნი არიან მესაკუთრის კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. მაღალი პროცენტი (დაახლოებით, 16 პროცენტი) და მაღალი საგირავნო მოთხოვნები (რაც შეიძლება წარმოადგენდეს სესხის ღირებულების 220 პროცენტამდე) ხელს უშლის ფინანსების წვდომას. მაღალი დოლარიზაციის საბანკო სექტორის კონტექსტში ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსების წვდომა მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და ფიზიკური პირებისათვის.

**ალტერნატიული არა-საბანკო დაფინანსების წყაროები შეზღუდულია.** ლიზინგის დონეები შედარებით დაბალია, თუმცა იზრდება. სადაზღვევო ბაზარი პატარაა და ძირითადად კონცენტრირებულია ზარალისგან დაზღვევის სეგმენტზე. ფაქტორინგი კვლავ თითქმის გამოუყენებელია და შეიძლება გაუმჯობესდეს იურიდიული ჩარჩოს გაუმჯობესებით, რათა შემდგომ ხელი შეუწყოს ამგვარი სერვისების განვითარებას. ადგილობრივი კომერციული კაპიტალის კერძო სექტორი ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებას, რადგან დღეისათვის ქვეყნის

მიმართ ჯერ კიდევ არ არსებობს მნიშვნელოვანი ინტერესი საერთაშორისო კერძო კაპიტალის ფონდების მხრიდან.

**კაპიტალის ბაზრები შედარებით დაბალგანვითარებულია** და არ უზრუნველყოფს ფინანსების წვდომას, უდიდესი კომპანიებისა და ბანკების გარდა. ბევრი ირჩევს ობლიგაციების გამოშვებას ან ახდენს თავისი კაპიტალის რეგისტრირებას ოფშორულ ზონებში, საშინაო ბაზარზე ლიკვიდურობის დაბალი დონის გამო. კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც დაგეგმილი იყო 2017 წლისათვის, ალბათ ხელს შეუწყობს ინსტიტუციური აქტივების ბაზის გაძლიერებას, რაც აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის.

## 2.6 საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის სფეროები

თანამშრომლობა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის საქართველოში ახლოსაა როგორც ინვესტიციასთან, ასევე პოლიტიკის დიალოგთან. ბანკი კვლავ აგრძელებს თანამშრომლობას არსებულ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან<sup>1</sup> და ახლად ჩამოყალიბებულ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან თანადაფინანსების შესაძლებლობების განვითარებას ცდილობს.

ფინანსურ და მცირე და საშუალო საწარმოების სექტორში, **საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და KfW** ადგილობრივ ბანკებისთვის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დაფინანსებისთვის საკრედიტო ხაზებს უზრუნველყოფენ. **ევროპის კავშირი** აქტიურად მუშაობს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დაფინანსებაზე, აქცენტით აგრო-ბიზნესის კომპანიებზე და ხელს უწყობს კერძო სექტორს DCFTA-სათვის აუცილებელი სტანდარტების მიღებაში. საქართველო ამავე დროს იმყოფება ევროპის კავშირის კვლევის და ინოვაციების დაფინანსების პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ წვდომის მოპოვების პროცესში. შემდგომ, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) უზრუნველყო მხარდაჭერა ფინანსური სექტორის მმართველი ორგანოებისათვის, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის და საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასთან (IFC) და **შავი ზღვის ვაჭრობის განვითარების ბანკთან (BSTDB)** ერთად, იგი მიჰყვება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გზას ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით.

➤ ბანკი ითანამშრომლებს ევროკავრისთან და საქართველოს

<sup>1</sup> მთავარი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ინვესტიცია საქართველოში (2013-2015 წლებში საშუალოდ, გარდა USAID-სა და KfW 2012-2014 საშუალოდ): ADB (€235მ), მსოფლიო ბანკის ექსკლუზიური ბიუჯეტი (€193მ), USAID (€107მ), IFC (€82მ), EIB (€76მ), KfW, (€40მ), EU ექსკლუზიური ბიუჯეტი (€40მ).

ხელისუფლებასთან ევროპის კავშირის გრანტების მობილიზების მიზნით, რათა დაეხმაროს კერძო სექტორის კლიენტებს კორპორაციული მმართველობის სტრუქტურის, პროდუქტების ხარისხისა და მომსახურების ეფექტურობის გაუმჯობესებაში, შეადგინოს მათ DCFTA-გან სარგებლის მიღება მცირე ბიზნეს მრჩევლის საშუალებითაც. ბანკი საქართველოს კონკურენციის ორგანოებთან ერთად მჭიდრო კოორდინაციაში იქნება ევროპის კავშირის მრჩეველთა პროექტთან. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი შეეცდება, კორპორატიული სექტორის ფართო პროექტებზე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან რისკები გააზიაროს (სადაც შესაძლებელი იქნება).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად, აზიის განვითარების ბანკი, **მსოფლიო ბანკი**, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და **USAID** საინვესტიციო კლიმატის საკითხებში ყველაზე აქტიური ორგანიზაციებია. მიუხედავად „საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პროექტისა“, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია საგადასახადო, სავაჭრო ლოჯისტიკისა და საინვესტიციო პოლიტიკის სფეროებში რეგულაციების ეფექტურობის გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული.

- ბანკი საინვესტიციო საბჭოში კოორდინირებას გაუწევს აზიის განვითარების ბანკსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, როგორც დროებით ცვლად წევრებს, ქვეყანაში საჯარო კერძო დიალოგის გაძლიერებისა და ბიზნესის გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

წყლისა და გზების სექტორში KfW, EIB, ADB და მსოფლიო ბანკი აქტიურად არიან ჩართულნი სუვერენული ინფრასტრუქტურის დაფინანსებაში. EIB და მსოფლიო ბანკი ორივე აფინანსებენ აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილ II-ს, რეგიონალური ინტეგრაციის გასაფართოებლად.

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი კვლავ გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რეგიონალური კავშირ-ურთიერთობის მისაღწევად. ბანკი აგრეთვე მჭიდროდ იმუშავებს კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ახლად დაარსებულ **აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან** (AIIB) და თანადაფინანსების შესაძლებლობებს მოიძიებს (უკვე დაიწყო) მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ხელისუფლებამ და სხვა დონორებმა ბანკი ელექტროენერგეტიკისა და მდგრადი ენერგეტიკის სექტორში ყველაზე აქტიურ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტად აღიარეს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო დონორებთან (USAID, EU NIF) და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან ამ სექტორში – KfW, მსოფლიო ბანკის ჯგუფი (მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) და აზიის

განვითარების ბანკი. აზიის განვითარების ბანკისა და KfW-ს პარალელურად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი კონცენტრირებულია ქვეყნის ელექტროენერჯის გადამცემისა და დისტრიბუციის ქსელის გაუმჯობესებაზე, ენერგოეფექტურობს გაზრდით ხანდაზმული აქტივების რეაბილიტაციის და ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხარდაჭერის გზით. მსოფლიო ბანკის ჯგუფთან და USAID-თან მჭიდრო თანამშრომლობით, ბანკი ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის ინვესტიციებს საბაზრო წესების, ქსელის ინფრასტრუქტურისა და ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავებით, რაც იმთავითვე ხელს უწყობს კერძო ინვესტირებას. ბანკი, KfW, EIB და EU NIF-თან ერთად ხელს უწყობს ენერჯო ქსელის გაფართოებას და მეზობელ ქვეყნებს შორის ელექტროენერჯის გაცვლას (შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის მხარდაჭერით).

- ბანკი კვლავ ითანამშრომლებს სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ენერგეტიკულ პროექტებზე, რომლებზეც რადენიმე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის თანამონაწილეობა აშკარად დადებითად აისახება. ასეთი პროექტებია, მაგალითად, შუახევის ჰიდროელექტრო სადგური (საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა და აზიის განვითარების ბანკთან ერთად) ან ნენსკრას ჰიდროელექტრო სადგური (ADB-სა და EIB-თან ერთად).

## 2.7 სოციალური კონტექსტი

UNDP-ს 2015 წლის ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI)-ის მიხედვით 188 ქვეყნიდან საქართველო 76-ე ადგილზეა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენს 75 წელს (შესადარებლად: ევროპის კავშირის საშუალო მაჩვენებელი – 79 წელი). შობადობის დაბალ მაჩვენებელთან და სუფთა იმიგრაციასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ ეს გადაიზრდება საქართველოს მოსახლეობის 13 პროცენტთან შემცირებაში 2015 და 2050 წლებს შორის, მოსახლეობასთან დაკავშირებით გაეროს პროგნოზის მიხედვით. საგანმანათლებლო მიღწევები შედარებით მაღალია, სკოლაში სწავლის საშუალო ხანგრძლივობით 12.1 წელი, OECD-ის საშუალოდ 11 წელთან შედარებით, და დაწყებითი სკოლის მიტოვების მხოლოდ 2 პროცენტით. თუმცა, საზოგადოებრივი დანახარჯები განათლებაზე საკმაოდ დაბალია ევროპის კავშირის საშუალოსთან შედარებით, დანახარჯებით მშპ-თან შეფარდებით 1.98 პროცენტი და სწავლის დასრულების მთლიანი კოეფიციენტი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის რჩება კრიტიკულად დაბალი – 19 პროცენტი.

67 პროცენტით 2014 წელს, მუშახელის მონაწილეობა აღემატება ევროპის კავშირის საშუალოს. მიუხედავად ამისა, უნარების შეუსაბამობა მზარდი პრობლემა გახდა. ბიზნეს გარემოსა და საწარმოების საქმიანობის მიმოხილვის (BEEPS V) მიხედვით, ქართული ბიზნესის 10 პროცენტის მოხსენებით, არა-ადეკვატური უნარის მქონე მუშა ხელი მთავარი დაბრკოლებაა მათი ბიზნესისთვის (აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და თურქეთის საშუალო რეგიონალურ მაჩვენებელთან შედარებით).

2010 წლიდან მცირე დაცემის შემდეგ, უმუშევრობა კვლავ რჩება ერთ-ერთი მაღალ დონეზე რეგიონში – 12.4 პროცენტი 2014 წელს. ახალგაზრდობა (15-24 წლის ასაკის) მოზრდილებთან შედარებით ორჯერ უფრო მეტადაა დაუსაქმებელი. ახალგაზრდობის (15-24 წლის ასაკის) უმუშევრობის მაჩვენებელი 2014 წელს 30.8 პროცენტი იყო -ყველაზე მაღალი საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობისათვის (66.2 პროცენტი). პარალელურად საქართველოს მუშახელის 60 პროცენტზე მეტი დასაქმებულია ნაკლებ ღირსეულ სამუშაოზე.

და მაინც, ახალგაზრდობისთვის ფინანსების წვდომის გასაუმჯობესებლად საქართველოს გააჩნია თავისუფალი სივრცე. სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, ფინანსურ მომსახურებებთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდობა დამატებით გამოწვევებს აწყდება. მხოლოდ 10 პროცენტს აქვს საკუთარი ანგარიში ოფიციალურ ფინანსურ ინსტიტუტში მაშინ, როცა ბელარუსში ეს მაჩვენებელი 48 პროცენტს უდრის, ხოლო უკრაინასა და რუსეთში - 55 პროცენტს.

გენდერული სხვაობები კვლავ აქტუალურია შრომის ბაზარზე მონაწილეობასთან, უნარების პროფილთან და შემოსავლებთან მიმართებით. ILO-ს შრომის ბაზრის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, გენდერული სხვაობა დასაქმებაში გაიზარდა 16.3 პროცენტულ პუნქტამდე საქართველოში 2015 წლისთვის. ქალების წილი დასაქმებაში შეადგენს 51.1 პროცენტს შედარებით 66.6 პროცენტთან მამაკაცებისათვის, რაც ევროპის კავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია (59.6 პროცენტი ქალებისთვის და 77.5% მამაკაცებისთვის). UNESCO-ს მიხედვით, საქართველოში ქალების ჩართულობის წილი უმაღლეს განათლებაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე კაცებისა (55 პროცენტი 45 პროცენტთან შედარებით), თუმცა, ქალი სტუდენტების მხოლოდ 24.4 პროცენტი ეუფლება საინჟინრო საქმეს, წარმოებასა თუ მშენებლობას (STEM-ის სუბიექტები, წარმოადგენენ უმაღლესი სასწავლებლის მდებდრობითი სქესის კურსდამთავრებულთა 3.6 პროცენტს). 2014 წელს, ანაზღაურების გენდერული სხვაობა საქართველოში შეადგენდა 39.8 პროცენტს, ევროპის კავშირის საშუალო მაჩვენებელთან – 16.4 პროცენტთან შედარებით.

დაბოლოს, რეგიონალური უთანასწორობა კვლავ არსებობს. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები დიდ ქალაქებსა და პატარა თემების შორის შემოსავლების დონეების, დასაქმების და სოციალურ ინფრასტრუქტურის (როგორცაა განათლება) თვალსაზრისით. სოფლის რეგიონებში ნაკლები შესაძლებლობებია კერძო სექტორში და უნივერსიტეტების უმეტესობა განლაგებულია თბილისში, რაც უბიძგებს სამუშაო ასაკის ახალგაზრდობას, კერძოდ, ქალებს დედაქალაქში მიგრაციისკენ უბიძგებს. 2014 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, რეგიონთაშორისი მიგრანტების 42 პროცენტზე მეტი საქართველოში თბილისსა და ქვემო ქართლში ცხოვრობს. უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში - 22.5 პროცენტი. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში აქტიური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თვით-დასაქმებულია, სოფლის მეურნეობაში

დასაქმებულია მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი, და უმუშევრობის ამპლიტუდა 5-დან (კახეთი) 16 პროცენტამდე (აჭარა) მერყეობს.

## 2.8 რესურსის ეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტი

საქართველოს ენერგეტიკის ინტენსიურობა დახლოებით 30 პროცენტით მაღალია, ვიდრე EU28 საშუალო. ქვეყანას არ გააჩნია ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი რეზერვები და შემოაქვს თავისი პირველადი ენერჯის ორი მესამედი მეზობელი ქვეყნებიდან. ელექტროენერჯის გამომუშავება საქართველოში უმთავრესად დამოკიდებულია ჰიდრო-ელექტრო წყაროებზე, რომლებიც მთლიანი ელექტროენერჯის წარმოების 78 პროცენტს ამარაგებს. ენერჯის პროგნოზირებული მზარდი მოთხოვნილებით და დამოკიდებულებით ენერჯის იმპორტზე, საქართველო ისარგებლებდა ენერჯის შერევის დივერსიფიცირებით და ეკონომიკური ზრდის გამოცალკევებით ენერჯის მოხმარებისაგან ენერჯის რაციონალური მოხმარების ხელშეწყობით.

ენერჯიაზე მოთხოვნილება საქართველოში უპირველესად გამომდინარეობს: საყოფაცხოვრებო სექტორიდან (30 პროცენტი), ტრანსპორტიდან (33 პროცენტი) და მრეწველობიდან (15 პროცენტი)<sup>2</sup>. სამრეწველო სექტორი საქართველოში გვთავაზობს ენერჯის დაზოგვის მინიშნელოვან პოტენციალს (~ 30 პროცენტი) და ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი ენერგოეფექტურობის (EE) ინვესტიციებს, განსაკუთრებით მსხვილი და საშუალო კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ რკინისა და ფოლადის, ქიმიური ნივთიერებების, არა-ლითონის მინერალების წარმოებაზე, ასევე საკვებისა და სასმელი პროდუქტების წარმოებაზე. ენერგო- და რესურსეფექტურ ტექნოლოგიებსა და სერვისებში ინვესტიციების ჩადების სარგებლის გაცნობიერება, განსაკუთრებით კორპორაციებს, მცირე და საშუალო საწარმოებსა და ოჯახებს შორის, კვლავ დაბალი რჩება.

საყოფაცხოვრებო სექტორი ელექტრო ენერჯის ერთ-ერთი უმსხვილესი საბოლოო მომხმარებელია საქართველოში. სახლების უმეტესობა (70 პროცენტი) აშენდა 1961-1990 წლებში და შეფასებულია, რომ ამ შენობების 10-15 პროცენტი ნგრევის მდგომარეობაშია, მომსახურების მხოლოდ შეზღუდული დარჩენილი ვადით. საქართველოს შენობების ფონდის მიერ ენერჯის მოხმარება ძალიან დაბალია ასაკის და შენობების სამშენებლო სტანდარტების, ისევე როგორც ახალი კონსტრუქციებისთვის ენერჯის მოხმარების რეგულაციების არარსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ენერჯის დაზოგვის პოტენციალი ხელმისაწვდომია, ურბანული რეგენერაციის სქემების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და შესაძლებლობა კვლავ გამოწვევად რჩება. ენერჯის მოხმარების სტანდარტების შემოღებამ ახალი შენობებისთვის და ენერჯის მოხმარების კრიტერიუმების შემოღებამ არსებული საზოგადოებრივი შენობების ფონდის რენოვაციისთვის შეიძლება დაუყოვნებელი შედეგები მოგვცეს აშენებული გარემოს სექტორის ენერჯის მოხმარების გაუმჯობესებაში.

<sup>2</sup> წყარო: გეოსტატი, საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2014 წ.

ამჟამად, არ არსებობს სპეციფიკური კანონი, თუ რეგულაცია, რომელიც გადაჭრის ენერჯის ეფექტურობის საკითხს საქართველოში. მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საქართველოს გაწევრიანება ენერჯეტიკის საზოგადოებაში, არის ორი უახლესი მაგალითი ხელისუფლების ვალდებულებისა, გაზარდოს ენერჯის ეფექტურობის დონე ქვეყანაში და დანერგოს შესაბამისი ხელისშემწყობი პოლიტიკა. როგორც ამ ძალისხმევის უშუალო მონაწილეები, ენერჯეტიკის სამინისტრო და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, ამჟამად, ენერჯეტიკის პირველი სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შედგენის (NEEAP) პროცესში არიან.

არსებობს კლიმატსა და ენერჯეტიკასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრატეგია/სამოქმედო გეგმა. ესენია: საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (NEAP) 2012-16 და საქართველოს მიზანმიმართული, სახელმწიფოებრივად განსაზღვრული წვლილი (INDC), რომელიც წარდგენილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციისთვის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით (UNFCCC) COP21-ზე პარიზში 2015 წლის ბოლოს. როგორც INDC-ის ნაწილი, საქართველო გეგმავს, რომ 2030 წლისთვის სათბურის გაზის გამოყოფა 15 პროცენტით შეამციროს. 15 პროცენტთან შედარების მიზანი შეიძლება გაიზარდოს 25 პროცენტამდე პირობითად, რაც ექვემდებარება გლობალურ შეთანხმებას, ტექნიკური თანამშრომლობის მნიშვნელობის, დაბალი ღირებულების ფინანსური რესურსების წვდომის და ტექნოლოგიის გადატანის შესახებ. ენერჯეტიკასა და კლიმატთან დაკავშირებული საქმიანობის საკითხის გადაჭრა დასახლებულ პუნქტებში იქნება მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს სახელმწიფო გეგმებისა და სტრატეგიების მხარდასაჭერად. მიდგომა სახელწოდებით „მწვანე ქალაქი“ საქართველოს ქალაქებს მნიშვნელოვანად დაეხმარება შემსუბუქებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებაში. ისეთმა ქალაქებმა, როგორცაა თბილისი, მერების შეთანხმების ფარგლებში ვალდებულება იკისრეს, 2020 წლისათვის CO<sub>2</sub>-ის ეკვივალენტის გამოყოფა 1990 წელს არსებულ დონესთან შედარებით 20 პროცენტით შეამცირონ.

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის თვალსაზრისით საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. წყლის რესურსების მხრივ, საქართველოს მეორე ეროვნულ კომიუნიკეში UNFCCC მიმართ ნათქვამია, რომ უკვე აქვს ადგილი მნიშვნელოვან ცვალებადობას ნალექიანობასა და ზედაპირულ ჩამონადენში. პროგნოზირებულია, რომ კლიმატის ცვლილებთან და წყლის სიჭარბის საერთო შემცირების შეუქცევად პროცესთან ერთად იგი კიდევ უფრო მძიმე ხასიათს მიიღებს. კლიმატის ცვლილების გრძელვადიან ზემოქმედებასთან დაკავშირებით მძაფრი პრობლემებია მოსალოდნელი საქართველოს მყინვარებზე, რასაც მნიშვნელოვნად მოქნედა წყლის რესურსების მართვასა და ჰიდროენერჯიაზე. წყალი უფრო მწირია აღმოსავლეთ რეგიონებში ვიდრე დასავლეთში, მოსალოდნელია ზაფხულის გვალვების ზრდა, რაც თავისთავად იმოქმედებს წყლის ხელმისაწვდომობაზე. უფრო მეტიც, პროგნოზის მიხედვით



მისალოდნელია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ინფრასტრუქტურამ და შენობებმა, მაგალითად, შავი ზღვის პორტებმა ზღვის დონის აწევისა და ინტენსიური შტორმებისა და წყალდიდობების პირობებში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი განიცადონ.

### 3 სტრატეგიული მიმართულებები

#### 3.1 სტრატეგიული მიმართულებები

ასოცირების ხელშეკრულების (A/A) და DCFTA ხელმოწერა ევროპის კავშირთან საქართველოს დიდი მიღწევაა. A/A და DCFTA-ს მიხედვით, ვალდებულებები მოითხოვს მჭიდრო ვადებში ახალი კანონმდებლობისა და სტანდარტების მიღებას. მთავრობამ გააძლიერა პოლიტიკის გატარების გაუმჯობესებაზე, საგადასახადო ადმინისტრაციის გამარტივებაზე, ინოვაციების ხელშეწყობაზე, ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარებაზე, შემდგომი კერძო ინვესტიციების მოზილიზებით და კერძო სექტორის საჭიროებებზე საგანმანათლებლო სისტემის მორგებაზე ორიენტირებული ძალისხმევა. ამ კონტექსტში, საქართველოში, მომდევნო სტრატეგიულ პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჩართულობის გასახორციელებლად შემდეგი სტრატეგიული მიმართულებების განხორციელება შემოთავაზებული:

- **პრიორიტეტი 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების გზით:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქმიანობის ქვეყნებში საუკეთესოთა შორისაა, სახარბიელოა ინოვაციებისთვის, ეკონომიკაში უმეტესად დომინირებს დაბალი ღირებულების მრეწველობები და საქართველო თავის ინოვაციურ პოტენციალს ქვემოთაა. DCFTA უზრუნველყოფს შემდგომ საფუძველს და სტიმულს ხარისხის სტანდარტების გასაუმჯობესებლად და დამატებული ღირებულების გასაზრდელად, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების და პროცესების დანერგვით. ამ კონტექსტში, ბანკი ხელს შეუწყობს საწარმოებს და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობას დაფინანსების და ბიზნეს-კონსულტაციების მეშვეობით, ეცდება დააფინანსოს ინოვაციების, უნარ-ჩვევების გადაცემის და DCFTA სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობის პროექტები. ყურადღება გამახვილდება სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სამთო და მსუბუქი მრეწველობისა და ჯანდაცვის სექტორებზე, ისევე, როგორც ცოდნის ეკონომიკაზე. და ბოლოს, ბანკი შეეცდება წვლილი შეიტანოს უნარებისა და პროფესიული განათლების დეფიციტის შევსებაში, განსაკუთრებული აქცენტით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებზე.

- პრიორიტეტი 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსების წვდომა:** კლების ტენდენციის მიუხედავად, დოლარიზაცია საბანკო სექტორში კვლავ მაღალია (კერძო სექტორის დაკრედიტების 66 პროცენტი, ხოლო 68% ანაზრების 68 პროცენტი), რაც ნიშნავს როგორც ბანკების, ისე მსესხებლების მნიშვნელოვან დაუცველობას. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა ჯერ კიდევ არაკმარისად მოიცვეს ბაზრის გარკვეული სეგმენტები, როგორცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სექტორი, მეწარმე ქალები, ან რესურსების ეფექტურობასთან დაკავშირებული ინვესტიციები. კაპიტალის ბაზრები ნაკლებად განვითარებული რჩება და არ აქვთ სათანადო სიღრმე, ბანკების ადგილობრივი ვალუტით გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველსაყოფად, და არც ფინანსთა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ გაფართოების მსურველი კომპანიებისათვის. ამ კონტექსტში, ბანკი გააგრძელებს პარტნიორი ბანკების უზრუნველყოფას მცირე და საშუალო ბიზნესის მიზნობრივი საკრედიტო ხაზებითა და რისკის გაზიარების გზით, როდესაც შესაძლებელია, ადგილობრივ ვალუტაში, აქცენტით მხარდაჭერის პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობს DCFTA მოთხოვნებთან შესაბამისობას, მეწარმე ქალების აქტივობას ბიზნესში და რესურსების ეფექტურობას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრების განვითარებას, კერძოდ, ვალის მხარეს, როგორც ლარში ობლიგაციების გაცემით, ისე შერჩევით ინვესტირებით ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში. იგი შეეცდება, ხელი შეუწყოს საქართველოს კაპიტალის ბაზრისათვის ახალი თვის. სავალე ინსტრუმენტების და ფინანსური პროდუქტების შემოტანას.
- პრიორიტეტი 3: ბაზრების გაფართოვება რეგიონთაშორისი კავშირების მეშვეობით:** საქართველო, როგორც მცირე, ღია ეკონომიკა რამდენიმე გლობალური სავაჭრო გზის გზაჯვარედინზე, მზადაა მიიღოს მნიშვნელოვანი სარგებელი კავშირების გაძლიერებისა და ლოგისტიკის გაუმჯობესებისგან. ამიტომ, ბანკი ეცდება მხარი დაუჭიროს ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და ლოგისტიკის ინფრასტრუქტურას, რომლებმაც შეიძლება გააძლიეროს საქართველოს სტრატეგიული პოზიცია, როგორც სატრანზიტო დამაკავშირებელი რგოლისა ერთი მხრივ, ევროპასა და თურქეთს და მეორე მხრივ, აზიასა და ჩინეთს შორის. აქვე მოიაზრება საქართველო, როგორც „ერთი სარტყლის ერთი გზის ინიციატივის“ ნაწილი და ჩრდილოეთი-სამხრეთის კავშირების ხელშემწყობი, რაც საშუალებას აძლევს სომხეთს გაზარდოს გაცვლა მის სავაჭრო პარტნიორებთან. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაღრმავებასთან ერთად, ბანკი დაეხმარება მისი, როგორც რეგიონული ლოგისტიკური პლატფორმის პოტენციალის რეალიზაციას. იმისათვის, რომ კერძო კაპიტალის მობილიზებაში დაეხმაროს, ბანკი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისთვის გააგრძელებს სათანადო სამართლებრივი ბაზის შემუშავების ხელშეწყობას (კერძო სექტორის მონაწილეობისთვის ინფრასტრუქტურაში) და მჭიდროდ ითანამშრომლებს

სხვა MDB-ებთან, მათ შორის ახლად შექმნილ AIIB-თან. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს ექსპორტიორებს ვაჭრობის დაფინანსების, მიზნობრივი ბიზნესის და DCFTA ბაზრების წვდომის საკითხებზე კონსულტაციებით

- პრიორიტეტი 4: განახლებადი ენერჯის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებისთვის:** ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორმა, რომელიც, პრაქტიკულად, ჩამოინგრა პოსტსაბჭოთა პერიოდში, ბოლო რამდენიმე წელში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, ვინაიდან ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე აღდგა, გაფართოვდა და შეიქმნა გადამცემი ქსელები. თუმცა, ენერჯის ინტენსივობა ქვეყანაში საშუალო EU28-ზე ჯერ კიდევ ბევრად მაღლაა. ენერჯეტიკის სექტორი კვლავ ზარალობს მნიშვნელოვანი სადისტრიბუციო დანაკარგებისაგან და სეზონური მიწოდების ნიმუშებისგან, რაც დეფიციტს იწვევს. დადგა სექტორების მასშტაბით რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესების საჭიროება, ინსტიტუციური ჩარჩოს და რესურსების ეფექტურობის პროექტებისთვის სიმძლავრის გაძლიერების საშუალებით. ბანკი გააგრძელებს განახლებადი ენერჯის რესურსების განვითარების მხარდაჭერას და ითანამშრომლებს კერძო სექტორის ოპერატორებთან, როგორც ადგილობრივებთან, უცხოელ სტრატეგიულ კერძო ინვესტორებთან. განაშენიანებული გარემოს, აგრობიზნესის და სამრეწველო სექტორებში, ბანკი გაზრდის ჩართულობის ენერჯეტიკისა და რესურსების ეფექტიანობის ინვესტიციებს. გარდა ამისა, მუნიციპალურ სექტორს დაეხმარება ენერგოეფექტურობის და მდგრადობის განვითარებაში, ხოლო მუნიციპალიტეტებს - ენერგოეფექტურობის ინვესტიციებთან დაკავშირებით პრიორიტეტების დასახვაში. დაბოლოს, ბანკი მხარს დაუჭერს ხელისუფლებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში COP21 შეთანხმების ფარგლებში, მათ შორის, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების ფართოდ განხორციელებით ძირითად სექტორებში.

### 3.2 მთავარი გამოწვევები და საბანკო საქმიანობა

**პრიორიტეტი 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების მეშვეობით:**

#### გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

- სტანდარტები უნდა ამალდეს პროდუქციის ხარისხის, უსაფრთხო მართვისა და სურსათის უვნებლობის სფეროებში, მათ შორის DCFTA-ს ფარგლებში გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზით.
- კომპანიის დონის ინოვაცია კვლავ დაბალია და ესაჭიროება გაუმჯობესება კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშესაწყობად, ხოლო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ფართოზოლიანი გადაცემა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვა პლატფორმები, გაფართოებასა და გაუმჯობესებას საჭიროებენ.
- პროდუქტიულობის გაუმჯობესება ფერმერულ მეურნეობებში და გადამამუშავებელ ქვე-სექტორებში ბაზარზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების გაძლიერება მოსავლის აღებამდე და აღების შემდგომ დაფინანსებისთვის, ისევე, როგორც დიდად დანაწევრებული მიწის ფართობების კონსოლიდირება, უფრო კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო სექტორის შექმნის მთავარი წინაპირობაა.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საინვესტიციო კლიმატი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო ქვეყნებს შორის, როდესაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანა ახორციელებს მნიშვნელოვან სტრუქტურულ რეფორმებს სხვადასხვა სფეროში (ბიზნესის დაწყების პროცედურები, მშენებლობის ნებართვები, ბიზნესის დერეგულირება და საბაჟო), ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობა კვლავ გაგრძელებას მოითხოვს. ეს იმიტომ, რომ იგი კიდევ უფრო ხელსაყრელი გახდეს საშინაო მეწარმეობისათვის და FDI მოსაზიდად: ზოგიერთი საჭირო ღონისძიება მოიცავს საგადასახადო რეფორმის გატარებას, კონკურენტუნარიანობის ორგანოების როლის განმტკიცებასა და გაკოტრების პროცედურების გაუმჯობესებას.
- ბაზარზე ორიენტირებული უნარების ნაკლებობა ხელს უშლის დამატებული ღირებულების საქმიანობების განვითარებას. სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში, კერძოდ, სასწავლო მარშრუტები, ხშირად ვერ უზრუნველყოფს კერძო სექტორის საჭიროებებისთვის მისადაგებული უნარების განვითარებას.

#### საოპერაციო სფერო

- ბანკი კვლავ გააგრძელებს კერძო კომპანიებისა და მცირე და საშუალო ბიზნესების შერჩევით მხარდაჭერას, პირდაპირი, ისევე როგორც

საშუამავლო ვალისა და კაპიტალის დაფინანსების საშუალებით. განსაკუთრებული აქცენტები კი გაკეთდება აგრო ბიზნესზე, მსუბუქ მრეწველობასა და ჯანდაცვაზე, სადაც საქართველოს შეუძლია სრულად ისარგებლოს იმ უპირატესობებით, რომელსაც DCFTA-ს გაზრდილი საექსპორტო შესაძლებლობები იძლევა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აგრეთვე მხარს დაუჭირს ტურიზმის სექტორს, სადაც საქართველოს პოტენციალს აძლიერებს მრავალფეროვანი შემოსავლიანი ბაზრები (ევროპის კავშირი, რუსეთი, კავკასია, ცენტრალური აზია), თუმცა ჯერაც სახეზეა ინფრასტრუქტურის (მაგალითად, სასტუმროები, კურორტები, საკონფერენციო დარბაზები) და უნარების სიმწირე. გარდა ამისა, ბანკი ეცდება განამტკიცოს ღირებულების ჯაჭვები, ჩამოყალიბებულ აგრეგატორებთან (მაგალითად, ექსპორტზე ორიენტირებული მყიდველები, ადგილობრივი გადამამუშავებელი კომპანიები, რეალიზატორები, ბუნებრივი რესურსების **ოპერატორები**) და მათ მიმწოდებლებთან ერთად მუშაობით. თავისი პროექტების საშუალებით მემშვეობით ბანკი ხელს შეუწყობს იმ პროცესებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც ახალია და ინოვაციურია საქართველოსათვის და ზრდის ხარისხის სტანდარტებს, ასევე, აუმჯობესებს მმართველობას და ბიზნესის პრაქტიკას.

- DCFTA-თან შესაბამისობის მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება პარტნიორი ბანკებისათვის სპეციალურად გამოყოფილი სესხის გაცემით DCFTA-თან დაკავშირებული ინვესტიციებისთვის ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მიერ, რომლებიც თავიანთი ტექნოლოგიებისა და დანადგარების განახლებასთან დაკავშირებით (რათა შეესაბამებოდნენ უფრო მომთხოვნ სტანდარტებს, პროდუქციის ხარისხის, ჯანდაცვასა და უსაფრთხოების ზომების, ასევე, გარემოს დაცვის თვალსაზრისით) არაერთ გამოწვევას აწყდებიან.
- ბანკი განიხილავს შესაძლებლობებს მხარი დაუჭიროს კერძო სექტორის გაძლიერებულ მონაწილეობას სამთო მრეწველობაში, რომელზეც ექსპორტის მთავარი წილი მოდის; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სტანდარტების აწევაზე (კერძოდ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით) რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი საწარმოო ჯაჭვის გაძლიერებაზე და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაზე.
- გარდა ამისა, ინვესტიციები განხორციელდება ბანკის მრჩეველთა მიერ მცირე ბიზნესებისათვის, რათა ჩამოყალიბდეს საექსპორტო პოტენციალი და მცირე და საშუალო საწარმოებს DCFTA-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დაეხმარონ: გაძლიერდეს კორპორატიული მართვის სტანდარტები და ფინანსური მართვა; ჩატარდეს სპეციალიზებული ტრენინგები აგრო ბიზნესის საკითხებზე, კერძოდ, სარძევე, სახორცე მეცხოველეობასა და მეხილეობაზე, სასტუმრო ბიზნესზე და მასთან დაკავშირებულ მომსახურეობაზე.
- ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლება ცოდნის ეკონომიკის განვითარებაზე კონცენტრირებულია, ბანკი მოიძიებს საბანკო

შესაძლებლობებს ტექნოლოგიის სექტორში და ხელს შეუწყობს ფართოზოლის გადაცემის ინფრასტრუქტურის და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას. ამასთან ერთად, მოიძიებს ახლად შექმნილ ინოვაციურ და ტექნოლოგიურ სააგენტოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

### პოლიტიკის დიალოგი

- ბანკი კვლავ გააგრძელებს ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერას, რომელიც წამყვან პლატფორმას წარმოადგენს ეფექტური დიალოგისთვის საჯარო სექტორსა და კერძო სექტორს შორის ბიზნეს გარემოს საკითხებზე, მისი სამდივნოს დაფინანსების და უნარების ჩამოყალიბების მეშვეობით, ასევე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მოსამზადებელ და ოფიციალურ შეხვედრებში. მთავარი საკითხები ინვესტორთა საბჭოს დღის წესრიგში მოიცავს შემდგომ საგადასახადო ადმინისტრაციის, პენსიების და კომერციული მართლმსაჯულების რეფორმების გაუმჯობესებას, ასევე, წვლილის შეტანას სექტორულ სტრატეგიებში. ბანკი აგრეთვე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას საქართველოს კონკურენციის ორგანოს ინსტიტუციური სიმძლავრეების განსამტკიცებლად და მისი ლობისტური ფუნქციების მხარდასაჭერად - მარეგულირებლისა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის კავშირთან.
- ბანკი შეეცდება გადაჭრას უნარების შეუთავსებლობის პრობლემა კერძო სექტორში, ხელისუფლებასთან და კერძო სექტორის კლიენტებთან თანამშრომლობის გზით. ყურადღება გამახვილდება პროფესიულ სწავლებაზე, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასა და უნარების სტანდარტების გაძლიერებაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობაზე სასტუმრო და აგრო-ბიზნესის სექტორებში.

თემა 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების მეშვეობით

	გამოწვევები	მიზნები	საქმიანობა	მონიტორინგის მაჩვენებლები
1.1	ეკონომიკაში კვლავ დომინირებს დაბალი ღირებულების მრეწველობები, ხოლო სტანდარტები უნდა გაუმჯობესდეს ისეთ სფეროებში, როგორცაა პროდუქციის ხარისხი, უსაფრთხოების მართვა და სურსათის უვნებლობა.	<b>პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ხელშეწყობა გაუმჯობესებული საოპერაციო სტანდარტებისა და DCFTA-ს ფარგლებში მოთხოვნების შესრულების მეშვეობით</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინვესტიციები შერჩეულ კერძო კორპორაციებსა და მცირე და საშუალო საწარმოებში, აქცენტით აგრო ბიზნესზე, ტურიზმზე, ჯანდაცვაზე, სამთო და მსუბუქ მრეწველობაზე და ღირებულების ჯაჭვის მიდგომებზე.</li> <li>პირდაპირი დაკრედიტება და საბოლოო მომხმარებლის დაკრედიტება, რაც მოიცავს რისკის გაზიარებას, DCFTA-თან დაახლოების ხელშეწყობას და კონსულტაციებით მცირე ბიზნესებისთვის DCFTA მოთხოვნებთან და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.</li> <li>ინვესტორების საბჭოს და კონკურენციის ორგანოების ხელშეწყობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტების რაოდენობა, რომლებიც წარმატებით ახდენენ სტანდარტებისა და საოპერაციო მოდელების დანერგვას ასრულებენ რა DCFTA-ს მოთხოვნებს (<i>სტანდარტი – 0</i>)</li> <li>ASB მაჩვენებელი მხარდ მწარმოებლურობაზე (<i>სტანდარტი – ჩამოყალიბდა პროექტის დამტკიცებისას</i>)</li> <li>ხარისხობრივი ანგარიში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების შესახებ ბანკის ჩართულობის შედეგად IC და კონკურენციის ორგანოებთან (მაგალითად, საგადასახადო ადმინისტრაცია, პენსია, კომერციული მართლმსაჯულების რეფორმა, კონკურენციის ორგანო (<i>სტანდარტი – არ შეესაბამება</i>))</li> </ul>
1.2	საქართველო ჩამორჩება თავის საინოვაციო პოტენციალს, როგორც დაბალი ინოვაციური	<b>ტექნოლოგიის გადაცემის ხელშეწყობა, ინოვაციური პროდუქტების მხარდაჭერა და</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინვესტიციები შერჩეულ კერძო კორპორაციებსა და მცირე და საშუალო საწარმოებში, რომლებიც მხარს უჭერს ახალ და ინოვაციურ პროცესებსა და ტექნოლოგიებს;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტების რაოდენობა (და ხარისხობრივი ანგარიში) რომლებითაც დაინერგა ტექნოლოგია/ინოვაციური პროცესები ბანკის დახმარებით, და რომლებიც შედის</li> </ul>

	კულტურის გამო კომპანიის დონეზე, ასევე დაბალი განვითარების საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის გამო.	<b>ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>რამდენადაც წარმოიშობა შესაძლებლობები, ინოვაციური / ტექნოლოგიური ფირმებს, ისევე როგორც ფართო ზოლის გადაცემის და დაკავშირებულ ტექნოლოგიების ხელშეწყობა.</li> </ul>	წარმატებულ ოპერაციებში. (სტანდარტი – 0)
1.3	ბაზარზე ორიენტირებული უნარების ნაკლებობა ხელს უშლის დამატებული ღირებულების საქმიანობის განვითარებას.	<b>შრომის ბაზარსა და კერძო სექტორის მოთხოვნას შორის უნარების შეუსაბამობის გადაჭრა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>სპეციალიზებული ტრენინგების უზრუნველყოფა რომელიც კონცენტრირებული იქნება აგრო ბიზნესზე (კერძოდ, სარძევე, სახორცე მრეწველობაზე და მეხილეობაზე) და სასტუმრო ბიზნესზე და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე</li> <li>პროფესიული სწავლების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა ამ სექტორებში, აქცენტით ახალგაზრდობასა და ქალებზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ახალგაზრდებისა და ქალების რიცხვი, რომლებმაც ბანკის მხარდაჭერით გაიარეს ტრენინგი უნარების დასაუფლებლად. (სტანდარტი - 0)</li> <li>ხარისხობრივი ანგარიში ტრენინგის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბების შესახებ (სტანდარტი - არ მიესადაგება)</li> </ul>
კონტექსტის ინდიკატორი: ბიზნესის გართულების ინდექსის $\Delta$ (სტანდარტი 2015-2016: ქულა 3.5 / საფეხური 112 <sup>th</sup> ). წყარო: გლობალური კონკურენტული ინდექსი (WEF)				



## პრიორიტეტი 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსების წვდომა

### გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

- მიუხედავად ძლიერი საკრედიტო ზრდისა ბოლო წლებში, ფინანსური შუამავლობის დონეები კვლავ დაბალი რჩება, საშინაო კრედიტით მშპ-ზე 47.7 პროცენტი 2014 წელს. კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტება ქრონიკულად დაბალია 16.1 პროცენტზე და მცირე და საშუალო საწარმოები კვლავ დიდად არის დამოკიდებული მესაკუთრეების კაპიტალზე და გაუნაწილებელ მოგებაზე.
- საბანკო სექტორის დოლარიზაცია კვლავ მაღალი რჩება (კერძო სექტორის კრედიტის 66%, დეპოზიტების 68%) და ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსების ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება მთავარ დაბრკოლებად უცხოური ვალუტის რისკის შემცირების გზაზე ადგილობრივი კომპანიებისთვის. პოლიტიკის ჩარჩო დე-დოლარიზაციის ხელშესაწყობად, აგრეთვე, საჭიროებს გაუმჯობესებას;
- კაპიტალის ბაზრები კვლავ დაბალ განვითარებულია და არ წარმოადგენს დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს არც საშუალო ზომის კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ მასშტაბების გაზრდა, არც ბანკებისათვის, რათა გასცენ გრძელვადიანი დაფინანსება ადგილობრივ ვალუტაში. მეტად შეზღუდული ლიკვიდურობა და სავაჭრო მოცულობებია აქციების ბირჟაზე, და ადგილობრივი ბანკები რჩებიან ერთად-ერთ ინვესტორებად კორპორატიული ობლიგაციების ბაზარზე. მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი და შესრულებადი სამოქმედო გეგმა კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებით, მოხდეს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის რაციონალიზება და დაფინანსების წყაროების გაღრმავება.
- საპენსიო რეფორმა, რომელიც ალბათ ძალაში შევა 2017 წელს, ხელს უნდა უწყობდეს აქტივების ჩამოყალიბებას და კორპორატიული ობლიგაციების მოთხოვნას. თუმცა, მიწოდება კვლავ შეზღუდულია გამომშვებთა მცირე რაოდენობით და ადეკვატური კორპორატიული მმართველობის სტანდარტებით.
- არა-საბანკო ფინანსური სექტორი კვლავ საწყის სტადიაშია. სადაზღვევო ინდუსტრიის კაპიტალიზაცია ძალიან დაბალ დონეზეა, მარეგულირებელი ჩარჩოები სექტორში სუსტადაა განვითარებული. სალიზინგო სექტორი სავარაუდოდ გაძლიერდება, მარეგულირებელ ჩარჩოებში მიმდინარე გაუმჯობესებების ფონზე.

### საოპერაციო სფერო

- კერძო სექტორისათვის ფინანსების წვდომის გაუმჯობესების მიზნით, ბანკი კვლავ განაგრძობს თავის რისკის გაზიარების ინსტრუმენტების და

საკრედიტო ხაზების განთავსებას, მათ შორის ადგილობრივ ვალუტაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მცირე და საშუალო საწარმოების ადგილობრივი ვალუტის პროგრამის საშუალებით, ასევე, ადგილობრივი პარტნიორი ბანკებისა და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, აქცენტით სესხებზე, რაც ხელს შეუწყობს DCFTA-ს სტანდარტებთან დაახლოებას, ვაჭრობის განვითარებას, ქალების აქტივობას ბიზნესში, აგრო- ბიზნესს და რესურსების ეფექტურობასთან შესაბამისობას;

- იმისათვის, რომ მოხდეს ობლიგაციების ბაზრის სტიმულირება და მისი ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება, ბანკი კვლავ გააგრძელებს ლარის ობლიგაციების გამოშვებას დაფარვის ვადის თანდათანობითი ზრდით, და ხელს შეწყობს ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების გამოშვებას. იგი აგრეთვე გააფართოვებს ხელისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტების სპექტრს შესაძლებლობების გამოკვლევის გზით, რათა გამოუმშვას ახალი პროდუქტები (მაგალითად, ინფლაციის ინდექსირებული ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციები), ან ხელი შეწყოს უზრუნველყოფილი ინსტრუმენტების (მაგალითად, დაფარული ობლიგაციები, იპოთეკით გამაგრებული ფასიანი ქაღალდები) და „მწვანე“ ობლიგაციების განვითარებას.
- ბანკი გამოიკვლევს შესაძლებლობებს, რათა ხელი შეუწყოს არა-საბანკო ფინანსურ სექტორს, კერძოდ, სალიზინგო ბაზარს.

### პოლიტიკის დიალოგი

- ფინანსური სექტორის დე-დოლარიზაციის და ვალუტის კაპიტალის ბაზრის განვითარების შემდგომი ხელშეწყობისთვის, ბანკი უზრუნველყოფს კონსულტაციებს ფულადი ბაზრის და წარმოებულ ინსტრუმენტების განმტკიცების საკითხებზე, რათა ბანკების გაუადვილდეთ უცხოური ვალუტის ვალდებულებების მართვა.

**თემა 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტისა და კაპიტალის ბაზრების განვითარება ფინანსებზე ხელმისაწვდომობისთვის.**

	<b>გამოწვევები</b>	<b>მიზნები</b>	<b>საქმიანობა</b>	<b>მონიტორინგის მაჩვენებლები</b>
1.1	შეზღუდული წვდომა გრძელვადიან ფინანსებზე ზოგიერთ სეგმენტში და, კერძოდ, ადგილობრივ ვალუტაში, კვლავ ძირითადი დაბრკოლებაა MSME-ებისათვის, შესაბამისი დონის მისაღწევად.	<b>ფინანსების წვდომის გაფართოვება აქცენტით მომსახურების დაბალი დონის სეგმენტებზე (მაგ. აგრო, ქალის მიერ მართული მცირე და სშუალო საწარმოები, რესურსების ეფექტურობა) და პროდუქტებზე (მაგ. ადგილობრივი ვალუტა, არა-საბანკო).</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო ხაზები და რისკის გაზიარების ინსტრუმენტები პარტნიორ ბანკებთან, აქცენტით აგრო ბიზნესზე, ქალების აქტივობაზე ბიზნესში, რესურსების ეფექტურობაზე, DCFTA და ვაჭრობის ხელშეწყობაზე.</li> <li>• ადგილობრივი ვალუტის პროგრამა პირველი ზარალის დაფარვით (პირდაპირი და საშუამავლო დაკრედიტება).</li> <li>• შესაძლებლობების გამოკვლევა არა-საბანკო ფინანსური პროდუქტების ხელშესაწყობად (მაგ. ლიზინგი, დაზღვევა).</li> </ul>	ჯამური რიცხვი/მოცულობა MSME ქვე-სესხებისა, რომელიც გაცემულია კლიენტი ბანკების მიერ მიზნობრივ სფეროებში (DCFTA -თან თავსებადობა, ქალი მეწარმეები, აგრო-ბიზნესი, რესურსების ეფექტურობა) და წილი ადგილობრივ ვალუტაში ( <i>სტანდარტი – ჩამოყალიბდა პროექტის დამტკიცებისას</i> )
1.2	დოლარიზაცია კვლავ მაღალია, აღსანიშნავია, მნიშვნელოვანწილად, ადგილობრივი ვალუტის კაპიტალ ბაზრის დაბალი განვითარების გამო, ასევე, უხცოვრი ვალუტის გაცვლის რისკის მართვის	<b>საბანკო სექტორის დე-დოლარიზაციის მიმართ მხარდაჭერის გაგრძელება, მათ შორის, ადგილობრივი ვალუტის სავალო კაპიტალის ბაზრის გაღრმავებით .</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციების გამოშვების გაგრძელება, გადახდის ვადის თანდათანობითი ზრდით. გამოკვლეული იქნას შესაძლებლობები ახალი ტიპის ობლიგაციების გამოსაშვებად, რათა გაფართოვდეს პროდუქტების სპექტრი (მაგ. ინდექსირებადი ობლიგაცია).</li> <li>• ადგილობრივ ვალუტაში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი ობლიგაციის გამოშვების რიცხვი, მოცულობა, დაფარვის ვადა და სავაჭრო პლატფორმები სავალო კაპიტალის ბაზარზე ბანკის მხარდაჭერით (<i>სტანდარტი – 0</i>)</li> <li>• ახალი კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების წარმატებით დანერგვის მტკიცებულება ბანკის დახმარებით (რიცხვი და ხარისხობრივი ანგარიშის დუბლიკატი, საჭიროებისდა მიხედვით) (<i>სტანდარტი – არ არის</i>)</li> </ul>

	ადეკვატური ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო.		<p>კორპორატიული ობლიგაციების გამოშვების ხელშეწყობა, ისევე როგორც უზრუნველყოფილი ინსტრუმენტების შემუშავება (მაგ. დაფარული ობლიგაციები, MBS) და „მწვანე“ ობლიგაციები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონსულტაციები ფულადი ბაზრის და წარმოებული ინსტრუმენტების გაძლიერებაზე, ბანკებისათვის უცხოური ვალუტის ვალდებულებების მართვის შესამსუბუქებლად.</li> </ul>	
<p>კონტექსტის ინდიკატორი: Δ ფინანსური ბაზრის განვითარების მაჩვენებელი (სტანდარტი 2016-2016: ქულა 3.9/ საფეხური 68-ე). წყარო: გლობალური კონკურენტული ინდექსი (WEF) Δ დოლარიზაციაში (სტანდარტი 2015, კერძო სექტორის კრედიტის 60%, დეპოზიტების 65% )</p>				

### პრიორიტეტი 3: ბაზრების გაფართოება რეგიონთაშორისი კავშირებით

#### გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

- იმისთვის, რომ გაადვილდეს საზღვარზე ვაჭრობა და გაფართოვდეს ბაზრები ექსპორტიორებისთვის, საქართველოს ჭირდება რეგიონთაშორისი კავშირების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობით. მთავარი წინაპირობა ინფრასტრუქტურული სხვაობის დასახურად ქვეყანაში ადეკვატური შესაძლებლობების განვითარება და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაა, რაც იძლევა უფრო მეტი PPP პროექტები განხორციელების საშუალებას ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სექტორებში. მისი ახლანდელი ფორმით, კონცესიების შესახებ კანონი მოძველებულია, შეზღუდულია და არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას.
- თანამედროვე ლოგისტიკური საშუალებების ნაკლებობის გამო საქართველო ვერ ახერხებს თავისი ბუნებრივი (შედარებით) უპირატესობის (როგორც პოტენციური რეგიონალური ლოგისტიკური ჰაბი) რეალიზებას, რასაც შეუძლია, ადგილობრივი დამატებული ღირებულების ზრდა შემოგვთავაზოს.
- ქვეყნის ინტეგრაცია ენერჯის რეგიონალურ ბაზრებში კვლავ არასრულყოფილია და ენერჯეტიკის სექტორი კვლავ განიცდის მნიშვნელოვან სადისტრიბუციო დანაკარგებს და ადგილი აქვს სეზონური მომარაგების სქემებს. შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მარეგულირებელი ჩარჩოები საჭიროებს განვითარებას, რათა შემდგომ გაიზარდოს ენერჯით საზღვართაშორისი ვაჭრობა.
- მაშინ, როცა (გასულ წელს) საქართველომ პროგრესს მიაღწია ვაჭრობის ლიბერალიზაციაში და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში აუცილებელი შესწორებების შეტანით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და საბაჟო კანონმდებლობაში (2014წ.), ბიზნეს სტანდარტები (მაგალითად, შესაბამისობა ევროპის კავშირის სანიტარულ მოთხოვნებთან) საჭიროებს გაუმჯობესებას DCFTA მოთხოვნების შესაბამისად. ეს ქართული კომპანიების ევროპის კავშირის ბაზრების წვდომის საშუალებას მისცემს, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და დაეხმარება თავიანთი პროდუქციის სხვა ბაზრებზე გატანაში.

#### საოპერაციო სფერო

- ბანკი ხელს შეუწყობს და მხარს დაუჭერს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გადაწყვეტებს, რათა შემდგომ განმტკიცდეს რეგიონალური ეკონომიკური კავშირები. კერძოდ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი წვლილს შეიტანს აღმოსავლეთი/დასავლეთის<sup>3</sup> და ჩრდილოეთი/სამხრეთის<sup>4</sup> სატრანსპორტო

<sup>3</sup> აღმოსავლეთი-დასავლეთის გზატკეცილის კორიდორი აკავშირებს ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს თურქეთთან და ევროპასთან. საქართველოში აღმოსავლეთ-დასავლეთი

კორიდორების კავშირების განვითარებაში სხვა MDB-ებთან (მათ შორის AIIB) ერთად და სტიმულს მისცემს PPP სტრუქტურებს სადაც ეს შესაძლებელია.

- ბანკი აგრეთვე მხარს დაუჭრს ქვეყნის პორტებისა და აეროპორტების განვითარებას, მთავარი მოთხოვნა საქართველოსათვის არის მისი პოტენციალის რეალიზება (როგორც რეგიონალური ლოგისტიკის პლატფორმა და მზარდი ტურისტული ცენტრი) და სადაც შესაძლებელია ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მონაწილეობას ამ სექტორებში.
- ბანკი გამოიკვლევს შესაძლებლობებს, გაზის შესანახი ნაგებობებისა და გაზსადენის მიერთებების განვითარების ხელშესაწყობად, საქართველოს ენერჯო უსაფრთხოებისა და გაზის რეგიონალური ბაზრებში ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, ასევე, ხელს შეუწყობს ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებას, საქართველოს შიდა შესაძლებლობებისა და რეგიონთან ურთიერთკავშირის გაძლიერებით.
- ბანკი გააგრძელებს საქართველოს ექსპორტიორების დახმარებას სავაჭრო დაფინანსების საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფით (პარტნიორი ბანკების საშუალებით) და შესთავაზებს საკონსულტაციო მომსახურებას მცირე ბიზნესებისთვის ექსპორტზე ორიენტირებულ საქმიანობაში;
- ბანკი გააგრძელებს ლოგისტიკისა და სასაწყობო ცენტრების განვითარების მხარდაჭერას, რაც საქართველოს დაეხმარება პოტენციალის გაზრდაში და რეგიონალური სატრანზიტო ჰაბის პოზიციის მოპოვებაში.

### პოლიტიკის დიალოგი

- ბანკი კვლავ გააგრძელებს PPP-სათვის მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების მხარდაჭერას, შესაბამისი პირველადი და მეორადი კანონმდებლობის შემუშავებაში დახმარებით და ხელისუფლების უნარიანობის განმტკიცებით კონცესიების წამოწყებაში და განხორციელებაში, ასევე PPP-ს სამართლებრივ რეფორმაში.
- იმისათვის, რომ გაიზარდოს რეგიონალური ენერჯეტიკული კავშირები, ბანკი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას და კონსულტაციებს ენერჯით ვაჭრობის პლატფორმის გასავითარებლად. პლატფორმა კონცენტრირებული იქნება თურქეთთან ვაჭრობაზე, რაც უმსხვილესი და ყველაზე მეტად გახსნილი ენერჯო ბაზარია რეგიონში.

---

გზატკეცილის კორიდორი გადის აზერბაიჯანის საზღვრიდან წითელ ხიდზე, ფოთამდე, ხოლო ფოთიდან სარფამდე თურქეთის საზღვარზე.

<sup>4</sup> ჩრდილოეთი-სამხრეთის გზის კორიდორი მიზნად ისახავს ირანის, სომხეთისა და საქართველოს დაკავშირებას, აღწევს ფოთის პორტამდე და ბათუმამდე შავ ზღვაზე დასავლეთით და თბილისამდე - აღმოსავლეთით.

თემა 3: ბაზრების გაფართოვება რეგიონთაშორისი კავშირების მეშვეობით:

	გამოწვევები	მიზნები	საქმიანობა	მონიტორინგის მაჩვენებლები
1.1	არასაკმარისი რეგიონთაშორისი კავშირები ხელს უშლის საზღვრზე ვაჭრობას და ბაზრის გაფართოებას	<b>ძირითად სატრანსპორტო კავშირების ხელშეწყობა, აქცენტით კომერციულ გადაწყვეტებზე და კერძო სექტორის მონაწილეობაზე.</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინვესტირება საზღვარზე სატრანსპორტო კავშირებზე (ადმოსავლეთი-დასავლეთ და ჩრდილოეთი-სამხრეთი კორიდორები), სხვა MDB-ებთან თანამშრომლობის გზით.</li> <li>პორტებისა და აეროპორტების სექტორის მხარდაჭერა აქცენტით კერძო სექტორის მონაწილეობაზე.</li> <li>ლოგისტიკისა და სასაწყობო ცენტრის მხარდაჭერა</li> <li>PPP-ების სტიმულირება, მათ შორის იურიდიული კონსულტაციებით მარეგულირებელი ჩარჩოს და უნარების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტების რაოდენობა და ხარისხობრივი ანგარიში რეგიონალური ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ინფრასტრუქტურული სამსახურების შესახებ, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ კომერციულ გადაწყვეტებს (სტანდარტი -0)</li> <li>წარმატებული ცვლილებების დადასტურება PPP-ს კანონმდებლობაში, ბანკის კონსულტაციების შედეგად (სტანდარტი - არ არსებობს), და PPP ხელმოწერილი პროექტების რიცხვი (სტანდარტი - 0)</li> </ul>
1.2	ქვეყნის ინტეგრაცია ენერჯის რეგიონალურ ბაზრებში კვლავ არასრულყოფილია და სექტორი განიცდის მნიშვნელოვან სადისტრიბუციო	<b>რეგიონალური ენერგეტიკული ინტეგრაციის გაუმჯობესება და ენერგეტიკული კორიდორების განვითარების მხარდაჭერა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოინახოს შესაძლებლობები გაზის საცავი საშუალებების განვითარებას და გაზსადენის შეერთებების მხარდასაჭერად.</li> <li>ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა საქართველოს შიდა შესაძლებლობების და რეგიონალურ ბაზრებთან ინტეგრაციის გაძლიერებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტების რაოდენობა და ხარისხობრივი ანგარიში ბანკის პროექტების შესახებ, რომლებიც წარმატებით აფართოებს რეგიონალურ ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას (სტანდარტი - 0)</li> </ul>

	დანაკარგებსა და სეზონური მომარაგების თავისებურებებს		<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკური დახმარება და რჩევები ენერჯით ვაჭრობის პლატფორმის განვითარებისთვის აქცენტით თურქეთთან ვაჭრობაზე</li> </ul>	
1.3	სირთულეები ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში კვლავ რჩება, ხოლო FDI რეგიონის მასშტაბით კვლავ დაბალია	<b>ვაჭრობის და ინვესტიციების შემოდინების მხარდაჭერა გაფართოებული რეგიონით</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავაჭრო დაფინანსების საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფის გაგრძელება</li> <li>• კონსულტაციები მცირე ბიზნესებისათვის აქცენტით ექსპორტის მზადყოფნის გაუმჯობესებაზე და სავაჭრო დაფინანსებაზე.</li> <li>• უცხოელი ინვესტორების შემოსვლის მხარდაჭერა, აქცენტით ფართო რეგიონზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Δ ესპორტების წილში, ჯამურად ექსპორტზე ორიენტირებული ASB კლიენტების ბრუნვა (სტანდარტი – ჩამოყალიბდა პროექტის დამტკიცებისას)</li> <li>• TFP დაფინანსების პროექტების ჯამური რიცხვი და მოცულობა, რომლებიც წამოწყებული იქნა კლიენტი ბანკების მიერ (სტანდარტი - 0).</li> </ul>
კონტექსტის ინდიკატორი: საზღვრებზე ვაჭრობის სტატუსის Δ (სტანდარტი 2015 – 78–ე) წყარო: ბიზნესის კეთების ანგარიში (მსოფლო ბანკი); ყოველწლიური სავაჭრო საქონელბრუნვა თურქეთთან, რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან (სტანდარტი 2015 - აშშ დოლარი 2,935 მ.)				



**პრიორიტეტი 4: განახლებადი ენერჯის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებისთვის:**

გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

- საქართველოს ენერჯეტიკის ინტენსივობა 30 პროცენტით აღემატება EU28 - ის საშუალოს, ამის გამო, მნიშვნელოვანია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება ყველა სექტორში (მაგ. მრეწველობა, საქალაქო ტრანსპორტი, საჯარო შენობები).
- მისი მთიანი რელიეფის გამო, საქართველო ძლიერ მოწყვლადია კლიმატის ცვლილების საკითხებს მიმართ (მაგ. მყინვარების დნობის ზრდა, მდინარეების ჩამონადენის ცვლილება და ნალექების დაგროვების ზრდა სანაპირო ზონებში). აუცილებელი იქნება ინსტიტუციური და ტექნიკური ღონისძიებების გატარება, რაც მიგვიყვანს წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან ისეთ მგრძობიარე სექტორებში, როგორცაა ენერჯის გამომუშავება, აგრო-ბიზნესი და წყალთან დაკავშირებული სერვისები (ირიგაცია, ინფრასტრუქტურა, დანადგარების და პრაქტიკის გაუმჯობესება).
- ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის და კლიმატის ადაპტირების ინვესტიციებისთვის პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია კონკურენტული ბაზრის სტიმულირება ეტაპობრივი ლიბერალიზაციისა და მარეგულირებელი კომისიის მიერ ბაზრის შესატყვისი რეგულირების პრაქტიკის შემოღების გზით.

საოპერაციო სფერო

- ბანკი გააგრძელებს საქართველოს განახლებადი ენერჯო რესურსების განვითარებას ინვესტიციების განხორციელების გზით მცირე, საშუალო და დიდ ჰიდროელექტროსადგურებში (მათ შორის ნესკრას ჰიდროელექტროსადგური ADB-სთან ერთად), ასევე გამოიკვლევს შესაძლებლობებს ქარის და მზის ენერჯის გამომუშავებასთან დაკავშირებით, რაც დამოკიდებულია სახსრების ხელმისაწვდომობაზე, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი კერძო ინვესტორებისაგან;
- ბანკი გააძლიერებს ძალისხმევას რესურსების ეფექტურობის ხელშეწყობის კითხით ეკონომიკის ყველა სექტორში (მაგ. მრეწველობა, საქალაქო ტრანსპორტი, საჯარო და კერძო შენობები) როგორც პირდაპირი ინვესტირებით, ისე ადგილობრივი კერძო ბანკებიდან სპეციალიზებული რესურსების ეფექტურობის საკრედიტო ხაზების გამოყოფით;
- ბანკი ხელს შეწყობს გრძელვადიანი ხედვის განვითარებას „მწვანე ქალაქთან“ მიმართებით და შესაბამისად, ფინანსურ და საკონსულტაციო მხარდაჭერას გაუწევს გარემოსდაცვით და რესურსების ეფექტურობის გამოწვევებთან დაკავშირებულ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებს. ბანკი თავის წვლილს შეიტანს სამოქმედო გეგმების

შემუშავების საქმეშიც, რაც მუნიციპალიტეტებს რესურსების ეფექტიანობის ინვესტიციებთან დაკავშირებით პრიორიტეტების დასახვაში დაეხმარება. ყურადღება გამახვილდება ასევე მუნიციპალიტეტების დახმარებაზე, რათა ამ უკანასკნელთ შეეძლოთ იმ უპირატესობებით სარგებლობა, რასაც „სუფთა განვითარების მექანიზმის“ და „E5P ინიციატივას“ მსგავს პარტნიორებთან თანამშრომლობა სთავაზობს. ევროპის კავშირის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების განხორციელების კუთხით ასევე მნიშვნელოვანი დახმარებაა გათვალისწინებული. ამ სექტორში მიმდინარე პროექტები ხელს შეუწყობენ კერძო ოპერატორების მიერ ინფრასტრუქტურული მომსახურების უზრუნველყოფას, კერძოდ, ნარჩენების მართვაში, წყალმომარაგებაში და გზების ტექნიკურ მომსახურებაში.

- ბანკი იმუშავებს თავის კლიენტებთან, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ელემენტების დასანერგად შესაბამის პროექტებში (მაგ. აგრო ბიზნესი, წყლის ინტენსიური მრეწველობები, ჰიდროელექტროენერჯია, ტრანსპორტი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა). ეს გაზრდის მდგრადობას ისეთ პრობლემებთან მიმართებაში, როგორცაა წყლის ნაკლებობა, სანაპირო წყალდიდობების რისკები, თუ გაზრდილი სითბური სტრესი.

### პოლიტიკის დიალოგი

- ბანკი მხარს დაუჭერს საქართველოს მზის ენერჯის პოტენციალის მეპინგისა და განვითარების კუთხით სამუშაოების განხორციელებას. ეს სამუშაო, აღნიშნულ სექტორში, პოტენციური კერძო ინვესტიციებისთვის ერთგვარი გზამკვლევი გახდება;
- ბანკი განიხილავს დამატებითი დახმარების უზრუნველყოფის საკითხს ხელისუფლებისათვის პირველადი კანონმდებლობის შედგენაში, რაც აუცილებელია ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის (NEEAP) წარმატებით განხორციელებისთვის;
- ბანკი წვლილს შეიტანს 2015 წლის დეკემბერში COP21 საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

**თემა 4: განახლებადი ენერჯის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ასამაღლებლად**

	გამოწვევები	მიზნები	საქმიანობა	მონიტორინგის მაჩვენებლები
1.1	კერძო სექტორის ინვესტიციები განახლებად ენერჯიაში ნაკლებობას განიცდის	იმისათვის, რომ განვითარდეს კერძო სექტორის ინვესტიცია განახლებად ენერჯიაში, იმოქმედე, როგორც ინვესტორი კატალიზატორი.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰიდრო– (მცირე, საშუალო და დიდი), ისევე როგორც მზის (მოთხოვნისა და ხელმისაწვდომლობის მიხედვით) და ქარის ენერჯის მიმართ მხარდაჭერის გააძელება</li> <li>• საქართველოს მზის ენერჯის პოტენციალის დადგენასა და განვითარებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცვლილება განახლებად ენერჯიაში, რომელიც გამომდინარეობს ბანკის მხარდაჭერით (მგტს-ში) (<i>სტანდარტი – 0; (Δ – 2013-2015: 1,011,649 მგტს)</i>)</li> </ul>
1.2	ენერჯეტიკის ინდუსტრია კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება EU 28 საშუალოს, როგორც გარემოს დაცვის, ასევე კონკურენტულობის ღირებულების თვალსაზრისით.	ენერჯის ინტენსიურობის შემცირების ხელშეწყობა ყველა სექტორში და მწვანე ქალაქების განვითარების მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>• რესურსების ეფექტურობის პირდაპირი ინვესტიციები ყველა სექტორში (მაგ. მრეწველობა, საქალაქო ტრანსპორტი, საზოგადოებრივი და კერძო შენობები)</li> <li>• ენერჯეტიკისა და რესურსების ეფექტურობის საკრედიტო ხაზების სესხები პარტნიორ ბანკებისთვის</li> <li>• დაფინანსება და კონსულტაციები მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებისთვის, რათა გადაიჭრას გარემოსდაცვითი და რესურსების ეფექტურობის გამოწვევები, („მწვანე ქალაქების“) ჩარჩო და კერძო სექტორის მონაწილეების ხელშეწყობა</li> <li>• NEEAP-ის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი პირველადი კანონმდებლობის განსაზღვრის ხელშეწყობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ენერჯის დაზოგვის მოცულობა მიღწეული ბანკის ინვესტიციებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეთოდოლოგიის საფუძველზე <math>\text{toe/yr}</math> (<i>სტანდარტი – 0; (მოცულობა 2013-2015-თვის: 5,000,215 GJ)</i>)</li> <li>• CO<sub>2</sub> ემისიების შემცირება ბანკის საქმიანობების <math>\text{tCO}_2\text{/yr}</math> (<i>სტანდარტი – 0; (შემცირება 2013-2015: 502.9 kCO<sub>2</sub>)</i>)</li> </ul>

<p>1.3</p>	<p>მთიანი რელიეფის გამო, საქართველო ძალიან მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ.</p>	<p><b>კლიმატის ცვლილებთან ადაპტაციის მხარდაჭერა ყველა სექტორში</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს COP21 წამოწყებების ხელშეწყობა</li> <li>• კლიმატის ცვლილებთან ადაპტაციის ელემენტების დანერგვა შესაბამის პროექტებში (აგრო ბიზნესი, წყლის ინტენსიური ინდუსტრიები, ჰიდრო-ელექტრო სადგურები, ტრანსპორტი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერაციების რაოდენობა და ხარისხობრივი ინფორმაცია პროექტების წარმატებით განხორციელების შესახებ, რაც უზრუნველყოფს კლიმატთან ადაპტაციის თანა-ბენეფიტებს (სტანდარტი – 0)</li> </ul>
<p>კონტექსტის ინდიკატორი: საქართველოში ემისიის ინტენსივობის <math>\Delta</math> (სტანდარტი: 2013 0.68 კგ CO<sub>2</sub>/2005 USD GDP, წყარო IEA)</p>				

### 3.3 ქვეყნის სტრატეგიის განხორციელების პოტენციური რისკები

შემოთავაზებული სტრატეგია საქართველოსათვის ამბიციურია, თუმცა რეალისტური. ამაზე ქვეყანაში ბანკის წარსული გამოცდილება და რეფორმებისთვის ზოგადად ხელსაყრელი გარემო მეტყველებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უნარი, განახორციელოს თავისი სტრატეგია, აღმოჩნდება გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, რაც არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს. სადაც შესაძლებელია, ბანკი იმუშავებს იმისთვის, რომ გადაჭრას და შეამციროს ამგვარი რისკები პროაქტიური და მდგრადი ჩართულობით თავის კლიენტებთან, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის პარტნიორებთან და მთავრობასთან.

სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკები მოიცავს შემდეგს:

- მაშინ, როდესაც მთავრობას გააჩნია ნათელი ხედვა მომავალთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკა რჩება მოწყვლადი საგარეო დარტყმების მიმართ. მიმდინარე ანგარიშის დაგროვილმა მაღალმა დეფიციტებმა (11.8 პროცენტი 2015 წელს) გამოიწვია საგარეო ვალის სწრაფი ზრდა (107 პროცენტი 2015 წელს), ხოლო უცხოური ვალუტის გაცვლის რეზერვები, თუმცა ადეკვატურია, მოკრძალებული რჩება (ექსპორტის 3.2 თვე). დოლარიზაცია საბანკო სექტორში კვლავ მაღალი რჩება, ქმნის მოწყვლადობას როგორც ბანკებისთვის, ასევე მსესხებლებისთვის ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში. დამატებითი კორპორატიული საგადასახადო შეღავათების შემოღებამ (მაგ. „ესტონური მოდელი“, ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონები) და პირობითი ვალდებულებების ზრდამ (მაგ. ენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებებთან და PPP სქემებთან დაკავშირებული ვალდებულებები) შეიძლება აგრეთვე შექმნას ფისკალური რისკები.
- სტრატეგიის განხორციელების საერთო წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეინარჩუნებს ხელისუფლება რეფორმის მომენტს და გააგრძელებს განხორციელების სამუალებების ჩამოყალიბებას. ეს მოიცავს საკანონმდებლო რეფორმებს, ისევე როგორც DCFTA მოთხოვნების ეფექტურ განხორციელებას, შემჭიდროვებულ ვადებში. როგორც ნაჩვენებია იყო წინა სტრატეგიული პერიოდის პირველი ნახევრის განმავლობაში, პერსონალის სწრაფი როტაცია წამყვან სამინისტრო თანამდებობებზე მიგვიყვანდა ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის და რეფორმების მსვლელობის ტემპის შენელებამდე.
- საგარეო კოფლიქტების ესკალაციამ ფართო რეგიონში (მთიანი ყარაბაღი, უკრაინა, სირია) შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს FDI შემოდინებაზე, ვინაიდან, უცხოელი ინვესტორები განახორციელებენ ფართო რეგიონის რისკის განაკვეთის გადაფასებას და ზემოქმედებას მოახდენენ ბანკის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს პროგრესს თავისი ოთხი პრიორიტეტის მიხედვით;
- ახალგაზრდობის ჩართულობა (1 თემის მიხედვით) ბანკისთვის ახალი სფეროა.. პროგრესი განპირობებულია ბანკის უნარით, ადგილობრივ დონეზე განახორციელოს ეფექტური პარტნიორობა და კერძო სექტორის

კლიენტების მზადყოფნით აქტიურად ჩაეროს ამ შესაძლებლობის რეალიზებაში;

- ბანკის უნარი, უზრუნველყოს დაფინანსება ლარში, რომელიც განხილულია 2 თემის მიხედვით (ადგილობრივი ვალუტა და კაპიტალის ბაზარები), კვლავ დამოკიდებელი იქნება ადგილობრივი ვალუტით დაფინანსების წვდომაზე კონკურენტული პირობებით;
- ბანკის უნარი, გააზრებულად დაუჭიროს მხარი რეგიონალურ ინტეგრაციას, როგორც განხილულია 3 თემაში, განპირობებულია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყებით სტრატეგიის პერიოდში, წინსვლით PPP კანონის განხორციელებაში, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ეფექტური მობილიზაციით და კერძო სექტორის დაფინანსებით, რადგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, როგორც ჩანს, არ უზრუნველყოფს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საჭირო დაფინანსების ნაწილზე მეტს.
- თემა 4-ის წარმატებით განხორციელება (განახლებადი ენერჯია და რესურსების ეფექტურობა) მოითხოვს ხელისუფლებისგან სვლის გაგრძელებას ენერჯეტიკის ბაზრების ლიბერალიზაციის გზაზე, მათ შორის რეგულირებული ფასების მოხსნას საბოლოო მომხმარებლის უმეტესობისათვის. ამგვარი რეფორმები ხშირად არაპოპულარულია და ამის გამო, ალბათ მხოლოდ თანდათანობით განხორციელდება.
- შეზღუდული ფისკალური სივრცისა და მიღწევადობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო საწარმოების უნარების ჩამოყალიბების, საინვესტიციო კლიმატის და ენერგოეფექტურობის პროექტები მოითხოვს დონორთა მნიშვნელოვან რესურსებს, როგორც TC, ასევე საინვესტიციო გრანტებს.

### 3.4 ბუნებრივი და სოციალური გარემოს გავლენა ბანკის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობებზე

ევროპის კავშირთან დადებული 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ავალდებულებს, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მიიღოს ევროპის კავშირის რიგი დირექტივები. ეს, როგორც მოსალოდნელია, გამოიწვევს რამდენიმე ძირითად სამართლებრივ, მარეგულირებელ და ინსტიტუციურ ცვლილებას მომდევნო წლებში, კერძოდ, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. მოსალოდნელია გავლენა ყველა სექტორზე, რომლებშიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ტრადიციულად საქმიანობდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირის წყლის საკანონმდებლო ჩარჩო დირექტივის პროგრესული მიღება ზემოქმედებას მოახდენს როგორც მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე, ასევე ჰიდროენერჯეტიკის სექტორებზე. მსხვილი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზემოქმედებას მოახდენს ევროპის კავშირის ჰაბიტატების შესახებ დირექტივა. ევროპის კავშირის დირექტივები, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების განკარგვასა და ემისიებთან, აგრეთვე გავლენას მოახდენს წარმოებასა და მომსახურებაზე, ისევე როგორც მუნიციპალურ და გარემოსდაცვით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მოსალოდნელია, რომ ევროპის კავშირის ამ

დირექტივების განხორციელება გამოიწვევს გარკვეულ პრობლემებს და შეიძლება საჭირო გახდეს ტექნიკური თანამშრომლობის განხილვა საქართველოს დასახმარებლად პროექტისა თუ ეროვნულ დონეზე უნარების ჩამოყალიბებისა, თუ ინსტიტუციური გაძლიერების მეშვეობით.

რაც შეეხება მუნიციპალურ სექტორში ინვესტიციებს, ბანკი მოიძიებს აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის გარემოსდაცვითი პარტნიორობის (E5P) თანადაფინანსებას. E5P უზრუნველყოფს უმეტეს წილად კაპიტალური დანახარჯების გრანტებს, რათა დაეხმაროს ბანკის დაკრედიტებას ისეთი პროექტებისთვის, როგორცაა ენერჯის ეფექტურობის ღონისძიებები საზოგადოებრივი შენობებისათვის, ნარჩენების მართვა, ქუჩების განათება და ადგილობრივი ტრანსპორტი, მაშასადამე, აქვე იგულისხმება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემოსდაცვითი საჭიროებების უზრუნველყოფა და რეფორმებისა და პოლიტიკის დიალოგისთვის ნიადაგის შექმნა.

საქართველოში არსებობს გარკვეული ინიციატივები, რომლებიც დაკავშირებულია კანონიერად დაცულ თუ საერთაშორისოდ აღიარებულ ბიო-მრავალფეროვნების ღირებულების ზონებთან, მაგალითად, მათი საზღვრების კონსოლიდაცია ან მათი ზონებად დაყოფის გაუმჯობესება ან მართვა. პროექტები, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ იმ ადგილების სიახლოვეს, რომლებსაც საგანგებოდ დაცულის სტატუსი გააჩნიათ, უნდა განვითარდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან კონსულტაციის გზით, რათა მოხდეს უარყოფითი ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე დაყვანა და მოვიპოვოთ სინერჯისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები. TC-ის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას პროექტის დონეზე, რათა დავეხმაროთ იმ ინიციატივების განხორციელებაში, რომლებიც გამიზნულია ამგვარი სინერჯების გაძლიერებაზე ან ბიო-მრავალფეროვნების აღდგენის ხელშეწყობაზე. ეს კი შეიძლება მოიცავდეს სატყეო მასივების აღდგენის ინიციატივებს, საცდელი აღდგენითი პროგრამის მსგავსად, რომელიც დაკავშირებულია დარიალის ჰიდრო-ელექტროპროექტთან.

საქართველოს შრომის კანონები განახლებულ და შესწორებულ იქნა სხვადასხვა დროს 2008 წლის შემდგომ, რაც დაგვირგვინდა ახალი შრომის კოდექსის მიღებით 2013 წლის ივნისში. მიუხედავად ბოლო დროის მოდიფიკაციებისა ILO-სთან კონსულტაციების გზით, კვლავ რჩება სხვაობები საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის PR2 მოთხოვნებს შორის, ბავშვთა შრომასთან, კოლექტიურ გარიგებასთან, სამუშაო ადგილების შემცირებასთან, მუშაკების განთავსებასთან, გენდერულ დისკრიმინაციასა და უშტატო მუშაკებთან დაკავშირებით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გააგრძელებს ძალისხმევას იმ მიმართულებით, რომ კლიენტების ადამიანური რესურსების – HR პოლიტიკა და შრომის პრაქტიკა შეესაბამებოდეს ILO-ს შესაბამის კონვენციებს, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

ოკუპაციური უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (OSH) ის მთავარი სფეროა, რომელიც გულდასმით იქნება განხილული ევროპის რეკონსტრუქციისა და

განვითარების ბანკის მიერ ინდივიდუალური პროექტების შეფასებისას. 2015 წელს შრომის ახალი ინსპექცია შეიქმნა და ახლა იგი ევროპის კავშირის, OSHA და ILO-ს დახმარებით, შრომის ინსპექტორების უნარების ჩამოყალიბების გარდამავალ პერიოდშია. საგზაო უსაფრთხოების სტანდარტები საჭიროებს გაუმჯობესებას და ავტო-საგზაო შემთხვევები ჩვეულებრივი მოვლენაა. სადაც აუცილებლად მიიჩნევენ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განიხილავს დახმარების უზრუნველყოფის საკითხს TC ფინანსებიდან თემებისა და კლიენტებისათვის, რათა გაუმჯობესდეს საგზაო უსაფრთხოება, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მომსახურების სატრანსპორტო საშუალებებთან და ოკუპაციურ საგზაო რისკებთან დაკავშირებით.

არა-რეგისტრირებული მიწების/აქტივებისა და საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს შორის განსხვავებების გამო, მიწის შეძენა კვლავ გამოწვევად რჩება კერძო ინვესტორებისთვის საქართველოში. მხოლოდ ოფიციალური საკუთრების უფლებებია აღიარებული. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გააგრძელებს დახმარებას TC ფონდებიდან და იმუშავებს კლიენტებთან, რათა დაარეგისტრონ მიწაზე საკუთრების უფლება და უზრუნველყონ, რომ ექსპროპრიაციის, კომპენსაციისა და არსებობის საშუალების აღდგენის პროცესები, განხორციელდეს ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვეულებითი (ჩვეულებაზე დაფუძნებული უფლება) საკუთრების უფლებების პატივისცემის ჩათვლით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოტენციური ჩართვა საქართველოს მოპოვებით სექტორში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით: აუცილებელი იქნება კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა.

საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა და მოქალაქეთა თანასწორობის ნებისმიერი დარღვევა (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, რელიგია, წარმოშობა თუ ეროვნება) აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით. ბანკი კვლავ გააგრძელებს მონიტორინგს და გათვალისწინებს ტექნიკური დახმარების შესაძლებლობას მისი კლიენტების შესაბამისად, რათა შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარის ჩართულობის მაღალი დონე იმ ადგილობრივ ენებზე, რომელზეც ლაპარაკობენ სხვადასხვა უმცირესობები საქართველოში. მთელი ეს ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ დაინტერესებული მხარეების პრობლემები და პრიორიტეტები გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ამასთან ერთად, საქართველოს აქვს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და იგი საჭიროებს დაცვას. გრინფილდის ინფრასტრუქტურული პროექტები და სამშენებლო სამუშაოები უნდა მიმიდინარეობდეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან კონსულტაციებით. უნდა შემუშავდეს სპეციალური მიდგომები პოტენციურად მავნე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.



## დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება

საქართველო ერთგულია მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა, ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების 1 მუხლის შესაბამისად, და იყენებს მათ. ვალდებულებათა შესრულება კანონის უზენაესობის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროებში მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარებისათვის.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, 2003 წელს მიღებული ბოლო სტრატეგიის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებდა რეფორმის განხორციელებას, რომლის მიზანიც საქართველოს ევროპული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოდ გარდაქმნა იყო. ამ გზაზე შესამჩნევი მიღწევები აღინიშნება, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საბოლოო გაფორმების ჩათვლით. საქართველომ შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმებში (VLAP) დასახული ყველა კრიტერიუმი და, შესაბამისად, შეასრულა შესაბამისი კრიტერიუმები მისი მოქალაქეების სავიზო მოთხოვნებისგან გასათავისუფლებლად ევროკავშირში მოგზაურობისას.<sup>5</sup> კომისიამ უკვე დააყენა წინადადება ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის წინაშე და მისი მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უფლება ექნებათ, გაემგზავრონ შენგენის ზონაში ვიზის გარეშე 90 დღემდე პერიოდებით.

ამ მიღწევების მიუხედავად, რჩება გარკვეული გამოწვევები, რაც მოიცავს ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის სათანადო კონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფის, პარტიათა შორის დიალოგის წარმოების და სამართლებრივი პრაქტიკის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებას.

## სამართლიანი არჩევნები და წარმომადგენლობითი მთავრობა

### *თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნები*

კონსტიტუცია მოქალაქეებს უფლებას აძლევს, შეცვალონ ხელისუფლება პერიოდული არჩევნების გზით, რაც დაფუძნებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე.

ძირითადი საარჩევნო კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, საარჩევნო კოდექსს, კანონს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კანონს და სისხლის სამართლის კოდექსს. კონსტიტუციით გათვალისწინებულია აღმასრულებელი შტო, რომელიც ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის და გამოცალკევებული სასამართლო

<sup>5</sup> ევროკომისია, კომისიის ანგარიში ევროპარლამენტის და საბჭოს მიმართ, მეოთხე შუალედური ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, 2015 წლის 18 დეკემბერი.

ხელისუფლების მიმართ. პრეზიდენტს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით ხუთი წლის ვადით და შეიძლება იმსახუროს ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა. საქართველოს ერთპალატიანი პარლამენტი, რომელსაც ირჩევენ ოთხი წლის ვადით, შედგება 150 წევრისგან, ამათგან 77 - არჩეული პარტიული სიით და 73 - ერთწევრიანი რეგიონებიდან. ოპოზიციური პარტიების მხრიდან შერეულ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანის მზარდი მოთხოვნის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქების ზომის დიდი შეუსაბამობები არღვევს ხმების თანასწორობას, დებატები საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, გაგრძელდება.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარდა. არჩევნებზე მონიტორინგს აწარმოებდა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IEOM), რომელიც შედგებოდა OSCE / ODIHR, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეისგან. სადამკვირვებლო მისიის თქმით, „27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ეფექტურად ორგანიზებული და გამჭვირვალე იყო და ჩატარდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. საარჩევნო კამპანიის დროს დაცული იყო გამოხატვის, გადაადგილების და შეკრების ძირითადი თავისუფლებები და კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ კამპანია შეზღუდვების გარეშე ეწარმოებინათ. მედია ნაკლებად პოლარიზებული იყო ვიდრე 2012 წლის არჩევნების დროს და მოსაზრებათა ფართო სპექტრი წარმოადგინა. არჩევნების დღეს, ამომრჩევლებმა შეძლეს თავისი არჩევანის თავისუფლად გამოხატვა“.<sup>6</sup>

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა აღნიშნა ძალაუფლების გადაცემა დემოკრატიული გზით - ქვეყანაში პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. არჩევნები კონკურენტუნარიანი იყო - მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით მთელი კამპანიის მანძილზე. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თოთხმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და მრავალმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რამაც ამომრჩეველს არჩევანის გაკეთების ფართო შესაძლებლობა მისცა.

პარლამენტის შუალედური არჩევნები ჩატარდა 2013 წლის აპრილში სამ ერთმანდატიან ოლქში, როდესაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში არჩეული პარლამენტის წევრები შემდგომ სამთავრობო თანამდებობებზე დაინიშნენ. შუალედური არჩევნები „კონკურენტული იყო 13 პოლიტიკური პარტიით, 1 საარჩევნო ბლოკით და 4 საინიციატივო ჯგუფით, რომლებმაც სულ 23 კანდიდატი წარმოადგინეს. ზოგადად, კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად განეხორციელებინათ კამპანია“.<sup>7</sup>

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წელს ჩატარდა კონკურენტულ გარემოში. რამდენიმე შესწორება იქნა მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კოდექსთან კანონმდებლობის შესაბამისობაში

<sup>6</sup> OSCE / ODIHR, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 27 ოქტომბერი, საბოლოო ანგარიში, 2014 წლის 14 იანვარი, გვ .1.

<sup>7</sup> OSCE / ODIHR, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები 2013 წლის 27 აპრილი, ექსპერტთა საარჩევნო გუნდი, საბოლოო ანგარიში, 2013 წლის 9 ივლისი, გვ .1.

მოსაყვანად. OSCE / ODIHR არყოფნის პირობებში (რომლებიც, ჩვეულებრივ, არ ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვებას) ამ არჩევნებზე მონიტორინგს ახორციელებდა მრავალი საშინაო და სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია. არჩევნები მიჩნეულ იქნა შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, მხოლოდ უმნიშვნელო პროცედურული დარღვევები იქნა აღნიშნული, რომლებსაც, როგორც მიიჩნის, არ მოუხდენია გავლენა შედეგებზე.<sup>8</sup>

ბოლო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერში ორ ტურად ( 8 და 30 ოქტომბერს); მმართველმა ქართულმა ოცნებამ, კონსტიტუციური უმრავლესობის უფლებით, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი ვადით დარჩა მთავრობის სათავეში; არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ (IEOM), OSCE / ODIHR-ის ხელმძღვანელობით, არჩევნების ორივე ტური შეაფასა, როგორც „კონკურენტული და კარგად ორგანიზებული“ და აღნიშნა, რომ მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები „ძირითადად დაცული“ იყო<sup>9</sup>;

#### *ხელისუფლების დანაწილება და ეფექტური კონტროლი და დაბალანსება*

2010 წლის ოქტომბერში მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შეამცირა პრეზიდენტის უფლებამოსილება და მნიშვნელოვნად გააძლიერა პრემიერ მინისტრის პოზიცია. ვენეციის კომისიამ, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოს საკონსტიტუციო საკითხებზე, დაახასიათა ეს ცვლილებები როგორც „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“, მაგრამ პარლამენტის შეზღუდული გავლენა ხარვეზად ჩათვალია.<sup>10</sup>

ევროკომისიამ ასევე რეკომენდაცია გასცა საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლების შემდგომ განცალკევებაზე, კონტროლსა და ბალანსზე.<sup>11</sup>

#### *არჩეული წარმომადგენლების მიერ ეფექტურად მართვის შესაძლებლობა*

საქართველოს არჩეულ ოფიციალურ პირებს აქვთ ეფექტური მართვის შესაძლებლობა შეზღუდვების გარეშე.

სამხედრო სისტემა სამოქალაქო კონტროლის ქვეშაა და არ მონაწილეობს ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საზოგადოებასა და პოლიტიკაზე დიდია, რაც ასახავს ქვეყანაში ეკლესიის განსაკუთრებულ როლს და სტატუსს.

<sup>8</sup> ევროკომისია, ერთობლივი კომუნიკე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოში განხორციელების შესახებ პროგრესი 2014 წელს, 2015 წლის 25 მარტი გვ. 5.

<sup>9</sup> OSCE / ODIHR, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო, საპარლამენტო არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერი, წინასწარი დასკვნები, გვ 1 და მეორე ტური, 2016 წლის 30 ოქტომბერი, გვ.1.

<sup>10</sup> საბოლოო მოსაზრება საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუცია ცვლილებების და შესწორებების შეტანის შესახებ - მიღებულია ვენეციის კომისიის 84-ე პლენარულ სესიაზე, 2010 წლის 15-16 ოქტომბერი.

<sup>11</sup> ევროკომისია, ერთობლივი კომუნიკე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოში განხორციელების შესახებ პროგრესი 2014 წელს, 2015 წლის 25 მარტი გვ. 3.

## სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ჩართულობა

### *სამოქალაქო საზოგადოების მასშტაბი და დამოუკიდებლობა*

ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, უმეტეს შემთხვევაში, რეგისტრირდებიან და მუშაობენ ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვების გარეშე; თავისუფლად აქვთ კვლევის ჩატარების და მათი დასკვნების გამოქვეყნების შესაძლებლობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO) ახორციელებენ ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს და მათი დიალოგი პარლამენტთან ძლიერი რჩება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსება პრობლემატური რჩება, განსაკუთრებით, შედარებით მცირე ზომის და ნაკლებად გამოცდილი ორგანიზაციებისათვის და დაფინანსების წყაროები ძირითადად შემოიფარგლება უცხოელი დონორებითა და მდიდარი ქართველი ფიზიკური პირებით.

კონსტიტუცია და კანონი უზრუნველყოფს გაერთიანების და შრომითი და პროფესიული კავშირების თავისუფლებას და ეს უფლებები, ზოგადად, დაცულია პრაქტიკაში. შრომის კოდექსი უზრუნველყოფს ყველა მუშაკის მიერ დამოუკიდებელი კავშირების შექმნის და მათში გაერთიანების და გაფიცვის და კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების უფლებას.

### *მედიის დამოუკიდებლობა და პლურალიზმი, რომელიც ცენზურის გარეშე მუშაობს*

საქართველოში მედია სახელმწიფო ცენზურის გარეშე მუშაობს და გამოხატავს მოსაზრებათა ფართო სპექტრს, მაგრამ, ამავე დროს, კვლავ პოლიტიკურად პოლარიზებულია. კონსტიტუცია უზრუნველყოფს პრესის თავისუფლების გარანტიებს და ბეჭდური მედია პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრს სთავაზობს მკითხველს.

პროგრესის შესახებ ევროპის კომისიის უახლეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მედია გარემო გაუმჯობესდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის და გამოხატვის და აზრის თავისუფლების უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს.<sup>12</sup>

მედია მფლობელობა ძლიერ კონცენტრირებული რჩება და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მედია-საშუალება პოლიტიკურად მიკერძოებულია, პოლიტიკოსებთან მათი პირდაპირი კავშირი ნაკლებია, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო.

ტელევიზია რჩება ინფორმაციის ძირითადი წყაროდ. ბევრი გაზეთი და რამდენიმე სატელევიზიო არხი ასევე ინტერნეტითაა წარმოდგენილი. ინტერნეტის შეჭრის დონე საქართველოში სწრაფად იზრდება, თუმცა ის კვლავ შედარებით დაბალი რჩება სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. უფრო კონკრეტულად, ბოლო წლების განმავლობაში, მომხმარებლის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 7.6

<sup>12</sup> ევროკომისია, ერთობლივი კომუნიკე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოში განხორციელების შესახებ პროგრესი 2014 წელს, 2015 წლის 25 მარტი.

პროცენტიდან 2006 წელს 48.9 პროცენტამდე 2015 წელს.<sup>13</sup> სოციალური მედიასაშუალებები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; „ფეისბუქი“ ძირითადი მომსახურებაა, რომელსაც ქართველები იყენებენ.

### *სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის მრავალფეროვანი გზები*

მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონსულტაციები სამართლებრივი რეფორმის რიგ კანონპროექტებთან დაკავშირებით, ამით მათი ხმა პოლიტიკის შემუშავების პროცესში უფრო ძლიერდება, ვინაიდან ხელისუფლება უფრო ღიაა დაინტერესებული პირების კომენტარების გასათვალისწინებლად ახალი კანონმდებლობის მომზადებისას. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აცნობიერებენ, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი შეიძლება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

### *პოლიტიკური პარტიის შექმნის თავისუფლება და ორგანიზებული ოპოზიციის არსებობა*

პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, მხოლოდ, რეგისტრაციის მოთხოვნები. საარჩევნო კოდექსი საშუალებას აძლევს უპარტიო პირებს წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა არჩევნებში.

მთავარი ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ) წარმოდგენილია პარლამენტში. თანამშრომლობა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარებისათვის. ეს უზრუნველყოფს სივრცეს პარტიათა შორის დიალოგისთვის დემოკრატიის კონსოლიდაციის ინტერესებიდან გამომდინარე, აქცენტს ისეთ პრიორიტეტებზე, როგორცაა მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ცხრამეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და ექვსმა საარჩევნო ბლოკმა, რომელიც მოიცავდა კიდევ თექვსმეტ პარტიას.

### **კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა**

#### *კანონის უზენაესობა*

კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და ამას ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს.

სამართლიანი სასამართლოს უფლება გათვალისწინებულია კანონმდებლობით, თუმცა, პროკურორის დიდი უფლებამოსილება და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერების აუცილებლობა ზღუდავს ამ უფლებას. კონსტიტუცია და კანონი ასევე კრძალავს თვითნებურ დაპატიმრებას და დაკავებას.

<sup>13</sup> Internet World Stats: <http://www.internetworldstats.com/asia/ge.htm>

## სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას, რჩება გარედან ზემოქმედების პრობლემა. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა შექმნა მოსამართლეების მეტი თავისუფლების საფუძველი, თუმცა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მყიდვია.<sup>14</sup>

ამ სფეროში აქტუალურ საკითხებად მიიჩნევა მოსამართლეთა შერჩევის, ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანის და სრულად გამჭვირვალე პროცედურის გარეშე მოსამართლეებისთვის საქმეების დანიშვნის პრაქტიკა. ეს პრაქტიკა არ შეიძლება მოპასუხის დამოუკიდებელ სასამართლოზე კანონით დადგენილი უფლების დარღვევის ტოლფასი იყოს, მაგრამ ეს ბაღებს შემფოთებას როგორც მთლიანობაში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან, ისე საზოგადოების მიერ ასეთი დამოუკიდებლობის აღქმასთან დაკავშირებით.<sup>15</sup>

ევროპის კომისიის მიხედვით, საქართველოს მოუწევს სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან.<sup>16</sup>

სასამართლო სისტემის შემდგომი რეფორმირების მიზნით, პარლამენტში აქტიურად განიხილება ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიებზე აქცენტირება. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მათ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები მკაფიოდ არის გაცხადებული. ამავდროულად, თანამდებობას ნებისმიერი კანდიდატი დაიკავებს ღია კონკურსში მონაწილეობის გზით, ხოლო ერთი სასამართლოდან მეორეში მათი გადაყვანა რეგულირებას დაექვემდებარება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის გამჭვირვალობის ხარისხი გაიზრდება. საქმეების ავტომატური განაწილების პრინციპი დაინერგება, სხვ.

## ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანასწორობა კანონის წინაშე

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე.

თუმცა, პრაქტიკაში, მთავარი აქტუალური საკითხი ეხება პროკურორის დიდ უფლებამოსილებას და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდის აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი უზრუნველყოფს ხელისუფლების სხდომების და დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობას, იყო შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების მხრიდან უარი იყო ნათქვამი მათ წვდომაზე.

<sup>14</sup> ევროკომისია, ერთობლივი კომიუნისე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოში განხორციელების შესახებ პროგრესი 2014 წელს, 2015 წლის 25 მარტი, გვ. 2.

<sup>15</sup> OSCE / ODIHR, სასამართლო სისტემის მონიტორინგის ანგარიში საქართველოში, 2014 წლის 9 დეკემბერი, გვ. 7.

<sup>16</sup> ევროკომისია, ერთობლივი კომიუნისე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოში განხორციელების შესახებ პროგრესი 2014 წელს, 2015 წლის 25 მარტი, გვ. 3.

პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხის გასაზრდელად, პროკურორების საქმიანობაში სრული ჩაურევლობის უზრუნველსაყოფად და მათი პროფესიული ამოცანების შესრულებისთვის იურიდიული საფუძვლის შესაქმნელად, ფუნქციური მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა განახორციელა. ეს ინიციატივა პარლამენტში დამტკიცდა, ხოლო ძალაში 2015 წლის სექტემბერში შევიდა.

### *კორუფციის თავიდან აცილების ეფექტური პოლიტიკა და ინსტიტუტები*

კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის სასჯელს კორუფციისთვის საქართველოს ოფიციალური პირებისათვის. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული კორუფციის თავიდან აცილებისა და ორგანიზებული დანაშაულის შემცირების თვალსაზრისით. კორუფციის მზომი სხვადასხვა ინდიკატორების მიერ აღიარებულია ქვეყნის პროგრესი ამ სფეროში, საქართველო ამ კუთხით ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის სახელდება. კორუფციასთან ბრძოლის უკანასკნელი ინიციატივები სხვა მრავალ შემადგენელთან ერთად მოიცავს სრულყოფილი, ანტი-კორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მათ მონიტორინგის ინსტრუმენტებსა და ბერკეტებს, ეროვნული ანტი-კორუფციული საბჭოს გაძლიერებას, ეფექტური სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფორმირებას და შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით, 2015 წელს საქართველოს 48-ე ადგილი მიენიჭა 168 ქვეყანას შორის. კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი უშუალო მეზობელ ქვეყნებში ბევრად უფრო მაღალია: სომხეთი 95-ე ადგილზეა ხოლო რუსეთი და აზერბაიჯანი - ორივე 119 ადგილზე.<sup>17</sup>

„ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO) -ის ბოლო შეფასების (2015) ანგარიშის მიხედვით, საქართველოს აღარ დარჩა შესასრულებელი კორუფციის წინააღმდეგ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ჯგუფის არცერთი რეკომენდაცია. ყველა რეკომენდაცია პირველი თემის (ინკრიმინაცია) დამაკმაყოფილებელ დონეზეა შესრულებული, ხოლო მეორე თემის (პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა) ნაწილობრივ ან დამაკმაყოფილებელ დონეზეა შესრულებული. რაც შეეხება კორუფციის კრიმინალიზაციას, GRECO კმაყოფილი დარჩა კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი პროტოკოლის რატიფიცირებით და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რაც შეიძლება მალე მიიღოს მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ გამოირიცხოს ეფექტური სინანულის შესახებ დებულებების ბოროტად გამოყენება.<sup>18</sup>

### **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები**

<sup>17</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, კორუფციის აღქმის ინდექსი (2015).

<sup>18</sup> GRECO, შეფასების მესამე რაუნდი, შესაბამისობის მეორე ანგარიში საქართველოს შესახებ, პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა, 2015 წლის 11 აგვისტო.

სიტყვის, ინფორმაციის, რელიგიის, სინდისის, გადაადგილების, გაერთიანების, შეკრებისა და კერძო საკუთრების თავისუფლება

გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოს წევრმა და ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის აქტიურმა მონაწილემ, საქართველომ, შეიმუშავა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ძლიერი სამართლებრივი ბაზა, მოახდინა რა გაეროს ადამიანის უფლებათა ძირითადი კონვენციებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირება.

ამ სფეროში ვალდებულებების განხორციელება არათანმიმდევრული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ბოლო წლებში, პოლიტიკურ ოპოზიციას მიმართული სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება შეშფოთებას იწვევდა კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით. კონსტიტუცია იცავს რელიგიურ თავისუფლებას და მთავრობა, ზოგადად, პატივს სცემს ამ უფლებას.

2014 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა 2014-2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. ის ძირითადად მიზნად ისახავს სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბებას ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, რათა უწყებათაშორისი, მრავალდარგობრივი, გაერთიანებული და თანმიმდევრული პოლიტიკა იქნეს შემუშავებული და ამის შესაბამისად ქვეყანაში კარგი მმართველობა განხორციელდეს. სტრატეგია განსაზღვრავს მკაფიო პრიორიტეტებს, რაც მითითებულ პერიოდში კონკრეტულ მიზნებს და სახელმძღვანელო პრინციპებს უნდა ისახავდეს.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული საქართველოს წინსვლის მეოთხე ანგარიშის თანახმად, ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ყველა სამიზნე ამოცანა შესრულებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, რაზეც ვალდებულება დიალოგის<sup>19</sup> ფარგლებში იყო ნაკისრი.

არ არსებობს ინფორმაცია მთავრობის მიერ ინტერნეტის წვდომის შეზღუდვის შესახებ ან იმის შესახებ, რომ ხელისუფლება აკონტროლებს ელ.ფოსტას ან ინტერნეტ-ჩატს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მიღწევების უკანასკნელი შეფასება გაერო-ს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში ჩატარდა 2015 წელს (მეორე ციკლი); საქართველომ მხარი დაუჭრა მიღებულ ყველა 203 რეკომენდაციას.<sup>20</sup> პირველი სამი რეკომენდაცია პირველი ციკლის დროს (2011) დაკავშირებული იყო საერთაშორისო ინსტრუმენტებთან (რეკომენდაციების 15 პროცენტი); ქალთა უფლებებთან (14 პროცენტი); და

<sup>19</sup> ევროკომისია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოსადმი ევროპის კომისიის ანგარიში, საქართველოს მიერ ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების სფეროში მიღწეული წინსვლის მეოთხე ანგარიში, 2015 წლის 18 დეკემბერი.

<sup>20</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის ანგარიში. საქართველო, დანართი. შეხედულებები დასკვნებზე და / ან რეკომენდაციებზე, ნებაყოფლობითი ვალდებულებები და პასუხები, წარმოდგენილი განსახილველი სახელმწიფოს მიერ, 2016 წლის 3 თებერვალი.



ბავშვთა უფლებებთან (13 პროცენტი). საქართველომ მიიღო განხილვის პროცესში გაკეთებული სულ 169 რეკომენდაციის 83 პროცენტი.<sup>21</sup>

### *ქალების, ეთნიკური და სხვა უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა*

გენდერული თანასწორობის კანონმდებლობა ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას, ქალთა უსაფრთხოების გაზრდას, თანასწორობას შრომის ბზარზე და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის განმტკიცებას. ანტი დისკრიმინაციული კანონმდებლობა და გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-16) მიღებული იქნა 2014 წელს, ხოლო 2013 წელს შრომის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც გაძლიერებულია ქალების დაცვა სამუშაო ადგილზე. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ხაზი გაუსვა ქალთა უმუშევრობის მაღალ დონეს და ანაზღაურების მნიშვნელოვან სხვაობას, რაც ჯერაც გადაუჭრელი პრობლემაა.<sup>22</sup> პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისების მიზნით, საქართველოს კანონში მოქალაქეების პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (2013 წ.) ცვლილებები იქნა განხორციელებული, რომელთა თანახმად ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტია, დამატებით დაფინანსებას მიიღებს 30 პროცენტის სახით თუ წარმოდგენილ პარტიულ სიაში გენდერული სხვაობა მინიმუმ 30 პროცენტი იქნება.

საქართველო, ზოგადად, პატივს სცემს ეთნიკური უმცირესობების უფლებებს; თუმცა, ეს ჯგუფები ჯერ კიდევ ნაკლებად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ადმინისტრაციაში.

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას სქესობრივი ორიენტაციის საფუძველზე. თუმცა, ჰომოსექსუალობა შეუსაბამო მოვლენად აღიქმება ქვეყანაში გავრცელებულ ტრადიციულ მართლმადიდებლურ ფასეულობებთან. აქედან გამომდინარე, სოციალური დისკრიმინაცია კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება, ვინაიდან ჰომოსექსუალისტები ხშირად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის სამიზნეებს წარმოადგენენ. 2014 წლის მაისში საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოხატულების აღკვეთის შესახებ იქნა მიღებული პარლამენტის მიერ. კანონის მიზანია დისკრიმინაციის ნებისმიერი სახისა და გამოხატულების აღკვეთა და ნებისმიერი ადამიანისთვის დასაქმების თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმომავლობისა, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან სოციალური სტატუსისა, რელიგიური რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობისა, უნარშეზღუდულობისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვისა ან სხვა მახასიათებლისა,

### *დევნის, დაშინებისა და წამებისაგან თავისუფლება*

<sup>21</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR), საქართველო და UPR Info სტატისტიკა

[http://www.upr-info.org/database/statistics/index\\_sur.php?fk\\_sur=63&cycle=1](http://www.upr-info.org/database/statistics/index_sur.php?fk_sur=63&cycle=1)

<sup>22</sup> ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები მეოთხე და მეხუთე კომბინირებულ პერიოდულ ანგარიშებზე საქართველოში, 2014 წლის 24 ივლისი.

კონსტიტუცია კრძალავს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, მიუხედავად პროგრესისა ამ საკითხთან დაკავშირებით (2012 წლიდან), ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელი მოპყრობის ფაქტების გამოძიებისგან თავის შეკავებას. ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) დელეგაციის ბოლო ვიზიტი საქართველოში 2014 წლის დეკემბერში განხორციელდა. უკანასკნელ ანგარიშში ამ ვიზიტის შესახებ (გამოქვეყნდა 2015 წელს) აღიარებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები CPT წინა რეკომენდაციების საპასუხოდ, განსაკუთრებით, პატიმრებთან და პოლიციის მიერ დაკავებულ პირებთან მოპყრობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თუმცა, აღინიშნა, რომ მცირე ან არანაირი პროგრესი არ ყოფილა სხვა სფეროებში, როგორცაა სარეჟიმო საქმიანობა და კონტაქტი გარე სამყაროსთან სასჯელალსრულების სისტემაში.

CPT მიერ ასევე დაფიქსირდა შეფერხებები სამხილების შეგროვებისა და დაცულობის მხრივ, მოწმეთა დაკითხვის წარუმატებლობა და გამოძიების დაწყება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი სექციების ფარგლებში.<sup>23</sup> გარდა ამისა, 2015 წლის ანგარიშში, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე მიუთითა რიგ დარჩენილ პრობლემებზე ციხეებში, მათ შორის, წინასწარი გამოძიების პატიმრებზე, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდა ტელეფონებზე და ოჯახის წევრების ვიზიტებზე და სამუშაო შესაძლებლობებზე, რეკრეაციულ ღონისძიებებზე ან საგანმანათლებლო მომსახურებაზე.<sup>24</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან სატელეფონო კავშირის და ვიზიტის უფლება მიიღეს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე წინასწარი დაკავების რეჟიმში მყოფმა პირებმა. ეს დათქმა არ ეხება იმ გარემოებებს, როდესაც პროკურორი ან მოსამართლე არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას იღებს ამგვარი კონტაქტის აღკვეთასთან დაკავშირებით.

წამების საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ასევე ცხადყოფს საქართველოში წამების და დაკავების ადგილებში პირების ცუდი მოპყრობის კუთხით მდგომარეობის გამოსწორებას. ამდენად, ანგარიშში ნახსენებია, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან წამებისა და

<sup>23</sup> ევროპის საბჭო, ანგარიში საქართველოს მთავრობის მიმართ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, 2015 წლის 15 დეკემბერი.

<sup>24</sup> გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საქართველოში მისიის დროს, 2015 წლის 1 დეკემბერი, გვ. 13.

დაკავების ადგილებში პირების ცუდი მოპყრობის საკითხის გამოსწორების პრიორიტეტულ მიზნებად მიჩნევა ზემოთხსენებულის ნათელი სიგნალია<sup>25</sup>.

---

<sup>25</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის ანგარიში წამების და სხვა ბოროტი, არა-ადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ, რომელიც საქართველოში ვიზიტის შედეგებს ეყრდნობა. ანგარიშის გამოქვეყნების თარიღია 2015 წლის 1 დეკემბერი (გვ. 6).

## დანართი 2 – ეკონომიკის შერჩეული ინდიკატორები

საქართველო	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
<b>გამოსავალი და ხარჯები</b>	<i>(პროცენტული ცვლილება რეალურ პირობებში, sa.)</i>						
მშპ	-3.7	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.8
კერძო მოხმარება	2.2	-2.5	5.2	3.4	-0.6	2.8	არაა
საჯარო მოხმარება	-9.0	-8.5	-7.4	3.3	-2.7	4.7	არაა
მთლიანი საწესდებო კაპიტალის ფორმირება	-31.4	34.0	24.7	17.2	-8.7	23.2	არაა
საქონლის და მომსახურების ექსპორტი	0.0	24.9	11.1	11.8	21.0	0.5	არაა
საქონლის და მომსახურების იმპორტი	-19.4	14.6	11.3	12.0	3.0	9.7	არაა
სამრეწველო მთლიანი გამოსავალი	-4.2	13.7	10.4	10.0	7.5	2.0	-2.0
<b>შრომის ბაზარი</b>							
მთლიანი საშუალო თვიური მოგება (საშუალო წლიური)	4.1	7.3	6.4	12.0	8.5	5.8	არაა
LCU ხელფასის რეალური ზრდა	2.3	0.2	-0.2	13.1	9.1	2.7	არაა
უმუშევრობის დონე	16.9	16.3	15.1	15.0	14.6	12.4	12.0
<b>ფასები</b>	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
სამომხმარებლო ფასები (საშუალო წლიური)	1.7	7.1	8.5	-0.9	-0.5	3.1	4.0
სამომხმარებლო ფასების (წლის ბოლოს)	3.0	11.2	2.0	-1.4	2.4	2.0	4.9
<b>ფისკალური მაჩვენებლები</b>	<i>(მშპ პროცენტებში)</i>						
მთავრობის საერთო ბალანსი	-9.2	-6.7	-3.6	-2.8	-2.6	-3.2	-3.8
მთავრობის საერთო შემოსავლები	29.3	28.3	28.2	28.9	27.7	27.9	28.3
მთავრობის საერთო ხარჯები	37.2	33.9	30.7	30.6	29.3	30.2	30.5
მთავრობის საერთო ვალის	41.1	42.4	36.5	34.8	34.7	35.7	41.5
<b>მონეტარული და ფინანსური სექტორები</b>	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
ფულის საერთო მასა (M2, წლის ბოლოს)	16.6	27.0	27.8	7.6	38.2	9.1	2.5
კერძო სექტორის კრედიტი (წლის ბოლოს)	-14.0	19.3	25.3	12.4	20.8	23.4	21.6
უმოქმედო სესხების კოეფიციენტი	17.9	12.5	8.6	9.3	7.5	7.6	7.5
<b>საპროცენტო და სავალუტო კურსები</b>	<i>(პროცენტებში წელიწადში, წლის ბოლოს)</i>						
ადგილობრივი ვალუტის სადეპოზიტო განაკვეთი	9.4	7.9	9.4	8.5	6.2	5.3	5.2
უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთი	9.2	7.6	9.1	8.3	5.4	4.8	4.0
სასესხო განაკვეთი	20.8	17.7	19.2	18.6	15.6	14.3	15.3
ბანკთაშორისი განაკვეთი (7 დღიანი სესხები, თვის ბოლოს)	7.1	7.8	7.3	4.7	3.5	4.0	8.9
პოლიტიკის განაკვეთი	5.0	7.5	6.8	5.3	3.8	4.0	8.0
<b>ვალუტის გაცვლის კურსი (წლის ბოლოს)</b>	<i>(ლარი აშშ დოლარზე)</i>						
ვალუტის გაცვლის კურსი (საშუალო წლიური)	1.7	1.8	1.7	1.7	1.7	1.9	2.4
ვალუტის გაცვლის კურსი (საშუალო წლიური)	1.7	1.8	1.7	1.7	1.7	1.8	2.3
<b>საგარეო სექტორი</b>	<i>(მშპ პროცენტებში)</i>						
მიმდინარე ანგარიში	-10.5	-10.3	-12.8	-11.7	-5.8	-10.6	-11.8
სავაჭრო ბალანსი	-22.3	-22.3	-24.2	-26.6	-21.6	-25.9	-30.9
საქონლის ექსპორტი	17.6	21.2	22.5	22.1	26.3	24.7	21.8
საქონლის იმპორტი	39.9	43.4	46.7	48.7	47.9	50.6	52.7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	6.1	7.0	7.3	5.8	5.9	10.6	9.6
მთლიანი რეზერვები, ოქროს გარდა (წლის ბოლოს)	19.6	19.5	19.5	18.1	17.5	16.4	18.1
საგარეო ვალის ფონდი (კომპანიათაშორისი სესხების ჩათვლით)	82.0	86.9	80.3	83.8	82.3	83.2	107.3
სახელმწიფო საგარეო ვალი	25.5	28.7	25.6	26.8	25.9	25.7	33.0
კერძო საგარეო ვალი	56.6	58.2	54.7	57.1	56.4	57.5	74.3

## PUBLIC

საქართველო	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
	<i>(საქონლის და მომსახურების იმპორტის თვეებში)</i>						
მთლიანი რეზერვები, ოქროს გარდა (წლის ბოლოს)	4.8	4.4	4.2	3.8	3.7	3.4	3.4
	<i>(დასახელები, როგორც მითითებულია)</i>						
<b>მემორანდუმის პუნქტები</b>							
მოსახლეობა (წლის ბოლოს, მილიონი)	4.4	4.4	4.5	4.5	4.5	3.7	3.7
მშპ (მილიარდ ლარში, ნომინალური)	18.0	20.7	24.3	26.2	26.8	29.2	31.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი, ნომინალური)	2,455	2,623	3,231	3,523	3,600	3,676	3,743
მრეწველობის წილი მშპ-ში (პროცენტებში)	12.1	13.2	14.0	14.0	14.5	14.3	13.9
სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში (პროცენტებში)	9.4	8.4	8.8	8.6	9.4	9.3	9.2
FDI (მილიარდ აშშ დოლარში)	0.7	0.8	1.1	0.9	0.9	1.8	1.4
საგარეო ვალი - მარაგები (მილიარდ აშშ დოლარში)	6.7	7.8	8.8	10.4	10.7	11.1	12.5
საგარეო ვალი / საქონლის და მომსახურების ექსპორტი (პროცენტი)	275.4	249.0	220.2	219.8	184.3	193.7	239.4
ფულის საერთო მასა (M2, წლის ბოლოს მშპ %-ში)	26.5	29.9	29.2	30.2	36.6	38.4	42.1

დანართი 3 – გარდამავალი პერიოდის გამოწვევების შეფასება

ბაზრის სტრუქტურა	საბაზრო ინსტიტუტები	ძირითადი გამოწვევები
<b>იურიდიული პირები</b>		
<b>აგრობიზნესი</b>		
საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ დაფინანსების ბაზარზე დაფუძნებული მექანიზმების მხარდაჭერა მოსავლის აღების წინა და მოსავლის აღების შემდგომი დაფინანსების წვდომის გასაზრდელად;</li> <li>▪ პროდუქტიულობის გაუმჯობესება საფერმერო და გადამამუშავებელ ქვესექტორებში.</li> </ul>
<b>წარმოება და მომსახურება (M&amp;S)</b>		
საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების შემდგომი გაუმჯობესება;</li> <li>▪ კორპორაციული მართვის და ბიზნეს სტანდარტების გაძლიერება პროდუქციის ხარისხის, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სფეროებში.</li> </ul>
<b>უძრავი ქონება</b>		
დიდი	მცირე	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ თანამედროვე კომერციული ქონების მომარაგების გაზრდა სუბსეგმენტების მიხედვით;</li> <li>▪ აქცენტის გაზრდა თანამედროვე სამშენებლო მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე, ენერჯის ეფექტურობის და მდგრადობის გაზრდის ჩათვლით.</li> </ul>
<b>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)</b>		
საშუალო	მცირე	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (ფართოზოლიანი წვდომის ინტერნეტის) შემდგომი განვითარება;</li> <li>▪ უზრუნველყოფა, რომ მარეგულირებელს ჰქონდეს აღსრულების საკმარისი უფლებამოსილება.</li> </ul>

ბაზრის სტრუქტურა	საბაზრო ინსტიტუტები	ძირითადი გამოწვევები
<b>ენერგეტიკა</b>		
<b>ბუნებრივი რესურსები</b>		
დიდი	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მომპოვებელ სექტორში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდა და საერთაშორისო კომპანიების და რეგიონალური მოთამაშეების ყოფნა;</li> <li>▪ ვერტიკალურად ინტეგრირებულ ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი არსებული კომპანიების გამიჯვნა და პრივატიზაცია;</li> <li>▪ გაზის და ელ. ენერჯის ბაზრის ეფექტურად ლიბერალიზაცია;</li> <li>▪ მოპოვებითი მრეწველობაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება;</li> <li>▪ ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების პრინციპებთან სრული შესაბამისობა;</li> <li>▪ მარეგულირებლის როლის გაძლიერება და მისი ფინანსური და საოპერაციო დამოუკიდებლობის გაზრდა.</li> </ul>
<b>მდგრადი ენერჯია</b>		
საშუალო	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ხარჯის ამსახველი ტარიფების დადგენა საბოლოო მომხმარებლებისთვის;</li> <li>▪ სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაძლიერება მდგრადი ენერგეტიკის მხარდაჭერისთვის;</li> <li>▪ შესაძლებლობების შემდგომი განვითარება ენერგოეფექტურობის პროექტებისთვის.</li> </ul>
<b>ელექტროენერჯია</b>		
საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მიწოდების რეგულირებადი ფასების მოხსნა;</li> <li>▪ ჯვარედინი სუბსიდიების მოხსნა და ხარჯის ამსახველი ტარიფების დადგენა;</li> <li>▪ ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შემდგომი გაზრდა.</li> </ul>
<b>ინფრასტრუქტურა</b>		
<b>წყალი და კანალიზაცია</b>		
დიდი	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ინსტიტუციური და მარეგულირებელი შესაძლებლობების შექმნა;</li> <li>▪ სახელშეკრულებო ღონისძიებების გაუმჯობესება;</li> <li>▪ ტარიფის რეფორმა;</li> <li>▪ რესტრუქტურირება ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>

ბაზრის სტრუქტურა	საბაზრო ინსტიტუტები	ძირითადი გამოწვევები
<b>ქალაქის ტრანსპორტი</b>		
დიდი	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>საზოგადოებრივი სატრანსპორტო კომპანიების რესტრუქტურირება, მათ შორის, თბილისის საზოგადოებრივი სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება, რაც უკვე დიდი ხანია ჭიანჭურდება;</li> <li>ზოგიერთი ძირითადი მარეგულირებელ ასპექტის, მათ შორის ტარიფების დადგენაზე და მომსახურების გაწევის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია;</li> <li>მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური და სამართლებრივი შესაძლებლობების გაძლიერება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებით უზრუნველყოფის რეგულირებისა და მონიტორინგისთვის.</li> </ul>
<b>გზები</b>		
დიდი	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>დაინტერესების გარეშე ურთიერთობის ჩამოყალიბება მთავრობასა და საგზაო უწყებას შორის;</li> <li>კონკურენციის გაძლიერება გზების გეგმიური რემონტისა და რეაბილიტაციის სფეროში;</li> <li>PPP პროექტების განვითარება;</li> <li>კორპორაციული მმართველობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესება.</li> </ul>
<b>რკინიგზები</b>		
საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>ინსტიტუციური რესტრუქტურირების გეგმის განხორციელება;</li> <li>კომერციალიზაციის და რესტრუქტურირების ძირითადი ოპერაციები;</li> <li>მმართველობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესება;</li> <li>კერძო სექტორის მონაწილეობის და კონკურენციის გაზრდა რკინიგზის სექტორში.</li> </ul>
<b>ფინანსური ინსტიტუტები</b>		
<b>საბანკო</b>		
საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესება დედოლარიზაციის ხელშესაწყობად;</li> <li>ადგილობრივ ვალუტაში სასესხო პროდუქტების განვითარების ხელშეწყობა.</li> </ul>
<b>დაზღვევა და სხვა ფინანსური მომსახურება</b>		
დიდი	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>სადაზღვევო ინდუსტრიის პროდუქტების ასორტიმენტის და უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარება;</li> <li>სადაზღვევო კანონმდებლობის და რეგულირების IAIS სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;</li> <li>მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება ლიზინგისთვის და ამ სექტორის შემდგომი ზრდა;</li> <li>სიცხადის შეტანა Pillar III საპენსიო დანაზოგების საგადასახადო მოპყრობაში.</li> </ul>



ბაზრის სტრუქტურა	საბაზრო ინსტიტუტები	ძირითადი გამოწვევები
<b>მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები</b>		
საშუალო		<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ადგილობრივ ვალუტაში საბანკო დაკრედიტების გავრცობა;</li> <li>▪ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ადგილობრივი საკონსულტაციო ბაზრის შემდგომი გაძლიერება;</li> <li>▪ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების სხვა წყაროების განვითარება, როგორცაა ლიზინგი და სააქციო კაპიტალი.</li> </ul>
<b>კერძო კაპიტალი</b>		
დიდი	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ბიზნეს გარემოს უწყვეტი გაუმჯობესება, რათა ადგილობრივი და რეგიონული ფონდების მენეჯერებს ჰქონდეთ საქართველოში კაპიტალის წარმატებით განთავსების შესაძლებლობა;</li> <li>▪ არსებული საინვესტიციო სტრატეგიების გაფართოება.</li> </ul>
<b>კაპიტალის ბაზრები</b>		
დიდი	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კაპიტალის ბაზრების ყოვლისმომცველი და პრაქტიკული გეგმის შემუშავება;</li> <li>▪ კაპიტალის ადგილობრივი ბაზრის ინფრასტრუქტურის რაციონალიზაცია;</li> <li>▪ ფასიანი ქაღალდების კანონების და წესების დანერგვის და აღსრულების გაუმჯობესება.</li> </ul>

ეკონომიკური ჩართულობის<sup>26</sup> სხვაობის რეიტინგი

ეკონომიკური ჩართულობა		
ჩართულობის სხვაობის განზომილება	ჩართულობის სხვაობა	ძირითადი გამოწვევები
<b>რეგიონები</b>		
შრომის ბაზრები	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>რეგიონული ინტეგრაციის და შრომითი მობილურობის გაუმჯობესება ადგილობრივი სამუშაო ადგილების და ტრენინგის წვდომის გაუმჯობესების გზით სოფლის მეურნეობის გარდა სხვა სექტორებში;</li> <li>ადგილობრივ საგანმანათლებლო პროვაიდერებთან ჩართულობის გაძლიერება და საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა ადგილობრივი უნარების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
მომსახურების და განათლების ხელმისაწვდომობა	საშუალო - დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>სოციალური ინფრასტრუქტურის (როგორცაა: ადგილობრივი ჯანდაცვა და განათლება) რეგიონული წვდომის გაუმჯობესება;</li> <li>წყლის რესურსების მართვის და წყლის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ რეგიონებში.</li> </ul>
<b>ახალგაზრდობა</b>		
ახალგაზრდების დასაქმება	დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის შესაძლებლობების (ანუ სტაჟირება, შეგირდობა, სატრენინგო პროგრამები) დაარსება კერძო სექტორის და განათლების პროვაიდერების თანამშრომლობის მეშვეობით, პროფესიული განათლების და ტექნიკური სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად,</li> </ul>

<sup>26</sup> EBRD-ის ეკონომიკური ჩართულობის სხვაობები აფასებს ინსტიტუტებს, ბაზრებს და განათლების სისტემებს EBRD-ის მოქმედების ყველა ქვეყანაში მათი უნარის თვალსაზრისით, განავრცონ ეკონომიკური შესაძლებლობები პირებზე მათი სქესის, ასაკის ან დაბადების ადგილის მიუხედავად. ეს სხვაობები ზომავს შესაძლებლობების განსხვავებებს - 15-დან 24 წლამდე ასაკის და უფროსი ასაკის მუშებს შორის და ქალებსა და მამაკაცებს შორის - უფრო, ვიდრე შესაძლებლობების დონეებს. სხვაობები მოხსენებულია ქვეყნის სტრატეგიის წინამდებარე დოკუმენტში, როდესაც არსებობს ჩართულობის „მცირეზე“ მეტი სხვაობა. ეს სხვაობები შეესაბამება EBRD-ის ჩართულობის სხვაობის 2015 წლის განახლებას. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რეგიონული ჩართულობის სხვაობების შესახებ ინფორმაცია 2013 წლისაა, დაზუსტდება 2016 წლის ბოლოს.

		<p>შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებული აქცენტით შრომის ინტენსიურ სექტორებზე (სასტუმრო საქმის და ტურიზმის ჩათვლით);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შრომის ბაზრის მოთხოვნების ამსახველი უნარების სტანდარტების და ვერიფიკაციის მექანიზმების შემოტანა.</li> </ul>
ფინანსური ჩართულობა	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსების წვდომის გაუმჯობესება ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდა მეწარმეებზე გამოხნილი ფინანსური და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა.</li> </ul>
განათლების სიდიდე (ოდენობა)	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>მთავრობის ძალისხმევით მხარდაჭერა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით როგორც საშუალო (პროფესიულის ჩათვლით), ისე უმაღლეს დონეზე, სტუდენტების შეკავების ხარისხის გაზრდის მეშვეობით ორმაგ პრინციპებზე დაფუძნებული მოდელების მიღების გაძლიერების გზით.</li> </ul>
<b>სქესი</b>		
შრომის პრაქტიკა, სამართლებრივი რეგულაციები და სოციალური ნორმები	საშუალო - დიდი	<ul style="list-style-type: none"> <li>კერძო სექტორის კლიენტების წახალისება თანაბარი შესაძლებლობების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, მათ შორის: თანაბარი ანაზღაურების პრაქტიკა; დასაქმების ხელმისაწვდომობა; ბავშვის ხარისხიანი მოვლის ხელმისაწვდომობა; ქალთა ლიდერობის პროგრამების მიღება;</li> <li>თანაბარი მუშაობის თანაბარი ანაზღაურების კანონმდებლობის სასარგებლოდ დიალოგის მხარდაჭერა.</li> </ul>
დასაქმება და ბიზნესი	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეწარმეო შესაძლებლობების გაუმჯობესება და ტრენინგი ქალებისთვის, განსაკუთრებით, ფინანსურ ცოდნასთან დაკავშირებით, ბიზნეს-ტრენინგი და დასაქმების წვდომა;</li> <li>კლიენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის გაუმჯობესება მდებარეობითი სქესის დასაქმების გაზრდით სექტორებში და პოზიციების სახეობებზე მდებარეობითი სქესის სამუშაო ძალის დაბალი მონაწილეობით, მათ შორის ტექნიკურ პოზიციებზე, ასევე პროგრესირებით მმართველ თანამდებობებზე.</li> </ul>

განათლება და ტრენინგი	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კერძო სექტორის კლიენტებსა და ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობის გაუმჯობესება STEM (მეცნიერება ტექნოლოგია, საინჟინრო საქმე და მათემატიკა) პროფესიებში ქალთა შესაძლებლობების გაზრდის მიზნით და ამით მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ჩარიცხვის წახალისება.</li> </ul>
ჯანდაცვის მომსახურება	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ჯანდაცვის ხარისხიანი მომსახურების უკეთესი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა ქალებისთვის.</li> </ul>

#### დანართი 4 - სამართლებრივი რეფორმა

წინამდებარე დანართი გვთავაზობს უახლოეს პერიოდში საქართველოში ბანკის საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისი შერჩეული სამართლებრივი საკითხების კრიტიკულ ანალიზს. იგი ეფუძნება კომერციული კანონების ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამართლებრივი რეფორმის პროგრამის მიერ ჩატარებულ შეფასებებს. საცნობარო სიმარტივისთვის, ეს ანალიზი წარმოდგენილია ქვეყნის სტრატეგიის ამ დოკუმენტში, ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებთან ერთად, კერძოდ, „პოლიტიკური დიალოგი და TC“ სექციაში შემოთავაზებული ქმედებები.

**თემა 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების მეშვეობით:**

##### *სახელმწიფო შესყიდვები (PP)*

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი საქართველოში თანამედროვეა და ეფუძნება გამჭვირვალობის, კონკურენციის და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეესაბამება ევროკავშირის 2014 წლის დირექტივებს, . ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოთხოვნების მიხედვით. 2016 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა-გრაფიკი 2022 წლისთვის ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიახლოების შესახებ.

საქართველოს აქვს ელექტრონული შესყიდვების სრულყოფილი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შესყიდვების დაგეგმვას, ტენდერების ჩატარებას და საჯარო კონტრაქტების მართვას და უზრუნველყოფს საიმედო მონაცემებს ადგილობრივი სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის შესახებ. 2016 წელს ელექტრონული რევერსული აუქციონის გარდა, ახალი ელ. შესყიდვების მეთოდები იქნა დანერგილი და 2 ეტაპიანი, მრავალ-კრიტერიუმიანი (საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობა) შერჩევა გახდა შესაძლებელი ზოგიერთ შემთხვევაში. თუმცა, მთელი რიგი პირდაპირი შერჩევის კონტრაქტები სახელმწიფო შესყიდვების არსებულ სისტემაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გვევლინებიან. 2015 წელს კონკურენტული ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 66 პროცენტს მოიცავდა, ხოლო შესყიდვის დანარჩენი კონტრაქტები პირდაპირი შერჩევის წესით იდებოდა. მთავრობამ სავალდებულო ადმინისტრაციული მიმოხილვის პროცედურა დანერგა უშუალოდ პირდაპირი შესყიდვის განხორციელების შემდგომ, თუმცა კანონმდებლობით ის მაინც დასაშვები რჩება და პირდაპირი შესყიდვის მაჩვენებელი (შესყიდვების ბიუჯეტის 34 პროცენტი) კვლავ ძალიან მაღალ დონეზე რჩება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან შედარებით (საშუალოდ შესყიდვების ბიუჯეტის 6%).

სახელმწიფო შესყიდვების ინსტიტუციური ჩარჩო ასევე საჭიროებს შემდგომ განვითარებას. მთავარი საკითხი არის დამოუკიდებელი მიმოხილვის და დაცვის საშუალებების ორგანოს არარსებობა საჯარო შესყიდვებისთვის. ამჟამად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ იმართება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და ქმნის ეჭვებს ინტერესთა პოტენციურ კონფლიქტთან დაკავშირებით. დავების გადაჭრის საბჭო, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მიმოხილვას კურირებს და ელექტრონულად წარმოდგენილი საჩივრების მოგვარებას ახდენს, ძალიან ოპერატიულად მუშაობს, თუმცა დამოუკიდებელი არ არის. ის დაკომპლექტებულია სამოქალაქო საზოგადოებიდან 3 არჩეული წარმომადგენლით, თუმცა საბჭოს ზოგიერთი წევრი ინიშნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, ხოლო სააგენტოს უფროსი საბჭოს სხდომების თავმჯდომარეა. საჩივრების და დავების გადაჭრის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული გზით. გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა ახლოსაა 2012 წლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის GPA სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევასთან, მაგრამ აუცილებელია შემდგომი მარეგულირებელი მუშაობა ძლიერი ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად და ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების სათანადო რეგულირებისათვის.

***თემა 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარება ფინანსების წვდომისთვის:***

*ფინანსების წვდომა*

უზრუნველყოფილი გარიგებების ჩარჩომ მისი მიღების შემდეგ (2005 წ.) საქართველოში მრავალი ცვლილება განიცადა. 2013 წელს განხორციელებული ბოლო ცვლილებით შესაძლებელი გახდა გირაოს უფლება გავრცელდეს პროდუქტებზე, შემოსავლებზე და უზრუნველყოფის ჩანაცვლებაზე.

გირაოს აღება მოძრავ ქონებაზე რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. გირაოს რეგისტრაცია ხდება საჯარო რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში. 2011 წლის ცვლილებებმა სამოქალაქო კოდექსში კიდევ უფრო გააძლიერა კრედიტორების უფლებები მკაფიო შესაძლებლობით, გირაო ავტომატურად გავრცელდეს დაგირავებული ნივთიდან შემოსავალზე ან სადაზღვევო თანხაზე, თუნდაც ასეთი დებულება არ იყოს გათვალისწინებული მხარეების მიერ ხელშეკრულებით. იპოთეკის შექმნა და რეგისტრაცია შედარებით სწრაფია და იაფი, მაგრამ აღსრულების მარეგულირებელ კანონმდებლობას სხვადასხვა კანონი შეიცავს. აღსრულება, ჩვეულებრივ, სასამართლოების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს და სასამართლოს გარე გაყიდვა იშვიათად გამოიყენება. იპოთეკის კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს უძრავი ქონების სასამართლოს გარე გაყიდვა იპოთეკის გამცემის თანხმობის გარეშე. მიუხედავად

ამისა, იპოთეკის მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ქონების იძულებითი აღმინისტრირება.

არ არსებობს სპეციალური კანონები ფაქტორინგის ან ფინანსური ლიზინგის შესახებ საქართველოში. ფაქტორინგი ბუნდოვნადაა განსაზღვრული საბანკო სამართალში, რომელიც არ განასხვავებს ფაქტორინგის სხვადასხვა სახეობებს. არ არსებობს კონკრეტული სამეთვალყურეო ორგანო ფაქტორინგის კომპანიებისთვის ან რაიმე თანმხლები მარეგულირებელი მექანიზმისთვის. ვინაიდან ფაქტორინგი არ არის რეგულირებული, არ არსებობს შეზღუდვები შემოსავლებზე, რომელთა ფაქტორირება შეიძლება. ფინანსური ლიზინგი რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით, თუმცა, კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ შემდგომ განსაზღვრავს სალიზინგო ხელშეკრულების მხარეების უფლებებს და მოვალეობებს ლიზინგის ოთხი ტიპის გარჩევით. ფინანსური მეიჯარეების რეგულირებიდან და სალიზინგო კონტრაქტები რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, მაგრამ რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება იყოს სალიზინგო ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ქონებაზე საკუთრების მიღების შედარებით მარტივი პროცედურა, მაგრამ ადგილობრივი პროფესიონალი იურისტების თქმით, პრაქტიკაში ეს ყოველთვის არ არის მარტივი, ვადაგადაცილებული მოიჯარეების მიერ თავის არიდების სხვადასხვა ქმედებების გამო.

#### *კორპორატიული მმართველობა*

კორპორაციული მართვის კანონმდებლობისა და კომპანიების პრაქტიკის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2015 წლის შეფასებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ჩარჩო საჭიროებს განსახილველი სფეროების უმეტესობის რეფორმას. მხოლოდ ბანკები ექვემდებარება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მათი სამეთვალყურეო საბჭოსთვის და აუდიტის კომიტეტების შექმნას. თუმცა, აუდიტის კომიტეტების შემადგენლობა არ არის რეგულირებული და არ არის მოთხოვნა, რომ აუდიტის კომიტეტში იყვნენ დამოუკიდებელი დირექტორები. გარდა ამისა, კანონი არ უზრუნველყოფს კომპანიის საბჭოს კომპანიის ბიუჯეტის და რისკის პროფილის დამტკიცების უფლებამოსილებით. პოზიტიურად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიები ვალდებული არიან, გაამჟღავნონ თავისი ფინანსური ანგარიშგება ფასის შესაბამისად, დანიშნონ გარე აუდიტორები და გაამჟღავნონ მათი სახელები. ყველა უმსხვილესი ჩამოთვლილი კომპანია, როგორც ჩანს, აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ყველაფერთან ერთად, გარე აუდიტორებს უფლება აქვთ ჩაატარონ არა- აუდიტორული მომსახურება, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს მათ დამოუკიდებლობას.

2015 წლის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს საფონდო ბირჟას ძალიან დაბალი ლიკვიდურობა აქვს და წესით ვერ უნდა შეძლოს კარგი კორპორაციული მართვის სტანდარტების ხელშეწყობა. არ არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი კომპანიებისათვის.

ჩანს, კორპორაციული მართვის კოდექსი ბანკებისთვის პრაქტიკაში კარგად არ ხორციელდება.

### **თემა 3: ბაზრების გაფართოება რეგიონთაშორისი კავშირების მეშვეობით**

#### *კონცესიები / PPP*

საქართველოს ზოგადი კანონმდებლობა, როგორც ჩანს, შეიცავს გარკვეულ დებულებებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას PPP განვითარებისთვის ქვეყანაში, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, არასაკმარისი / შეზღუდული ბიუჯეტით, საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართლებრივი ჩარჩოთი. ჩანს, ასევე არსებობს შეუსაბამოები სხვადასხვა საკანონმდებლო დებულებებს შორის, რომლებიც კერძო სექტორს PPP-ში მონაწილეობის ინტერესს უკარგავს. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია, ინვესტიციების წახალისების უქონლობა და კონცესიების არასაკმარისი რეგულირება ინტერესს უკარგავს კერძო ინვესტიციებს. ზემოთ თქმულის გარდა, არსებობს ხარვეზები და ნაკლოვანებები დარგობრივ კანონმდებლობაში (ტრანსპორტი, ჯანდაცვა, კომუნალური სფერო და ა.შ.).

საქართველოში არ არის სპეციალური PPP ორგანო და არ არსებობს სპეციალური ერთეულები ან დეპარტამენტები დარგობრივ სამინისტროებში, რომლებიც განაგებენ PPP ან კონცესიების საკითხებს. 2012 წლის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონცესიების / PPP კანონების შეფასებით საქართველოს 24-დან 7 ქულა მიენიჭა ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარების სკალაზე („ძალიან დაბალი შესაბამისობა“ საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან). ზემოთქმულის მიუხედავად, გარკვეული ფუნქციები, რომელიც ჩვეულებრივ მიეწერება PPP ორგანოს, სავარაუდოდ, გაყოფილია რამდენიმე ორგანოს შორის, თუმცა, PPP რაიმე პოლიტიკის არარსებობის პირობებში, მათ შორის არანაირი სტრუქტურირებული კოორდინაცია არ არსებობს. საინვესტიციო პროექტების შერჩევა და ზედამხედველობა ევალება შესაბამის დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც, ზოგადად, PPP სექტორში ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ.

კონცესიების კანონის უკანასკნელმა შეფასებამ დაადგინა, რომ იგი მოძველებულია, შეზღუდულია და არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკის მიღებულ სტანდარტებს და აქვს მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც ართულებს კანონის განხორციელებას. ეს აგრეთვე ეწინააღმდეგება თანამედროვე კონცესიის, როგორც საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის დადებული სამოქალაქო სამართლის კონტრაქტის ცნებას.

მთავრობა ასევე აცნობიერებს ზემოთხსენებულ ხარვეზებს და მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს იურიდიული და პოლიტიკის ჩარჩო სისტემების დასახვეწად, რათა კერძო სექტორში ინვესტიციები წახალისოს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ამჟამად ჩართულია ტექნიკური თანამშრომლობის პროექტში



კონცესიების / PPP შესახებ ახალი კანონის შესამუშავებლად, ისევე როგორც საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის პოლიტიკის განაცხადზე რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოს დაეხმარება, წინ წაიწიოს საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიღწევაში ამ სექტორში. 2016 წლის ივნისში საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის პოლიტიკის განაცხადი ოფიციალურად დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ, რითაც ამ ფორმატში მუშაობის წახალისება ხსება, მისი პრინციპები განისაზღვრება, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო სისტემის განვითარებისთვის იქმნება საფუძველი.

***თემა 4: განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ასამაღლებლად***

*ენერგოეფექტურობა / განახლებადი ენერჯია*

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და დაიწყო მოლაპარაკებები ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ. ამის შედეგად, მთავრობა კვლავ მოლაპარაკებების პროცესშია აუცილებელი საკანონმდებლო რეფორმის განხორციელების სამიზნეებთან დაკავშირებით.

ამჟამად, საქართველოს არ აქვს განახლებადი ენერჯის წყაროების (RES) მარეგულირებელი პირველადი კანონმდებლობა, თუმცა, RES შესაბამისი ასპექტები გათვალისწინებულია ენერგეტიკის ზოგად კანონმდებლობაში. ასევე, ქვეყანაში არ არის მიღებული განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა. უფრო მეტიც, არ არის მიღებული სპეციალური კანონი ენერგოეფექტურობის (EE) შესახებ და არც შესაბამისი პოლიტიკის ჩარჩო. საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ეროვნული ენერგოეფექტურობის დონის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შემოტანით და დანერგვით საყოფაცხოვრებო სექტორში და ფინანსური შესაძლებლობების გახსნით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ამჟამად ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და საყოფაცხოვრებო შენობებში ენერგოეფექტურობის დაფინანსების ბარიერების განსახილველად. მომავალი საკანონმდებლო ცვლილებები ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ორიენტირებული უნდა იყოს შენობების ენერგეტიკული ეფექტურობის მიმართ მოთხოვნების, ენერგეტიკული მარკირების მიმართ მოთხოვნების, დიდი და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ენერგეტიკული აუდიტების შემოღებაზე და სხვა ღონისძიებებზე.

## დანართი 5 - გენდერული პროფილი

### გენდერული უთანასწორობა და ადამიანის განვითარება

საქართველო 77-ე ადგილზეა 155 ქვეყანას შორის UNDP გენდერული უთანასწორობის ინდექსის (GII) მიხედვით<sup>27</sup>. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 წლის გლობალური გენდერული ინდექსის<sup>28</sup> მიხედვით საქართველო 82-ე ადგილზეა 145 ქვეყანას შორის. SIGI ინდექსის<sup>29</sup> თანახმად, საქართველო საშუალო კატეგორიაშია გენდერული დისკრიმინაციული კანონების და პრაქტიკის მიხედვით.

### სამუშაო ძალაში მონაწილეობა და ანაზღაურების გენდერული სხვაობა

საქართველოში ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებისა. მსოფლიო ბანკის 2014 წლის მონაცემებით<sup>30</sup>, ქალების (15 წლის ზემოთ) ჩართულობის პროპორცია სამუშაო ძალაში იყო 57 პროცენტი, შედარებით 76 პროცენტთან მამაკაცებისათვის. ამის მსგავსად, ახალგაზრდა კონტინენტის სამუშაო ძალაში მონაწილეობის გენდერული სხვაობა დიდია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის მონაცემებით, 2012 წელს ქალებმა გამოიმუშავეს, საშუალოდ, 39.8 პროცენტით ნაკლები, ვიდრე მამაკაცებმა, რაც ანაზღაურების სიდიდით მესამე გენდერული სხვაობაა კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონში, აზერბაიჯანის (53.1 პროცენტი) და ტაჯიკეთის (50.9 პროცენტი) შემდეგ.

### ცხრილი 1. გენდერული განაწილება დასაქმებაში

მაჩვენებელი	მდედრ	მამრ.	წელი
სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებლები (ასაკი 15-64)	52%	76%	2014
ანაზღაურების გენდერული სხვაობა	39.8%		2012

წყარო: მსოფლიო ბანკი; გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

### ჯანდაცვა და განათლება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (2014 წლის) მონაცემებით ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო 6.2 სიკვდილი ყოველ 1000 ახალშობილზე, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელთან ერთად – 9,3 სიკვდილი 1000 დაბადებულზე, იმავე წელს.<sup>31</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციისუახლესმა მონაცემებმა (2015) აჩვენა, რომ საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის

<sup>27</sup> GII შედგენილი მაჩვენებელია, რომელიც ითვლის მიღწევების დაკარგვას ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის გამო და იყენებს სამ განზომილებას: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, შესაძლებლობების გაფართოება და შრომის ბაზარში მონაწილეობა.

<sup>28</sup> WEF GGI ზომავს, თუ რამდენად კარგადაა გამოყენებული ქალთა ტალანტის რესურსი ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და პოლიტიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებით.

<sup>29</sup> SIGI მნიშვნელობა დაფუძნებულია დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე სოციალური ინსტიტუტების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე.

<sup>30</sup> <http://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.CACT.FE.ZS>;

<http://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.CACT.FE.ZS>

<sup>31</sup> [http://ncdc.ge/AttachedFiles/Yearbook-ENG 2014\(2\) 23e48d63-3434-4ee2-a76c-f7653011ae02.pdf](http://ncdc.ge/AttachedFiles/Yearbook-ENG 2014(2) 23e48d63-3434-4ee2-a76c-f7653011ae02.pdf)

მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევრობანკის წევრ ქვეყნებში (111 მამაკაცი 100 ქალზე).

**ცხრილი 2. სქესთა თანაფარდობა დაბადებისას სამხრეთ კავკასიაში, აზიის და ევროპის ცალკეულ ქვეყნებში (2010-2015 წლების საშუალო)**

ქვეყანა	სქესთა თანაფარდობა დაბადებისას
სომხეთი	114
აზერბაიჯანი	116
საქართველო	111
ტაჯიკეთი	105
ლატვია	106
საფრანგეთი	105

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის სამმართველო (2015)<sup>32</sup>

2014 წელს მამრობითი სქესის ყველა კურსდამთავრებულის 14 პროცენტი იყო საინჟინრო, წარმოების და მშენებლობის სფეროში, შედარებით მდედრობითი სქესის კურსდამთავრებულების 3.6 პროცენტთან ამ სფეროებში. ამის საპირისპიროდ, ქალების 22.5 პროცენტმა დაამთავრა ჰუმანიტარული და ხელოვნების პროგრამები, შედარებით მამრობითი სქესის კურსდამთავრებულების 9 პროცენტთან ამ სფეროებში. განათლებაში ამ გენდერული სეგრეგაციის შედეგია სეგრეგაცია შრომის ბაზარზე, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ცხრილი 3. გენდერული სეგრეგაცია ეკონომიკურ სექტორებში**

საქართველო: საერთო დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის	მამრ.	მდედრ.
მშენებლობა	93%	7%
ტრანსპორტი, დასაწყობება და კომუნიკაციები	92%	8%
სამთო მრეწველობა	91%	9%
ელექტროენერჯია, გაზი და წყალმომარაგება	81%	19%
წარმოება	73%	27%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნესსაქმიანობა	62%	38%
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	49%	51%
ფინანსური შუამავლობა	46%	54%
სასტუმროები და რესტორნები	39%	61%
განათლება	17%	83%
ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საქმიანობა	16%	84%

წყარო: Laborsta, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2008<sup>33</sup>

საქართველოს კონმდებლობა არ გულისხმობს მუშაობისთვის თანაბარი ანაზღაურების დათქმებს. არც სამუშაოზე აყვანისას სქესის ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონები არსებობს. სრულად ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების სავალდებულო მაქსიმალური ხანგრძლივობა 183 დღეა

<sup>32</sup> [http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2015/04/24/090224b082e05548/1\\_0/Rendered/PDF/Exploring0the00n0the0South0Caucasus.pdf](http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2015/04/24/090224b082e05548/1_0/Rendered/PDF/Exploring0the00n0the0South0Caucasus.pdf)

<http://esa.un.org/undp/wpp/Download/Standard/Fertility/>

<sup>33</sup> <http://laborsta.ilo.org/STP/guest>

(100 პროცენტი ხელფასის გადახდით მთავრობის მიერ<sup>34</sup>), ხოლო არა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება არის 547 დღე<sup>35</sup>. კანონი არ ითვალისწინებს მამების დეკრეტულ შვებულებას. ამასთანავე, საპენსიო ასაკი უფრო მაღალია კაცებში (65 წელი), ვიდრე ქალებში (60 წელი)<sup>36</sup>. ამ შრომის უფლებების არ არსებობით სამუშაო ადგილზე შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ანაზღაურების მოულოდნელად მაღალი გენდერული სხვაობა, სწავლის სფეროებში შესამჩნევ გენდერულ განსხვავებებთან და შრომის ბაზარზე შემდგომ სეგრეგაციასთან, ასევე, კულტურულ აღქმასთან (თუ რა ითვლება მისაღებ და სასურველ საქმიანობად ქალისთვის) და მუშაობის ოჯახური პასუხისმგებლობით დაბალანსების საჭიროებასთან ერთად.

#### *ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღება*

საქართველოში არ არის დადგენილი სავალდებულო კვოტები ქალი კანდიდატებისთვის ან არჩეული წევრებისთვის ეროვნული თუ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე. ქალები უკეთ არიან წარმოდგენილნი სასამართლო სისტემაში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლეს შორის სამი ქალია. გარდა ამისა, არ არის შემოტანილი კვოტა ქალებისთვის კორპორაციულ საბჭოებში.

#### *მეწარმეობა და ფინანსებზე წვდომა*

საქართველოში ოფიციალურ ფინანსურ ინსტიტუტებში საბანკო ანგარიშების მფლობელთა აბსოლუტური რაოდენობა დაბალია როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. მსოფლიო ბანკის გლობალური ფინანსური ჩართულობის მონაცემთა ბაზის მიხედვით 2014 წელს, საქართველოში 15 წელზე მეტი ასაკის მამაკაცების 39,6 პროცენტს და ქალების 39,8 პროცენტს ჰქონდა ანგარიში ოფიციალურ ფინანსურ ინსტიტუტში.<sup>37</sup> თუმცა, საქართველოს ბანკის, უმსხვილესი კომერციული ბანკის 2014 წლის მონაცემებით, მისი MSME მსესხებლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 25 პროცენტი იყო MSME, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობდნენ, რაც ფინანსების წვდომის მნიშვნელოვან გენდერულ სხვაობაზე მიუთითებს მეწარმე ქალებისთვის.

2015 წლის ბიზნესგარემოს და საწარმოების მუშაობის კვლევის (BEEPS) მონაცემებით, საქართველოში გამოკვლეული ფირმების 34 პროცენტში მფლობელებს შორის ქალები იყვნენ, ხოლო 32 პროცენტში - ქალი ტოპ-მენეჯერები. გამოკითხულ ფირმებში ქალები შეადგენდნენ სრულ განაკვეთზე მომუშავეთა 44 პროცენტს და ხოლო 25 პროცენტში მინიმუმ 50 პროცენტი ქალ მფლობელებზე მოდიოდა.

<sup>34</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, 29-ე მუხლი

<sup>35</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, 27-ე მუხლი

<sup>36</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, მე-5 მუხლი

## დანართი 6 – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და დონორი ორგანიზაციები

დონორების მიერ დაფინანსებული ტექნიკური თანამშრომლობის დავალებებმა საშუალება მისცა ბანკს საქართველოში ჩაეტარებინა ადრეული სადიაგნოსტიკო მუშაობა, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და საინვესტიციო შესაძლებლობების მომზადების ჩათვლით. პერსპექტიული კლიენტებისთვის შეიქმნა შესაძლებლობები, კერძოდ მდგრადი ენერჯის და რესურსების ეფექტურობის სფეროში, გაეზიარებინათ გარდამავალი პერიოდის გამოცდილება პოლიტიკოსებისგან და კერძო სექტორის დაინტერესებული პირებისგან სხვა ქვეყნებში.

მნიშვნელოვანი თანხები დონორებისგან უზრუნველყოფილი იქნა საინვესტიციო გრანტების გაცემით თანაინვესტირების პროექტებისათვის, ასეთი პროექტები გათვალისწინებული იყო მყარი ნარჩენების მართვისთვის რუსთავის რეგიონში და წამახალისებელი დავალებებისთვის, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მექანიზმის (GAFF) და კავკასიის ენერჯო ეფექტურობის პროგრამის (CEEP) მიერ პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების ან ქვე-მსესხებლების სასარგებლოდ. გარდა ამისა, საქართველომ ისარგებლა TC დავალებებისგან, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი კერძო მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას მთელი რიგი საკონსულტაციო და საინვესტიციო პროგრამების, მათ შორის ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების, საწარმოები ზრდის პროგრამის და საინვესტიციო საბჭოების მეშვეობით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, გაიზარდა დონორების მხარდაჭერა საქართველოში პროექტებისთვის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის, მდგრადი ენერჯის და რესურსების ეფექტურობის ფარგლებში, მყარი ნარჩენების მართვის პროექტისთვის და CEEP კონსულტაციისთვის. 4 თემაში (მდგრადი ენერჯია და რესურსების ეფექტურობა) დონორთა გრანტებზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, დიდი დარჩება.

ამ მოთხოვნების მხარდასაჭერად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაეფუძნება დონორთა ფონდებს, რომლებიც გაიცემა ბანკის მიერ ან იმართება გარედან, გარდა მისი აქციონერების მიერ მიწოდებული რესურსებისა:

- **ადრეული გარდამავალი პერიოდის ქვეყნების მრავალდონორიანი ფონდი (ETC ფონდი)**, შემოწირულობებით 14 ორმხრივი დონორისგან, აფინანსებს პროექტებს მსოფლიოს 10 ქვეყანაში 10-ზე მეტი წელი; საქართველო ამ გრანტების ერთ-ერთი მათვარი მიმღებია. ETC ფონდი გააგრძელებს TC გრანტების გაცემას მთელ რიგ სექტორებში, აქცენტით, ძირითადად ისეთ სფეროებზე, როგორიცაა აუცილებელი სერვისების - წყალი, კანალიზაცია, მყარი ნარჩენები და ცენტრალური გათბობა - გაუმჯობესებული წვდომა და მეწარმეობის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.

- **ორმხრივი დონორები:** გრანტებს მოიძიებენ დონორებისგან მათი ორმხრივი ანგარიშების მეშვეობით, რომლების ადმინისტრირება ხორციელდება EBRD-ის მიერ. მათ გამოთქვას ინტერესი მხარდამჭერი საქმიანობის მიმართ საქართველოში ყველა სტრატეგიულ თემასთან დაკავშირებით.
- **ევროკავშირის სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი (NIF)** დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა TC და არა-TC გრანტებისთვის საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონული პროგრამების მეშვეობით, ენერგეტიკისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორებში.
- **ევროკავშირის ეროვნული პროგრამა საქართველოსთვის** მხარს უჭერს ბანკის საქმიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში, ბოლო დროს, EBRD-ის ASB პროგრამის ჩათვლით.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი (SSF)** უზრუნველყოფილია ბანკის წმინდა მოგებით. SSF არის დამატებითი საშუალება დონორთა რესურსებისთვის და უზრუნველყოფს TC და არა-TC მხარდაჭერას იქ, სადაც არის მხარდაჭერის დეფიციტი და ნაკლებობა, მაგრამ სადაც პროგრზირებადი გადასვლა ბანკისთვის პრიორიტეტულ სფეროდ რჩება.